ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
31 ივლისი **ოთხშაბათი** 2013
№178 (14 094) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

დინამო (თბილისი)–სტიაუა (ბუქარესტი)

**0:2**

0:1 იანკუ (64)
0:2 იანკუ (80)

# სტიაუუჰ...

## ბუქარესტში სასწაულის იმედად



„დინამოს" ბარიერის დასაძლევად „სტიაუამ" დიდი ნაბიჯი თბილისშივე გადადგა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

2-3



## მისასალმებელია, ნაკრებში კონკურენცია რომ იგრძნობა

### იმედია, შედეგს ევროაბასკეტზე ვნახავთ

*ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან*

12



## რას უპირებს გვარდიოლა შვაინშტაიგერს?

5

ზამერი: ბასტიანი უალტერნატივოა!

eredivisie

## ჰოლანდიის ჩემპიონატის კალენდარი

6

ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

30.07. თბილისი. დინამო არენა
30 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) | 0 |
| სტიაუა | 2 |

0:1 იანკუ (64), 0:2 იანკუ (80, ტანასეს პასით)
*გამოუყენებელი პენალტი: ჩისკო (61. მეკარე)*

| დინამო 4-4-2 | სტიაუა 4-2-3-1 |
|---|---|
| ლორია | ტატარუშანუ |
| სეთურიძე | გეორგიევსკი |
| კვარაცხელია | სუკალა |
| უსტარიცი | ჩირიჩესი |
| კვირკველია | ლატოვლევიჩი |
| მერებაშვილი | პინტილი |
| გ. გრიგალაშვილი | ბურჩეანუ |
| ხმალაძე | პოპა |
| გლიშიჩი | სტანჩუ |
| დვალი | ტანასე |
| ჩისკო | ნიკოლიჩი |
| მწვრთნელი: დ. უპრინი | მწვრთნელი: ლ. რეგეკამპფი |

**დინამო**
67. ჩისკო — ვუო
79. დვალი — გოგა
86. მერებაშვილი — ხოჭოლავა
*სათადარიგოები: ზარქუა, ხურცილავა, გველესიანი, პაპავა*

**სტიაუა**
46. სტანჩუ — იანკუ
57. ნიკოლიჩი — პიოვოკარი
83. პინტილი — გარდოში
*სათადარიგოები: კოჟოკარუ, პრეპელიცა, რადუცი, პირვულესკუ*
გაფრთხილება: გრიგალაშვილი (24), სტანჩუ (42), პინტილი (45), ლატოვლევიჩი (60), სუკალა (64), ხმალაძე (71), გარდოში (86)
არბიტრი: რ. შორგენჰოფერი (ავსტრია)


ჩისკოს დარტყმული პენალტი ტატარუშანუმ იოლად მოიგერია
ფოტო: www.fcdinamo.ge

# ასეთი დონის გუნდი ბოლოს როდის ვნახეთ?

## ტანასე და კომპანია

...წელიწადი და ერთი თვე გავიდა იმის მერე, რაც თბილისის „დინამოს" მთავარ მწვრთნელად **დუშან უპრინიუმცროსი** დაინიშნა და ჩეხი სპეციალისტის ხელმძღვანელობით მოასპარეზე ჩვენმა ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა გუშინ პირველი საშინაო ოფიციალური მატჩი წააგო! ოღონდ, მოდი, გულახდილად ვთქვათ: გუშინ მართლაც ღირსეულმა გაიმარჯვა და, ჩვენდა სამწუხაროდ, წყვილში გამარჯვებულის ბედიც, ფაქტობრივად, უკვე გარკვეულია. კი, ბატონო, ერთ კვირაში საპასუხო მატჩია და ხომ შეიძლება, სწორედ სტუმრად შეხვედრაში შეძლონ დინამოელებმა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენა, მაგრამ, ვეჭვობთ, რუმინეთის მართლაც გამორჩეულმა გუნდმა ეს ორბურთიანი უპირატესობა ქარს გაატანოს. მით უმეტეს, გუშინდელი მატჩის შემხედვარე, ალბათ, ძალიან მცირე იქნება იმ ქართველ ქომაგთა რიცხვი, ვინც „ბუქარესტული სასწაულის" იმედად იქნება. ჰო, მართლაც სასწაული თუ გვიშველის, რამეთუ გუშინ „სტიაუამ" უმაღლესი კლასის ფეხბურთი უჩვენა და, რაც მთავარია, რუმინელ ფეხბურთელთა ქმედებაში უდიდესი რესურსიც იგრძნობოდა, ეგ კი არა, ძალიან დიდი ალბათობა იყო, სტუმრებს ბევრად უფრო სოლიდური ანგარიშითაც მოეგოთ: ყოველ შემთხვევაში, მატჩის ბოლო წუთებში „სტიაუამ" ერთი მეორეზე უკეთესი მომენტები გაანიავა!

...რა თქმა უნდა, ყველამ ვიცოდით, რომ „სტიაუას" სახით „დინამოს" ერთობ სოლიდური და ევროტურნირებზე გამოცდილი მეტოქე ჰყავდა, მაგრამ, ისიც ვაღიაროთ, რომ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა: **ლაურენციუ რეგეკამპფის** გუნდმა თანამედროვე ფეხბურთის „გაკვეთილი" ჩაუტარა მოწინააღმდეგეს და, ფაქტობრივად, ყველა კომპონენტში აშკარად დაჩაგრა კიდეც! თანაც, „სტიაუას" სიძლიერე პირველსავე წუთებში გამოჩნდა და თამაშის განმავლობაში უფრო და უფრო თვალში საცემიც გახდა: ბურთის ფლობაში მინიმალური წუნი, ფლანგების აქტიური და ეფექტიანი გამოყენება, საჭირო დროს პრესინგი მოედნის მთელ მონაკვეთზე, შეტევების უსწრაფესი წამოწყება და სტანდარტულების მაქსიმალურად სახიფათოდ შესრულება, — მოკლედ, ყველაფერში დაგვჯაბნეს. მეტოქის ჩინებული გუნდური თამაში და სათამაშო დისციპლინის მკაცრი დაცვა ხომ მართლაც ქებას იმსახურებდა, არანაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ „სტიაუას" ცალკეული ფეხბურთელებიც; ყოველ შემთხვევაში, ცენტრალურმა მცველმა **ლუკაშ სუკალამ**, საყრდენმა ნახევარმცველმა და გუნდის კაპიტანმა **ალექსანდრე ბურჩეანუმ** და შეცვლაზე შემოსულმა შემტევმა **გაბრიელ იანკუმ** მართლაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვეს. აღარაფერს ვამბობთ **კრისტიან ტანასეზე** — 26 წლის ეს მარცხენა გარემარბი გუშინდელი შეხვედრის, უდავოდ გამორჩეული პერსონა გახლდათ და მართლაც უზადო ტექნიკითაც დაგვამახსოვრა თავი. და კიდევ: „დინამო-არენის" პრესლოჟაში კოლეგებთან ერთად ვიხსენებდით და ვერაფრით გავიხსენეთ, თუ როდის გვეწვია ბოლოს ასეთი ორგანიზებული და ძლიერი კლუბი თბილისში...


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო
იანკუმ (№80) დუბლი შეასრულა

## მხოლოდ ჩისკოს ნუ დავაბრალებთ...

...**ჩისკოს** რომ პენალტი გაეტანა, არავინ იცის, თამაში როგორ დამთავრდებოდაო, — აი, ეს ფრაზა ისმოდა ყველაზე ხშირად მატჩის დამთავრების შემდეგ. ჰო, შესაძლოა, მართლაც სხვანაირი თამაში წასულიყო, მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ სტუმრები მანამდეც... მხოლოდ მოსაგებად ჩამოსულებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ფრეზე ან მინიმალური სხვაობით წაგებაზე თანახმა გუნდს! ჰო, ჯერ ის გვენიშნა, სტუმართა თავკაცმა შესვენების შემდეგ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ტანმაღალი ცენტრფორვარდი (193 სმ) **სტეფან ნიკოლიჩი** რომ შეცვალა და მის ნაცვლად მოედანზე 19 წლის **გაბრიელ იანკუ** რომ შემოიყვანა; ეგ კიდევ არაფერი: 57-ე წუთზე **რეგეკამპფმა** მეორე შემტევიც **ნიკულაე სტანჩუც** რომ გაიყვანა მოედნიდან, — ანუ, „სტიუას" თავკაცს 0:0 არ აკმაყოფილებდა და, როგორც მერე გაირკვა, თურმე ყველაფერი სწორადაც გაუთვლია. აი, რაც შეეხება მის ჩეხ კოლეგას, შესაძლოა, ბევრს განსხვავებული აზრიც ჰქონდეს **დუშან უპრინის** გადაწყვეტილებებზეც. უპირველესად, რაღა თქმა უნდა, მოედნიდან ჩისკოს გაყვანას ვგულისხმობთ: ბევრის აზრით, ესპანელი შემტევი მოედანზე უნდა დარჩენილიყო! გასაგებია, რომ ასეთი დონის მატჩში (როცა ერთ გოლს, ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამის გადაწყვეტა შეეძლო) პენალტის ვერგატანა თვითონ ფეხბურთელზეც (და, საერთოდ, მთელ გუნდზეც) დამთრგუნველად იმოქმედებდა, მაგრამ ასეთი გამოცდილი ოსტატი, ჩვენი აზრით, ალბათ, მაინც მოედანზე უნდა ყოფილიყო. აღარაფერს ვამბობთ იმ არასასიამოვნო რეაქციაზეც, „დინამო-არენის" ტრიბუნებიდან რომ წამოვიდა: ზოგიერთმა ჩვენმა გულშემატკივარმა ჩისკო მოედნიდან... სტვენით გააცილა! არადა, მხოლოდ ესპანელის ბრალი რომ არ იყო „დინამოს" გუშინდელი მარცხი, ამაში, ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება; ისე როგორც იმაში, რომ ასეთი საპასუხისმგებლო მატჩების წინ „დინამოს" ბევრად უფრო გრძელი სათადარიგოთა სკამი ესაჭიროებოდა! რა თქმა უნდა, ტრავმებისგან დაზღვეული არავინ არის და იმავე **პეტერ გრაიციარის** და **ირაკლი ძარიას** არყოფნა დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ, ადრეც ვწერდით ამ თემაზე და კვლავაც გავიმეორებთ, რომ ამ ზაფხულს „დინამოს" ბევრად მეტი აქტიურობა მართებდა სატრანსფერო ბაზარზე: თუმცა, გუშინდელმა მატჩმა ყველაზე ცუდი რაც დაგვანახვა, სხვა იყო: სამწუხაროდ, ჩვენი გუნდი, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპისათვის მზად არ არის! ყოველ შემთხვევაში, გუშინდელ მეტოქესთან მატჩში ეს ყველაფერი ნათლად ჩანდა...

## მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა

ახლა კი უშუალოდ მატჩის შესახებაც, რომელიც სტუმრების... უმწვავესი შეტევით დაიწყო: **მიჰაი პინცელის** პასით კრისტიან ტანასე ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, რასაც ჩვენს კართან ზედიზედ ორი კუთხური მოჰყვა. ჩვენების საპასუხო შეტევაც არ იყო ურიგო, **დარკო გლიშიჩის** მოხდენილი პასის მერე ბურთი ჩისკომ რომ გაატარა, რასაც გიორგი მერებაშვილის აქტიურობა და სტუმართა კართან კუთხური მოჰყვა; მერე ჩისკოს სახიფათო დარტყმულიც ვნახეთ, ბურთი გარედან რომ მოხვდა სტუმართა კარის ბადეს. საერთოდაც, პირველ ტაიმში ჩვენები რამდენჯერაც ტემპს მოუმატებდნენ, მაშინვე სახიფათო მომენტი იქმნებოდა, მაგრამ ვერც გლიშიჩის, ვერც **ლევან ხმალაძის** და ვერც **გივი კვარაცხელიას** მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. ყველაზე რეალური მომენტი კი „დინამოს" 28-ე წუთზე ჰქონდა: **ჯაბა დვალმა** კარგი პასით გიორგი მერებაშვილი მოძებნა, დინამოელთა მარჯვენა ნახევარმცველმა (*ისე, ჩვენი აზრით, მისი გამწესება სხვა პოზიციაზე უფრო პროდუქტიული იქნებოდა - გ. ტ.*) ოსტატურად ჩამოიცილა **იასმინ ლატოვლევიჩი** და „ცაციათი" ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ „სტიაუა" მეკარე **ჩიპრიან ტატარუშანუმ** იხსნა, დამატებაზე კი **ელგუჯა გრიგალაშვილმა** ვერ იყოჩაღა. ისე, „დინამოს" რაც არ დაეწუნებოდა, ეს „გახსნილი თამაში" იყო, თუმცა, ამით სტუმრებმა უფრო ისარგებლეს, — მოედნის ცენტრს უპრობლემოდ გადმოდიოდნენ და მერე, მრავალფეროვანი შეტევებითაც უამრავ ხიფათს რომ გვიქმნიდნენ. პირველ ტაიმში სტუმართა მომენტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს: **ვლად ჩირიჩესმა** თავური დარტყმით ოდნავ ააცილა, ლატოვლევიჩის შეტევა **გიორგი ლორიამ** მოიგერია, ისე როგორც იმ ეპიზოდში, როცა **სტეფან ნიკოლიჩი** მახვილი კუთხიდან ცდილობდა გოლის გატანას. არც ის დაგვავიწყდეს, ერთ მომენტში კრისტიან ტანასემ ჩინებული „სლალომით" მარცხენა ფლანგზე რომ გაინავარდა და კიდევ კარგი, მის გამჭოლ გადაცემას ვერავინ მიუსწრო, თორემ პირველი ტაიმი უგოლოდ არ დამთავრდებოდა.

## შორია ჯგუფურ ეტაპამდე...

მეორე ტაიმის საწყისი წუთები „უცნაურად მშვიდი" გამოდგა. თუმცა, მერე რუმინელები ისევ გააქტიურდნენ და ეფექტური სამსვლიანი კომბინაციაც ვიხილეთ **იანკუს**, ტანასესა და **პოპას** შესრულებით; მერე ისევ ტანასემ იაქტიურა და გიორგი ლორიამ გადაგვარჩინა! საერთოდაც, რაღაც უცნაური 10-წუთიანი მონაკვეთი ვიხილეთ: ბურთი მოედნის ცენტრში რომ არ ჩერდებოდა და „დინამომაც" ორჯერ სახიფათოდ რომ შეუტია, მაგრამ ელგუჯა გრიგალაშვილის წამოწყებულ კომბინაციას დარკო გლიშიჩმა სათანადო გაგრძელება ვერ მოუძებნა, **უსტარიცის** ეფექტური თავური დარტყმა კი „სტიაუას" მეკარემ მოიგერია. ჩიპრიან ტატარუშანუ მალე მატჩის გმირიც გახდა: შეხვედრის ავსტრიელ არბიტრს არ გამოეპარა სტუმართა მცველის ხელით თამაში და პენალტიც დანიშნა, მაგრამ ჩისკოს დარტყმული „სტიაუას" მეკარემ ხელებში გააქვავა! ჰოდა, აი, აქ დამთავრდა „დინამოს" ილუზიები: ისევ ტანასეს სახიფათო შეტევა და კვლავაც ლორიას უშეცდომო თამაში, მაგრამ გაბრიელ იანკუს საშუალო მანძილიდან დარტყმულ ბურთს ჩვენმა მეკარემ ვერაფერი მოუხერხა. ისე, დარტყმის მომენტში რუმინელი ფეხბურთელი მარტო რატომ იდგა, ძნელი სათქმელია; თუმცა, სამწუხაროდ, ყველაფერი ამით არ დასრულებულა: სტუმრებს ერთბურთიანი უპირატესობა ჰქონდათ და მატჩის დარჩენილი 25 წუთი... შეტევებში გაატარეს. აი, ამ მონმენტების აღწერას კი ნამდვილად აღარ შევუდგებით, უბრალოდ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ერთხელ ძელმა გადაგვარჩინა, ერთხელ — ლორიამ, სამი-ოთხჯერ იღბალმა გადმოგვხედა, მაგრამ შეუჩერებელმა ტანასემ მორიგი „შოუ" რომ მოაწყო მარცხენა ფლანგზე და ჩვენს საჯარიმოში მარტოდმარტო (!) მყოფ გაბრიელ იანკუს ზუსტად რომ გადააწოდა ბურთი (ამ უკანასკნელმაც პარტნიორს გარჯა არანაკლებ ზუსტი დარტყმით დაუფასა), „დინამო-არენის" ტრიბუნებიდან გულშემატკივარმა წასვლა დაიწყო...

**გია ტუხაშვილი**


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო
დინამოელებმა კრისტიან ტანასეს (№10) ვერაფერი მოუხერხეს

მატჩის შემდეგ

# ბუქარესტში სწრაფი გოლის იმედად

## მეტოქისთვის სიფრთხილეს თავი არ სტკივა

უპირველესად, **დუშან უპრინის** მოსაზრებები იყო საინტერესო, ამიტომაც მისი მატჩის შემდგომი პრესკონფერენცია უფრო ვრცელი გამოდგა, ვიდრე "სტიაუას" თავკაცის, **ლაურენციუ რეგეკამპფის** საუბარი.

**დუშან უპრინი:** - "სტიაუას" გამარჯვებას ვულოცავ. ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავდა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა სწრაფი და კომბინაციური ფეხბურთით. სანამ გოლს მივიღებდით, "დინამო" კარგად თამაშობდა, ამის შემდეგ კი მეტოქეს ბევრი საგოლე შანსი მიეცა.

**- რით შეუძლია "დინამოს" განმეორებით შეხვედრაში წარმატების მიღწევა?**

- ბუქარესტში სწრაფი გოლის გატანას შევეცდებით.

**- ჩისკოს შეცვლის მიზეზი რა იყო?**

- მას შესაძლებლობების 50 პროცენტი გამოსდიოდა, ჯაბა დვალმა კი შედარებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა.

**- მარცხის ერთ-ერთი მიზეზი "სტიაუას" დონის მეტოქეებთან თამაშის გამოცდილების ნაკლებობა ხომ არ იყო?**

- შესაძლოა, ასეც იყოს. პენალტის ვერგატანამ კი გული ძალიან დამწყვიტა. რომ დავწინაურებულიყავით, შესაძლოა, მატჩი სულ სხვაგვარად დასრულებულიყო.

**- მერებაშვილის თამაშით კმაყოფილი ხართ?**

- მას თამაში ორივე ფლანგზე შეუძლია. შეხვედრის გარჩევისას უნდა ვკითხო, რატომ რჩებოდა სეთურიძე მარჯვენა ფლანგზე მარტო.

**- ევროპის ლიგის პლეი ოფის წინ გუნდის შემადგენლობის გაძლიერებას ხომ არ გეგმავთ?**

- ტრანსფერები ჩემი კომპეტენცია არ არის. კარგია, რომ რამდენიმე დღეში ირაკლი ძარია დაგვიბრუნდება, რომელსაც ტრავმის გამო ბოლო მატჩები გაუცდა.

■ ■ ■

რეგეკამპფმა კი შეხვედრა მოკლედ შეაფასა: "საკმაოდ კარგ გუნდს ვეთამაშეთ და აქედან გამომდინარე, შედეგითაც და თამაშითაც კმაყოფილი ვარ. "დინამოს" პენალტი რომ გაეტანა, შესაძლოა, სხვაგვარი თამაში გამოსულიყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მატჩის ბოლო ნახევარ საათში მაღალ დონეზე ვითამაშეთ და გოლებიც გავიტანეთ. არ ვფიქრობ, რომ შემდეგ ეტაპზე უკვე გასულები ვართ. მეორე შეხვედრა რთული იქნება და ჩემს ფეხბურთელებს მოდუნების უფლებას არ მივცემ. "დინამო" კონტრშეტევებზე კარგად თამაშობს და საპასუხო მატჩში გამარჯვებას შეეცდება".

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია

# გია ცეცაძე უმაღლეს ლიგაში იმუშავებს?

## ჭანტურია და ზარანდია ტორპედოდან ვიტესში?

ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, გუნდების უმრავლესობას საკადრო პრობლემები აწუხებს, მაგრამ ბევრი საინტერესო მოთამაშე მაინც უგუნდოდ არის.

უმაღლესი ლიგის არც ერთ გუნდში არ ირიცხებიან ეროვნული, ახალგაზრდული თუ სხვა ასაკობრივი ნაკრების ყოფილი თუ ამჟამინდელი კანდიდატები და მოქმედი წევრები.

ამ უცნაურ სიაში მოხვდნენ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მეკარე **გაბრიელ თებიძე** და **ბაჩანა არაბული**. ეს უკანასკნელი საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" მოთამაშეა და, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში ევროპაში წავიდეს. თუმცა, მის მიმართ ინტერესი საქართველოშიც არსებობს.

შევიტყვეთ, რომ ამ სიას პირველ აგვისტოს კიდევ ორი ფეხბურთელი შეემატება — ასევე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრები - ცენტრალური მცველი **ნიკა ჭანტურია** და თავდამსხმელი **ლუკა ზარანდია**.

თბილისის "ლოკომოტივიდან" ქუთაისის "ტორპედოში" გადასვლისას, ახალგაზრდა მოთამაშეებმა დროებითი კონტრაქტები გააფორმეს. მათი ხელშეკრულებების ვადა ხვალ ამოიწურება და თავისუფალი აგენტები გახდებიან.

მაგრამ საეჭვოა, ჭანტურია და ზარანდია უგუნდოდ დარჩნენ. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ვწერდით, რომ ორივე მათგანს არნემის "ვიტესი" იწვევდა. ეს მოლაპარაკება ამჟამადაც ძალაშია და იმედია, ნიჭიერი მოთამაშეები კარიერას ჰოლანდიაში გააგრძელებს.

ამავე დროს, შევიტყვეთ, რომ, შესაძლოა, ქუთაისის "ტორპედო" **ბექა ტულუშმაც** დატოვოს. 23 წლის თავდამსხმელმა დაამტკიცა, რომ მას საკმაოდ კარგ დონეზე შეუძლია თამაშია და ვეჭვობთ, უგუნდოდ დარჩეს.

ბექა გუნდს თურქულ შეკრებაზე არ ახლავს, მაგრამ გუნდიდან ჯერ არ წასულა – მცირე ტრავმის გამო, დასვენება მოუხდა. საშიში არაფერია - ინდივიდუალური ვარჯიში განაახლა და მოედანს მალე დაუბრუნდება, მაგრამ რომელი გუნდის ფორმით, ეს ჯერ უცნობია. უახლოეს დღეებში გაირკვევა, დარჩება თუ არა ტულუში "ტორპედოში".

და მთავარი: ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის დაწყებამდე, ქუთაისის „ტორპედოში" **გია ცეცაძეს** იწვევდნენ და დუბლშემადგენლობის გაწვრთნას სთავაზობდნენ. ეს კულუარული ინფორმაცია რამდენიმე კონფიდენციალურმა წყარომაც დაადასტურა. ცეცაძეს კლუბში მუშაობის გამოცდილებაც აქვს - გორის „დილაში" საქმიანობდა.

ცეცაძეს უმაღლესი ლიგის ორი საკმაოდ ამბიციური კლუბი იწვევდა, რაზეც უარი თქვა - ნაკრებსა და კლუბში საქმიანობას ვერ შევათავსებო. ახლა კი შევიტყვეთ, რომ ცეცაძე „ტორპედოს" დუბლშემადგენლობის გარდა, სხვა წინადადებებსაც განიხილავს და მალე, შესაძლოა, უმაღლესი ლიგის რომელიმე კლუბის მთავარ მწვრთნელად ვიხილოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

**თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე**

**ალბერტ (ბაჩუკი) ბაჩუკაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

გამოხმაურება

# ლანჩხუთის გამგებელი გურიის ვეტერანებს: უპასუხეთ ტელეფონს!

## სფფ-ს პრეზიდენტს კი ზაზა ურუშაძე ბოდიშის მოსახდელად დაურეკავს

ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ 27 ივლისს ლანჩხუთში გამართულ ადგილობრივი გუნდისა და კიევის „დინამოს" ვეტერანთა შეხვედრაში მონაწილეობა 80-იანი წლების „გურიის" წევრებიდან მხოლოდ **მალხაზ მახარაძემ** მიიღო. „ლელოსთან" საუბარში რამდენიმე ვეტერანმა განაცხადა, რომ არავის დაუპატიჟებია. განსაკუთრებით უკმაყოფილება გამოხატა **ოთარ კორღალიძემ**, „აღარ მიხსენონ „გურია", უნამუსოები არიან! მე არ ვიყავი ღირსი ამ თამაშში დავეძახებინე? თემურ ჩხაიძეს დავურეკე, ჩემი მეგობარია და მას ვკითხე, რა ხდებოდა. მან მითხრა, რომ თავად არ ერევა არაფერში. თუ მაჟორიტარი არ ერევა, აბა ვინ ერევა და ვინ წყვეტს ამას?" — გვითხრა „გურიის" ყოფილმა ფეხბურთელმა.

„ლელოში" გამოქვეყნებულ წერილებს დიდი რეზონანსი მოჰყვა სოციალურ ქსელშიც. აბსოლუტური უმრავლესობა ორგანიზატორებს უწუნებს იმ ფაქტს, რომ იმ დიდი „გურიის" წევრებმა შეხვედრაში მონაწილეობა არ მიიღეს. **დავით უგრელიძე** ყოველივეს გამგებლის პირად ინტერესებს უკავშირებს.

ლანჩხუთის გამგეობის ოფიციალურმა ვებგვერდმა 30 ივლისს გაავრცელა „გურიის" დირექტორის, **კობა მირზაშვილის** კომენტარი. *„როცა ღონისძიების ორგანიზაციულ საკითხებს ვაგვარებდით, გამგებელმა მთხოვა ყველა იმ ფეხბურთელისთვის დამერეკა და დამეპატიჟებინა, ვინც ოდესმე „გურიაში" თამაშობდა. პირადად ვესაუბრე გია გილიგაშვილს, რომელიც თბილისში არ იმყოფებოდა, ვესაუბრე გიგლა იმნაძეს, რომელმაც მადლობა გადამიხადა, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა ჩამოსვლა. რამდენჯერმე დავურეკე დავით უგრელიძესა და მერაბ თევზაძეს, მათ ჩემს ზარებს არ უპასუხეს. ამჟამად ლანჩხუთში არ ვიმყოფები, როცა ჩამოვალ ყველა იმ შეკითხვას გავცემ პასუხს, რაც ლანჩხუთის „გურიას" ირგვლივ არსებობს"* — აცხადებს დირექტორი.

გუშინ გავრცელდა **ზაზა ურუშაძის** კომენტარიც, რომელშიც ის „გურიის" ვეტერანების ბრალდებებს პასუხობს. *„მრავალი ფაქტორია, მე ვიცი მხოლოდ, რაშიც იყო საქმე. ისე, ყველა მხრიდან ხელის შეშლა იყო. მაგაზე საუბარი არ მინდა, იმიტომ, რომ ეს კიდევ აჟიოტაჟს გამოიწვევს. მატჩზე შემიძლია ის გითხრათ, რომ ეს იყო ძალიან კარგი ღონისძიება. უკრაინულ პრესაში დიდებულად გაშუქდა ეს ყველაფერი. დიახ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ნებისმიერი სტუმარი, რომელიც აქ ჩამოვა და ეს სპორტთან და ფეხბურთთან იქნება დაკავშირებული, რაიონს და ლანჩხუთს წაადგება. რატომღაც ამ ჩამოსვლამ სულ სხვა რეაქცია გამოიწვია, არაფერი არ მომხდარა. მშვენივრად იყო ყველაფერი და ძალიან ლამაზადაც. ვინმეს გვერდი შევაქციეთ? პირიქით, ყველას ჰქონდა უფლება, ამ ღონისძიებაში მიეღო მონაწილეობა. პირადად ჩემთან არ უნდა ჰქონდეთ პრეტენზია. ვისთანაც კავშირი მქონდა, ყველას შევეხმიანე. როგორც ვიცი, კობა მირზაშვილიც. ზოგმა ყურმილი არ აიღო, ზოგმა ქალაქიდან გავდივარო. სხვათა შორის, კობამ სახელი და გვარები დამისახელა, ვინც ზარს არ უპასუხა. კაცს რომ ათჯერ დაურეკავ და ერთხელ ყურმილს არ აიღებს, ჩვენ რა უნდა ვქნათ? ფაქტობრივად, თითქმის ყველა ვეტერანს შევეხმიანე, როგორც მან მითხრა. ჩვენ დაძალებით ვერავის ვერაფერს დავაძალებდით. ზოგიერთი ვეტერანი ვიცი, რომ ავად იყო და ვერ ჩამოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მიზანი იყო, რომ ყველა ვეტერანი ჩამოსულიყო. სხვათა შორის, 10 დღით ადრე დავიწყეთ მათი გაფრთხილება. საქმის კურსში იყო დეპუტატი თემურ ჩხაიძეც. ცალკე თემური ეუბნებოდა, ცალკე კობა და მეტი რა გვექნა? ძალით ჩვენ ვერავის მოვიყვანდით."* — აცხადებს გამგებელი.

მან თამაშის დღეს ადგილობრივ მედიასთან საუბარში **ზვიად სიჭინავას** დაუპატიჟებლობა იმით ახსნა, რომ სფფ-ის პრეზიდენტთან ურთიერთობა არ ჰქონია. ახლა იგი მზად არის, რომ სიჭინავას ბოდიშიც მოუხადოს. *„სიმართლე გითხრათ, პირადად სიჭინავას არ დაველაპარაკებივარ, მასთან საუბარი არ მქონია. არც პირადად ვიცნობ. მე დაველაპარაკე სპორტის მინისტრს და ვთხოვე, რომ დასწრებოდა ამ თამაშს. თუმცა ეს არ ნიშნავს, იმას სიჭინავას რახან არ ვიცნობ, იმიტომ არ დავპატიჟე. რამდენიმეს მე თავად შევეხმიანე და კლუბის პრეზიდენტიც გავაფრთხილე, რომ ვინც კი იყო ფეხბურთთან დაკავშირებული, ყველა დაეპატიჟებინა. პირადად მე უნდა მომეწვია, ალბათ. სიჭინავას დავურეკავ და შეიძლება ბოდიშიც მოვუხადო. კი არ გამომრჩენია, უბრალოდ, კომუნიკაცია არ შედგა და მე ვისაც ვთხოვე, მეგონა, ყველა ეს ადამიანი გაფრთხილებული იყო და ამიტომაც მოხდა ასე. პირადად, მე ზვიად სიჭინავასთან მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. 3 ათასი ცალი სკამი გამოგვიგზავნა. ჩვენ ფედერაციასთან მყარ ურთიერთობას ვაპირებთ. ჩემი აზრით, დღეს ლანჩხუთის „გურიას" გვერდში დგომა სჭირდება და არა ეს ხმაური. ისე მინდა ყველამ იცოდეს, ლანჩხუთის „გურია" მარტო ჩემი და თემურ ჩხაიძის კუთვნილება არ არის, ეს კლუბი მთელი ქვეყნის სიამაყეა, დღეს კლუბს როცა უჭირს, იქნებ ერთი კაცი დამისახელოთ, ვინც დამირეკა და გამამხნევა."* — აცხადებს გამგებელი.

როგორც ხედავთ, მისი და ვეტერანების მოსაზრებები განსხვავებულია. ჩვენ აქ მტყუან-მართალს ვერ გავარკვევთ, ერთი რამ ცხადია — მომხდარმა ფაქტმა მართლაც ლამაზი საფეხბურთო შოუ ერთგვარად მაინც გააუფერულა.


ზაზა ურუშაძე (მარჯვნივ)

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თვალსაზრისი



მარცხნიდან: რატი ალექსიძე, ოთარ ხიზანეიშვილი, გია ისიანი, ივო შუშაკი

# ნიუანსების ოსტატი

ეს ფოტო იმ სასტუმროშია გადაღებული, სადაც გორის „დილა" დაბინავდა და ხვალ გასამართი მატჩისთვის ემზადება - ევროპალიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში სპლიტის „ჰაიდუკს" სტუმრად ეთამაშება.

„დილა" ხორვატიაში დანიიდან ჩავიდა და ამ დაუგეგმავ მოგზაურობა-დაბინავებაში **გიორგი დევდარიანის** გუნდს **ივო შუშაკიც** დაეხმარა - „დინამო თბილისის" ყოფილი მწვრთნელი, რომელმაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებსაც უთავკაცა ორ შეხვედრაში.

არაერთხელ თქმულა და ახლაც ვეტყვი, რომ თუ მწვრთნელ-შუშაკზე საქართველოში კამათობდნენ, მის ადამიანურ თვისებებზე კამათი უადგილო იყო. ხორვატ მწვრთნელს ყველგან დადებითი მუხტი შეჰქონდა, კონფლიქტი არავისთან მოსვლია და აქედან წასვლის შემდეგაც თბილი ურთიერთობები აქვს ქართულ ფეხბურთში მოსაქმე ხალხთან.

ამ ფოტოზე შუშაკთან მისი ყოფილი ფეხბურთელებიც არიან - **რატი ალექსიძე** და **ოთარ ხიზანეიშვილი.**

ალექსიძე „დინამოში" ლონდონის „ჩელსიდან" დაბრუნდა. მაშინ „დინამოს" პრეზიდენტი **ბადრი პატარკაციშვილი** გახლდათ და იყო იმის საშუალება, რომ „დინამოს" ასეთი მოთამაშე აეყვანა. „ჩელსიში" რატის კარიერა ვერ აეწყო და ფეხბურთის და გოლის გემო შუშაკის „დინამოში" გაიხსენა.

შუშაკის „დინამო" მართლაც კარგი ფეხბურთელების ნაკრები იყო, ის გუნდი ერთ მუშტად შუშაკმა შექმნა. მახსოვს, ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელებთან ერთად მივიდოდა დილმის ბაზის ონკანთან და ბუცებს რეცხავდა, გუნდურ სულს ამითაც აძლიერებდა. შუშაკი ასეთი ნიუანსების ოსტატი იყო, თორემ უცხოელი მწვრთნელისთვის ქართველზე ბევრად უფრო ძნელია „დინამოში" მყარად ყოფნა.

შუშაკის „დინამო" შინაარსიანი თამაშით დიდად არ გამოირჩეოდა, ისიც ყველამ იცოდა, მეორე ტაიმის რომელ პერიოდში ხორვატი მწვრთნელი რა შეცვლებს გააკეთებდა. შუშაკის „დინამოს" უჭირდა უშუალო კონკურენტებთან წარმატებით თამაში, ისეც მომხდარა, რომ ტორპედოელ **ზურაბ იონანიძეს** ლამის მარტოს მოუგია შუშაკის „დინამოსთვის" და თანაც არაერთხელ.

შუშაკს ძალიან უნდოდა, რომ „ტორპედოდან" **მალხაზ ასათიანი** თავისთან გადასულიყო, მაგრამ ასეთი ტრანსფერი არ გამოვიდა. შუშაკმა საქართველოს რომ უმწვრთნელა რუსეთის ნაკრებთან, ის თამაში ასათიანის თავური გოლით მოვიგეთ. მაშინ ასათიანი უკვე მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელი იყო და თამაშის შემდეგ რუსმა ჟურნალისტმა შუშაკს ჰკითხა, **იური სიომინი** ასათიანს დაცვაში ათამაშებს და თქვენ რატომ გაამწესეთ ის გამთამაშებლადო. შუშაკმა ასე უპასუხა: ასათიანის შესაძლებლობებს მე უკეთ ვიცნობო და საპრესკონფერენციო დარბაზში ტაში დაუკრეს.

ხიზანეიშვილი რუსეთიდან დაბრუნდა „დინამოში" და გუნდის დაცვა გაამაგრა. ივომ იცოდა კარგი ფეხბურთელის ფასი. ხიზანეიშვილმა „დინამოში" თითქოს ძალა მოიკრიბა და მერე წავიდა გერმანიაში. შუშაკის გუნდში თამაში მისთვის თითქოს აუცილებელი იყო, რუსულ გუნდებში მას დიდი სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია.

„დილაში" გვითხრეს, შუშაკს ძალიან გაუხარდა ხიზანეიშვილის და ალექსიძის ნახვა. იმ „დინამოში", სადაც ისინი ერთადნ იყვნენ, კარგიც ბევრი ხდებოდა და ცუდიც, შუშაკი კი წელიწად-ნახევარი მყარად იდგა დილმის ბაზაზე. მას შეეძლო ადამიანებთან ურთიერთობა და ამ საქმეში თავს ძალას არ ატანდა.

შუშაკი ახლა 65 წლის გახლავთ და ამ ეტაპზე არც ერთ გუნდს არ წვრთნის. ბოლნისის „სიონის" გენერალურ მენეჯერ **ლადო ბურდულს** უნდოდა, შუშაკი „სიონის" მწვრთნელად ჩამოეყვანა, თუმცა ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. ბურდულიც შუშაკის" „დინამოში" თამაშობდა.

შუშაკმა ერთხელ მითხრა, ფილოსოფიურად მსუბუქ წიგნებს ვკითხულობო. არა მგონია, ეს იმისთვის მითხრა, რომ მერე გაზეთის მკითხველი იმაში დამერწმუნებინა, შუშაკი ნაკითხიც არის და შინაგანი ინტელექტი ბუნებით მოსდგამსო. თუმცა, ვინ იცის... როგორც უნდა იყოს, შუშაკი, ზოგი უტიფარი მწვრთნელისგან განსახვავებით, კულტურული ადამიანი გახლავთ, იცოდა, სად რა ეთქვა და როგორ ეთქვა.

ამ ფოტოზე „დილას" მენეჯერი **გია ისიანი** შემთხვევით არ მოხვედრილა. ის შუშაკისდროინდელ „დინამოში" უსაფრთხოების მენეჯერი იყო. შუშაკის მცირე აკადემია „დინამოში" მასაც ექნება გავლილი...

**დავით თავართქილაძე**

● პირველი ლიგა

# არმანიდან ბათუმის დინამომდე

## ბათუმის დინამოს ახალი დირექტორი ჰყავს

გუშინ, ქალაქ ბათუმის საკრებულოს სხდომაზე, ბათუმის „დინამოს" ახალი დირექტორი აირჩიეს. საქმე ისაა, რომ **სულხან გოგიბერიძე** პოსტიდან მცირე ხნის წინ გადადგა.

კლუბის დირექტორობის თანამდებობაზე ორი კანდიდატურა განიხილეს - ბათუმისა და თბილისის "დინამოს" ცნობილი ფეხბურთელი **ვახტანგ ქორიძე** და **ოთარ ფედიჩკინი**, რომელიც ბათუმელი ფეხბურთელების ახალგაზრდა ფრთას წარმოადგენს.

საკრებულოს დეპუტატებმა ღია კენჭისყრა ჩაატარეს და ბიულეტენების დათვლის შემდეგ გაირკვა, რომ ქორიძემ ექვსი ხმა მიიღო, ფედიჩკინმა - 13. შესაბამისად, ეს უკანასკნელი ბათუმელთა გუნდის ახალი დირექტორად გახდა.

ოთარ ფედიჩკინს „ლელომ" ინტერვიუ ჩამოართვა.

**- უპირველესად, არჩევას გილოცავთ. გულშემატკივარი კარგად არ გიცნობთ და თქვენ შესახებ მოგვიყევით.**

- 27 წლის ვარ. რამდენიმე წელი ვთამაშობდი ბათუმის "დინამოში", შემდეგ მარიუპოლის "ილიჩივეცში". ერთი პერიოდი "ტრაბზონშიც" ვვარჯიშობდი. კარიერა ნაადრევად დავასრულე და ბიზნესში წავედი. თურქეთში რამდენიმე ევროპული ბრენდის წარმომადგენელი ვიყავი, მათ შორის, "არმანის". მაგრამ ისევ მშობლიურ ბათუმში დავბრუნდი. ახლა "აჭარია ტაბაკოს" წარმომადგენელი ვარ.

**- გუნდში რა გეგმებითა და მიზნებით მიდიხართ?**

- უპირველესად, მინდა ვთქვა, რომ ჩემი არჩევა სულაც არ ნიშნავს, რომ ვახტანგ ქორიძეს ვემიჯნებით. ის იყო დიდი ფეხბურთელი, ძალიან კარგი პიროვნება და გაგვიხარდება, გვერდში თუ დაგვიდგება. ამას გულწრფელად ვამბობ.

ბედნიერი ვარ, ჩემი საყვარელი გუნდის ხელმძღვანელად რომ ამირჩიეს. გულშემატკივრებს ვპირდები, რომ „დინამო" გაძლიერდება და იმედია, სტადიონზე მეტ მაყურებელს მოვიზიდავთ. უპირველესად კი კლუბის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მსურს.

**- კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

- სამწუხაროდ, გუნდს არანაირი სავარჯიშო პირობები არ გააჩნია. ამიტომ, ანგისაში ხელოვნურსაფრიანი მოედანი უნდა დავაგოთ, ზამთარ-ზაფხულ სავარჯიშო მოედნის პრობლემა რომ არ შეგვექმნას. კლუბის ბიუჯეტის ნაწილი - 700 ათასი ლარი ანგარიშზეა. მაგრამ ამ პრობლემების მოსაგვარებლად, დამატებითი თანხები უნდა მოვიზიდოთ. საამისოდ, ინვესტორებთან მოლაპარაკება მიმდინარეობს.

**- თქვენი ჯგუფის წევრი მალხაზ მახარაძე ამბობდა - მოლაპარაკებები მიმდინარეობს სოლიდურ კომპანიებთან და გუნდის სათავეში ჩვენი ჯგუფის მოსვლის შემთხვევაში, „დინამოს" ფინანსური პრობლემები არ შეაწუხებსო...**

- გეტყვით, რომ ლაპარაკია რამდენიმე სერიოზულ უცხოურ კომპანიაზე. ჩვენი ჯგუფის ინტერესი არა მხოლოდ „დინამოს" გაძლოლა, არამედ, ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელსაც "დინამოს" დასაფინანსებლად გამოიყენებს.

საკმაოდ კარგი წინ პირობა არსებობს იმისთვის, რომ საქართველოს ერთ-ერთი სერიოზული მოსამზადებელი ცენტრი გახდეს. სავარაუდოდ, თურქეთს, ესპანეთსა და კვიპროსს კონკურენციას ვერ გავუწევთ, მაგრამ ამ რესურსების გამოყენება ნამდვილად არ გვაწყენს. პრობლემა ისაა, რომ ჩვენთან მოედნები არ არსებობს. უპირველესად, ეს არის მოსაგვარებელი. როდესაც გვექნება საკუთარი სტადიონი, ბაზა და სასტუმრო, ბევრი გუნდი ჩამოვა - სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან... დამიჯერეთ, ეს სავსებით რეალურია, რადგან ამ ქვეყნებთან საკმაოდ კარგი კავშირები გვაქვს.

**- გუნდში რა საკადრო სიახლეებს უნდა ველოდოთ?**

- უპირველესად, გუნდს ძველი სახელი - ბათუმის "დინამო" დაუბრუნდება. ის გუნდი გაკოტრდა, მაგრამ ამ სახელის აღდგენა საჭიროა.

ცხადია, ვფიქრობთ, ვის ჩავაბაროთ შემადგენლობა. კობა ჟორჟიკაშვილი გამოცდილი სპეციალისტია და გავარკვევთ - რა პირობებზე იმუშავებს. რამდენიმე ძლიერი მოთამაშე გვყავს და



ოთარ ფედიჩკინი ინტერპრესნიუსის ფოტო

კიდევ რამდენიმეს დამატებაც გვსურს, რადგან უმაღლეს ლიგაში აუცილებლად უნდა გადავიდეთ.

**- საკრებულოს წევრებისადმი პატივისცემის მიუხედავად, გუნდის ხელმძღვანელის ფეხბურთში არც ისე კარგად ჩახედული ადამიანები რატომ ირჩევენ?**

- ეს გუნდი საკრებულოს ეკუთვნის, ის აფინანსებს და ცხადია, რომ დირექტორსაც დეპუტატები ნიშნავენ. არჩევნებამდე მათ კონსულტაციები გაიარეს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ფუტსალი

# სიტყვიერი ომი

ქართულ ფუტსალში ბრძოლა უაღრესად გამწვავდა. 24 ივლისს, საქართველოს ფუტსალის ასოციაციის (სფა) კონფერენციის დელეგატებმა **ლევან ცქიტიშვილი** პრეზიდენტის პოსტიდან გადააყენეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ასოციაციის ხელმძღვანელების (ცქიტიშვილი, გენერალური მდივანი - **ბექა კვიციანი, კახა დევდარიანი** - საპატიო პრეზიდენტი) წარმომადგენელმა **ნინო ნიშნიანიძემ** "ლელოსთან" განაცხადა, რომ კონფერენცია კანონდარღვევით ჩატარდა და იქ მიღებულ გადაწყვეტილებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია: „დაირღვა სფა-ს წესდება კონფერენციის მოწვევის შესახებ. დარღვეულია დელეგატთა რაოდენობის და კვოტის განსაზღვრისა და გამოქვეყნების სამთვიანი ვადა. კრებაზე მიღებული დოკუმენტაციის რეგისტრაცია კი საჯარო რეესტრის მიერ შეჩერდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლოში სარჩელის აღძრას ვაპირებთ".

ნიშნიანიძის კომენტარს ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრი **გიორგი დარჯანია** გამოეხმაურა:

"გავეცანი „ლელოში" დაბეჭდილ წერილს. კარგია, რომ ადვოკატის პირით გველაპარაკებიან. ადვოკატი მათ ნამდვილად სჭირდებათ, რადგან ფეხბურთის ფედერაციის წერილების მიხედვით, ამ ადამიანების მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტის ფულის ხარჯვასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები ჩნდება. რაც შეეხება, ქალბატონის ბრალდებებს, მათზე სერიოზულ პასუხს ვერ გაგცემთ. მაგალითად, ის გვედავება, რომ ექვსი თვის წინ გარდაცვლილ ვიცე-პრეზიდენტს კონფერენციის დანიშვნის შესახებ არ ვაცნობეთ. თქვენ გინდათ, ამ ბრალდებას სერიოზული პასუხი გავცე? ამ ქალბატონს მინდა ვთხოვო: სანამ რამეს დაგვიწერს, ჯერ თავის კლიენტებთან გაარკვიოს საქმის რეალური ვითარება. კარგი იქნება, იმასაც თუ აუხსნის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ფულის პირადი მიზნებისთვის გამოყენება არ შეიძლება. და საერთოდაც, სერიოზულად როგორ ვუპასუხო ბატონ კვიციანს, რომელიც მისთვის საჯაროდ დასმულ კითხვას - რატომ დახარჯა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეროვნული ნაკრებისთვის გამოყოფილი ფული კატის საკვებში, ქალის სამკაულებსა და სუნამოებში - პასუხობს, რომ „ვისკასი" მხოლოდ კატის საჭმელი არ არის (?!). გამოდის, რომ კვლევა უნდა ჩავატარო იმაზე, „ვისკასი" ხომ არ აჭამა ნაკრების ფეხბურთელებს. ამის მთქმელთან სერიოზული კამათი ჩემს შესაძლებლობებს აღემატება" – ამბობს დარჯანია.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. ტრანსფერების მიმოხილვა

# 23 მილიონი სათადარიგოთა სკამზე

## გერმანული კლუბების ყველა ახალწვეული, მათი მდგომარეობა და შანსები



„შალკეს“ სათადარიგოთა სკამზე საკმაოდ ძვირფასი ფეხბურთელები უზის, ტიაგო ალკანტარას (მარჯვნივ) „ბაიერნის“ სასტარტოში თამაში გარანტირებული აქვს

**ბუნდესლიგის ახალი სეზონის დაწყებამდე 10 დღით ადრე გადავწყვიტეთ, გერმანული კლუბების ტრანსფერები მიმოვიხილოთ და პირველივე შეჯამებისას საინტერესო შედეგი მივიღეთ: ბუნდესლიგის 18-მა კლუბმა ახალ ფეხბურთელებში აქამდე სულ 198 მილიონი ევრო დახარჯა, საინტერესო კი ის არის, რომ 23 მილიონი ისეთ მოთამაშეებშია გადახდილი, რომლებიც სათადარიგოთა სკამზე უნდა დასხდნენ.**

ისეთ ფეხბურთელებში, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში არ მოიაზრებიან, განსაკუთრებით ბევრი ფული „შალკემ“ დახარჯა. გელზენკირხენულ კლუბს **ადამ სალაი** (25 წლის, „მაინციდან“ იყიდეს), **ლეონ გორეტცკა** (18 წლის, „ბოხუმიდან“), **კრისტიან კლემენსი** (21 წლის, „კიოლნიდან“) და **ფელიპე სანტანა** (27 წლის, „დორტმუნდიდან“) ჯამში 14.55 მილიონი ევრო დაუჯდა, სასტარტოში თამაში კი არც ერთ მათგანს არ აქვს გარანტირებული. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ გერმანიის ჩემპიონატის პირველ ტურში (11 აგვისტოს, „ჰამბურგთან“) ძირითადში ვერც ერთი ვერ მოხვდება.

თუმცა ამ ფეხბურთელებმა „შალკეში“ კონკურენცია გაამძაფრეს, რაც ნებისმიერი გუნდისთვის კარგია, ოღონდ ამ დროს მწვრთნელს განსაკუთრებული როლი აქვს - მან ძირითადი შემადგენლობისა და სათადარიგო მოთამაშეებს შორის დაპირისპირება არ უნდა დაუშვას.

*„გუნდში ახლა მშვენიერი ატმოსფეროა, თუმცა მთავარი ისაა, თუ როგორი რეაქცია ექნებათ სეზონის დაწყების შემდეგ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვერ მოხვდებიან,“* - აცხადებს გელზენკირხენელთა თავკაცი **იენს კელერი.**

გერმანული კლუბებიდან ყველაზე დიდი და მძაფრი კონკურენცია მიუნხენის „ბაიერნში“ იქნება და აღსანიშნავია, რომ რეკორდმაისტერის ახალწვეულებიდან სასტარტოში ადგილი მხოლოდ **ტიაგო ალკანტარას** (22 წლის, „ბარსელონადან“ გადაიბირეს) აქვს გარანტირებული. **მარიო გიოტცე** ჯერ ტრავმირებულია და თავიდან ალბათ სკამზე ჯდომა მოუწევს, **იან კირხჰოფი** კი პირდაპირ სკამისთვის იყიდეს. დორტმუნდის „ბორუსიაში“ **ჰენრიხ მხითარიანი** (24 წლის, „შახტარიდან“) ძირითადში კი მოიაზრება, მაგრამ ტრავმირებულია და ბუნდესლიგის პირველ ტურებს გამოტოვებს. **პიერ-ემერიკ ობამეიანს** (24 წლის, „სენტ ეტიენიდან“) ჯერჯერობით საიმისო არაფერი ეტყობა, რომ სკამზე ჯდომა ითაკილოს.

„ლევერკუზენის“ ყველაზე საინტერესო შენაძენი უდავოდ ლეგენდარული **უვე ზეელერის** შვილიშვილი **ლევინ იოზთუნალია** - 17 წლის უნიჭიერეს ნახევარმცველს აქვს იმის შანსი, რომ მთელი სეზონის ყველაზე სენსაციური ახალწვეული გახდეს. „ფარმაცევტებმა“ იოზთუნალი „ჰამბურგს“ წაართვეს და „ლევერკუზენის“ თავკაცი **სამი ჰიიპია** ამბობს, ამ ასაკში ასეთი სოლიდურობა ძალიან იშვიათიაო. *„დარწმუნებული ვარ, რომ ერთხელაც ზეელერს ჩვენს ტრიბუნაზე ვიხილავ. უვე ლევერკუზენში თავისი შვილიშვილის თამაშის საყურებლად ჩამოვა,“* - სპორტული დირექტორის, **რუდი ფიოლერის** სიტყვებია. მოკლედ, „ბაიერის“ შეფები იოზთუნალიზე სერიოზულ იმედებს ამყარებენ.

მოდით, ერთად გადავხედოთ ბუნდესლიგის კლუბების ახალწვეულთა ამჟამინდელ სრულ ჩამონათვალს და თან მათი მდგომარეობა და შანსები გავაანალიზოთ.

### ბაიერნი

ძირითადში მოიაზრება: **ტიაგო ალკანტარა (25 მილიონი)**
კარგი შანსი აქვს: -
სკამზე დაჯდება: **კირხჰოფი (უფასო)**
ტრავმირებულია: **გიოტცე (37 მლნ)**

### დორტმუნდი

ძირითადში მოიაზრება: -
კარგი შანსი აქვს: **ობამეიანი (13 მლნ), სოკრატისი (8 მლნ)**
სკამზე დაჯდება: -
ტრავმირებულია: **მხითარიანი (25 მლნ)**

### ლევერკუზენი

ძირითადში მოიაზრება: **სონი (10 მლნ), დონატი (2.25 მლნ), სპაჰიჩი (0.4 მლნ)**
კარგი შანსი აქვს: **იოზთუნალი (უფასო)**
სკამზე დაჯდება: **პალოპი (უფასო), კრუზე (1.5 მლნ), ჰილბერტი (უფასო), სტაფილიდისი (1.5 მლნ)**
ტრავმირებულია: -

### შალკე

ძირითადში მოიაზრება: -
კარგი შანსი აქვს: -
სკამზე დაჯდება: **სალაი (8 მლნ), გორეტცკა (2.75 მლნ), კლემენსი (2.8 მლნ), სანტანა (1 მლნ)**
ტრავმირებულია: -

### ფრაიბურგი

ძირითადში მოიაზრება: **ჰანკე (უფასო), მეჰმედი, კოკელინი (ორივე არენდა), ფერნანდესი (0.5 მლნ)**
კარგი შანსი აქვს: **კლაუსი (1.3 მლნ)**
სკამზე დაჯდება: **პერგერი (0.03 მლნ), ჟულიენი (უფასო)**
ტრავმირებულია: **პილარი (არენდა)**



„დორტმუნდის“ ახალწვეული პიერ-ემერიკ ობამეიანი

### აინტრახტი

ძირითადში მოიაზრება: -
კარგი შანსი აქვს: **როზენტალი (უფასო), რუსი (0.4 მლნ), ფლუმი (2.2 მლნ), ხოსელუ (არენდა)**
სკამზე დაჯდება: **შრიოკი (უფასო), ვიდვალდი (უფასო), ბაკალორცი (0.07 მლნ)**
ტრავმირებულია: -

### ჰამბურგი

ძირითადში მოიაზრება: **ჯურუ (არენდა)**
კარგი შანსი აქვს: **სობიეხი (1.2 მლნ), ჩალჰანოღლუ (განათხოვრებული იყო), ზუა (1 მლნ), დემირბაი (უფასო)**
სკამზე დაჯდება: -
ტრავმირებულია: -

### გლადბახი

ძირითადში მოიაზრება: **რაფაელი (5.5 მლნ), კრუსი (2.5 მლნ)**
კარგი შანსი აქვს: **კრამერი (არენდა)**
სკამზე დაჯდება: -
ტრავმირებულია: -

### ჰანოვერი

ძირითადში მოიაზრება: **სანე (2 მლნ)**
კარგი შანსი აქვს: **პრიბი (2.5 მლნ)**
სკამზე დაჯდება: -
ტრავმირებულია: **ბიტენკური (2.8 მლნ), ბალასი (უფასო)**

### ნიურნბერგი

ძირითადში მოიაზრება: **გინჩეკი (1.5 მლნ), პოგატეცი (უფასო)**
კარგი შანსი აქვს: **დრმიჩი (2.2 მლნ)**
სკამზე დაჯდება: **სტეპინსკი (0.12 მლნ), ანგა (0.3 მლნ)**
ტრავმირებულია: -

### ვოლფსბურგი

ძირითადში მოიაზრება: -
კარგი შანსი აქვს: **ტ. კლოზე (5.5 მლნ)**
სკამზე დაჯდება: **გრიუნი (0.4 მლნ)**
ტრავმირებულია: **დ. კალიჯური (2.5 მლნ)**

### შტუტგარტი

ძირითადში მოიაზრება: **რაუში, შვააბი (ორივე უფასო)**
კარგი შანსი აქვს: **ლაიტნერი (1 მლნ, არენდა), ვერნერი (მეორე გუნდიდან)**
სკამზე დაჯდება: **აბდელაუ (3.5 მლნ), კირშბაუმი, სარარერი (ორივე უფასო)**
ტრავმირებულია: **როხასი (უფასო)**

### მაინცი

ძირითადში მოიაზრება: **პარკი (0.5 მლნ), ოკაზაკი (1.5 მლნ), პოლტერი (0.75 მლნ)**
კარგი შანსი აქვს: **დ. შაჰინი (1.5 მლნ), გაისი (1.2 მლნ)**
სკამზე დაჯდება: **კოხი (0.6 მლნ), მორიტცი (უფასო)**
ტრავმირებულია: -

### ვერდერი

ძირითადში მოიაზრება: **მაკიადი (3 მლნ), კალდიროლა (2.25 მლნ)**
კარგი შანსი აქვს: -
სკამზე დაჯდება: -
ტრავმირებულია: -

### აუგსბურგი

ძირითადში მოიაზრება: **ჰალილ ალთინთოფი (უფასო)**
კარგი შანსი აქვს: **ჰიტცი (უფასო), ჰოლცჰოიზერი (უფასო), ვლახოდიმოსი (არენდა)**
სკამზე დაჯდება: **ფეტში (0.2 მლნ)**
ტრავმირებულია: -

### ჰოფენჰაიმი

ძირითადში მოიაზრება: **მოდესტე (4.5 მლნ)**
კარგი შანსი აქვს: **ელიუნუსი (1.7 მლნ), ტოლიანი (მეორე გუნდიდან)**
სკამზე დაჯდება: **აკპოგუმა (0.45 მლნ)**
ტრავმირებულია: -

### ჰერტა

ძირითადში მოიაზრება: **ჰოსოგაი (1 მლნ), ლანგკამპი, ვან დერ ბერგი, ბაუმიოჰანი (ყველა უფასო)**
კარგი შანსი აქვს: -
სკამზე დაჯდება: -
ტრავმირებულია: -

### ბრაუნშვაიგი

ძირითადში მოიაზრება: **მ. კალიჯური (უფასო), იორლი (0.5 მლნ)**
კარგი შანსი აქვს: **ჰოხშაიდტი (0.4 მლნ)**
სკამზე დაჯდება: **პერთელი, ჯეკსონი (ორივე უფასო)**
ტრავმირებულია: -

ამბები

## საკუთარი კაბინეტი გვარდიოლას

**ხოსეპ გვარდიოლას** „ალიანს არენაზე“ თავისი საკუთარი კაბინეტი ექნება. ეს ინფორმაცია „ბაიერნის“ პრესსამსახურმა გუშინ გაავრცელა. პეპს უნდა, რომ თამაშების წინ, თამაშების დროს ან მატჩების შემდეგ გასახდელში გუნდის ცალკე დატოვება შეეძლოს და სამწვრთნელო შტაბისთვის კაბინეტი ამიტომაც მოითხოვა.

*„პეპისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ხანდახან ფეხბურთელებს გასახდელში მარტო დარჩენა შეეძლოთ,“* - ეს „ბაიერნის“ პრესმდივან **მარკუს ჰიორვიკის** სიტყვებია. გვარდიოლას წინამორბედ **იუპ ჰაინკესს** ასეთი კაბინეტი არ ჰქონია.

## ვოლფსბურგმა სისოკო ისევ განათხოვრა

„ვოლფსბურგმა“ ნახევარმცველი **იბრაჰიმა სისოკო** ისევ გაანათხოვრა. 21 წლის კოტ დ'ივუარელი ფეხბურთელი წინა სეზონში არენდის წესით ბერძნულ „პანათინაიკოსში“ თამაშობდა, მომავალ სეზონს კი ფრანგულ „სენტ ეტიენში“ გაატარებს. შეგახსენებთ, რომ ვოლფსბურგელებმა სისოკო 2012 წლის იანვარში პორტუგალიური „აკადემიკადან“ გადაიბირეს.

## ფოგტსი: ჯერ არ მივდივარ!



ბერტი ფოგტსი

გერმანელმა სპეციალისტმა **ბერტი ფოგტსმა** უარყო გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, რომ თითქოს უახლოეს მომავალში აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვებას აპირებს. *„ეს ჭორებია!* - აღნიშნა 66 წლის ბერტიმ, - *წელს კიდევ რამდენიმე საკვალიფიკაციო და ამხანაგური მატჩი გვაქვს დაგეგმილი, რომლებშიც აზერბაიჯანის ნაკრების თავკაცი აუცილებლად მე ვიქნები.“*

ამრიგად, ფოგტსი პოსტის ვადამდე დატოვებას გამორიცხავს, კონტრაქტი კი აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციასთან წლის ბოლოს უმთავრდება: *„წლის ბოლოს ხელშეკრულებას ვადა გასდის და 6 წელი შესრულდება მას მერე, რაც ამ თანამდებობაზე ვმუშაობ. დავსხდებით, განვლილ პერიოდს შევაჯამებთ და გადავწყვეტთ, რა იქნება მომავალში,“* - უთხრა ფოგტსმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს და მისი კრიტიკოსების საპასუხოდ, ირონიულად დასძინა: *„როცა მწვრთნელი ექვსი წლის განმავლობაში ვერც ერთ ტიტულს ვერ მოიგებს, ცხადია, რომ უნდა იმსჯელონ, სურთ თუ არა მასთან თანამშრომლობის გაგრძელება.“*

ბერტი ფოგტსი ახლა გერმანიაშია, აზერბაიჯანში კი მომავალ კვირას მიემგზავრება - გუნდი მალტასთან ამხანაგური მატჩისთვის უნდა მოამზადოს. წლის ბოლომდე აზერბაიჯანს თამაშები ისრაელთან, ჩრდილოეთ ირლანდიასთან, რუსეთთან, ესტონეთთან და ყირგიზეთთან ელის. აზერბაიჯანული პრესის ცნობით, ფოგტსთან ახალი კონტრაქტის გაფორმება გამორიცხულია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## ჰოლანდია 2013-14

## ერედივიზიის კალენდარი

### I ტური
**2 აგვისტო**
აიაქსი-როდა

**3 აგვისტო**
დენ ჰააგი-პსვ ეინდჰოვენი
ნიიმეგენი-გრონინგენი
ტვენტე-ვაალვიკი
ჰერენვეენი-ალკმაარი

**4 აგვისტო**
კამბური-ბრედა
უტრეხტი-იგლზი
ვიტესი-ჰერაკლესი
ცვოლე-ფეიენოორდი

### II ტური
**9 აგვისტო**
როდა-კამბური

**10 აგვისტო**
ჰერაკლესი-ცვოლე
იგლზი-დენ ჰააგი
ბრედა-ჰერენვეენი
პსვ ეინდჰოვენი-ნიიმეგენი

**11 აგვისტო**
ფეიენოორდი-ტვენტე
ალკმაარი-აიაქსი
გრონინგენი-უტრეხტი
ვაალვიკი-ვიტესი

### III ტური
**17 აგვისტო**
კამბური-გრონინგენი
პსვ ეინდჰოვენი-იგლზი
ვაალვიკი-ალკმაარი
ნიიმეგენი-ცვოლე
როდა-ვიტესი

**18 აგვისტო**
აიაქსი-ფეიენოორდი
ჰერენვეენი-ჰერაკლესი
ბრედა-დენ ჰააგი
ტვენტე-უტრეხტი

### IV ტური
**23 აგვისტო**
ჰერენვეენი-აიაქსი

**24 აგვისტო**
ნიიმეგენი-ვაალვიკი
დენ ჰააგი-როდა
ჰერაკლესი-პსვ ეინდჰოვენი
ცვოლე-კამბური

**25 აგვისტო**
იგლზი-გრონინგენი
ფეიენოორდი-ბრედა
ვიტესი-ტვენტე
უტრეხტი-ალკმაარი

### V ტური
**30 აგვისტო**
ბრედა-ნიიმეგენი

**31 აგვისტო**
ტვენტე-ჰერენვეენი
ჰერაკლესი-დენ ჰააგი
ვაალვიკი-იგლზი
პსვ ეინდჰოვენი-კამბური

**1 სექტემბერი**
გრონინგენი-აიაქსი
ალკმაარი-ვიტესი
ცვოლე-უტრეხტი
ფეიენოორდი-როდა

### VI ტური
**14 სექტემბერი**
აიაქსი-ცვოლე
დენ ჰააგი-ვიტესი
კამბური-ჰერაკლესი
ტვენტე-პსვ ეინდჰოვენი

**15 სექტემბერი**
ნიიმეგენი-ფეიენოორდი
ალკმაარი-იგლზი
ჰერენვეენი-გრონინგენი
როდა-ბრედა
უტრეხტი-ვაალვიკი

### VII ტური
**20 სექტემბერი**
იგლზი-კამბური

**21 სექტემბერი**
ჰერაკლესი-ტვენტე
დენ ჰააგი-ნიიმეგენი
გრონინგენი-ვაალვიკი
როდა-ჰერენვეენი

**22 სექტემბერი**
ვიტესი-ცვოლე
ფეიენოორდი-უტრეხტი
ბრედა-ალკმაარი
პსვ ეინდჰოვენი-აიაქსი

### VIII ტური
**28 სექტემბერი**
ალკმაარი-პსვ ეინდჰოვენი
ვაალვიკი-ჰერაკლესი
უტრეხტი-როდა
აიაქსი-იგლზი
ცვოლე-ბრედა

**29 სექტემბერი**
ნიიმეგენი-ვიტესი
ფეიენოორდი-დენ ჰააგი
ჰერენვეენი-კამბური
ტვენტე-გრონინგენი

### IX ტური
**4 ოქტომბერი**
კამბური-ტვენტე

**5 ოქტომბერი**
დენ ჰააგი-ჰერენვეენი
იგლზი-ნიიმეგენი
როდა-ცვოლე
ბრედა-ჰერაკლესი

**6 ოქტომბერი**
აიაქსი-უტრეხტი
გრონინგენი-ალკმაარი
ვიტესი-ფეიენოორდი
პსვ ეინდჰოვენი-ვაალვიკი

### X ტური
**19 ოქტომბერი**
იგლზი-ფეიენოორდი
გრონინგენი-პსვ ეინდჰოვენი
უტრეხტი-ბრედა
ვაალვიკი-როდა
ტვენტე-აიაქსი

**20 ოქტომბერი**
ჰერაკლესი-ნიიმეგენი
ჰერენვეენი-ვიტესი
ცვოლე-დენ ჰააგი
ალკმაარი-კამბური

### XI ტური
**25 ოქტომბერი**
ნიიმეგენი-ჰერენვეენი

**26 ოქტომბერი**
დენ ჰააგი-ტვენტე
კამბური-უტრეხტი
ბრედა-იგლზი
აიაქსი-ვაალვიკი

**27 ოქტომბერი**
როდა-პსვ ეინდჰოვენი
ფეიენოორდი-ჰერაკლესი
ცვოლე-ალკმაარი
ვიტესი-გრონინგენი

### XII ტური
**1 ნოემბერი**
ვაალვიკი-ბრედა

**2 ნოემბერი**
აიაქსი-ვიტესი
ალკმაარი-დენ ჰააგი
ტვენტე-ნიიმეგენი
პსვ ეინდჰოვენი-ცვოლე

**3 ნოემბერი**
გრონინგენი-როდა
კამბური-ფეიენოორდი
იგლზი-ჰერაკლესი
უტრეხტი-ჰერენვეენი

### XIII ტური
**8 ნოემბერი**
ჰერენვეენი-ვაალვიკი

**9 ნოემბერი**
როდა-იგლზი
ჰერაკლესი-გრონინგენი
ბრედა-პსვ ეინდჰოვენი
დენ ჰააგი-კამბური

**10 ნოემბერი**
ცვოლე-ტვენტე
ნიიმეგენი-აიაქსი
ვიტესი-უტრეხტი
ფეიენოორდი-ალკმაარი

### XIV ტური
**23 ნოემბერი**
პსვ ეინდჰოვენი-ჰერენვეენი
ალკმაარი-როდა
კამბური-ნიიმეგენი
აიაქსი-ჰერაკლესი

**24 ნოემბერი**
უტრეხტი-დენ ჰააგი
ვაალვიკი-ფეიენოორდი
იგლზი-ვიტესი
გრონინგენი-ცვოლე
ტვენტე-ბრედა

### XV ტური
**29 ნოემბერი**
როდა-ტვენტე

**30 ნოემბერი**
ცვოლე-ვაალვიკი
ჰერენვეენი-იგლზი
ბრედა-გრონინგენი
ნიიმეგენი-ალკმაარი

**1 დეკემბერი**
დენ ჰააგი-აიაქსი
ფეიენოორდი-პსვ ეინდჰოვენი
ვიტესი-კამბური
ჰერაკლესი-უტრეხტი

### XVI ტური
**6 დეკემბერი**
უტრეხტი-ნიიმეგენი

**7 დეკემბერი**
აიაქსი-ბრედა
ალკმაარი-ტვენტე
ვაალვიკი-კამბური
პსვ ეინდჰოვენი-ვიტესი

**8 დეკემბერი**
ჰერენვეენი-ფეიენოორდი
იგლზი-ცვოლე
გრონინგენი-დენ ჰააგი
როდა-ჰერაკლესი

### XVII ტური
**13 დეკემბერი**
ცვოლე-ჰერენვეენი

**14 დეკემბერი**
ნიიმეგენი-როდა
დენ ჰააგი-ვაალვიკი
ტვენტე-იგლზი

**15 დეკემბერი**
კამბური-აიაქსი
ფეიენოორდი-გრონინგენი
ჰერაკლესი-ალკმაარი
ვიტესი-ბრედა
უტრეხტი-პსვ ეინდჰოვენი

### XVIII ტური
**20 დეკემბერი**
ვაალვიკი-ტვენტე

**21 დეკემბერი**
ალკმაარი-ჰერენვეენი
ჰერაკლესი-ვიტესი
ბრედა-კამბური
ფეიენოორდი-ცვოლე

**22 დეკემბერი**
როდა-აიაქსი
იგლზი-უტრეხტი
გრონინგენი-ნიიმეგენი
პსვ ეინდჰოვენი-დენ ჰააგი

### XIX ტური
**17 იანვარი**
ტვენტე-ჰერაკლესი

**18 იანვარი**
ალკმაარი-ბრედა
ცვოლე-ვიტესი
ვაალვიკი-გრონინგენი
ჰერენვეენი-როდა

**19 იანვარი**
ნიიმეგენი-დენ ჰააგი
კამბური-იგლზი
უტრეხტი-ფეიენოორდი
აიაქსი-პსვ ეინდჰოვენი

### XX ტური
**24 იანვარი**
ჰერაკლესი-ვაალვიკი

**25 იანვარი**
დენ ჰააგი-ფეიენოორდი
ბრედა-ცვოლე
როდა-უტრეხტი
პსვ ეინდჰოვენი-ალკმაარი

**26 იანვარი**
კამბური-ჰერენვეენი
ვიტესი-ნიიმეგენი
იგლზი-აიაქსი
გრონინგენი-ტვენტე

### XXI ტური
**31 იანვარი**
ფეიენოორდი-ვიტესი

**1 თებერვალი**
ჰერენვეენი-დენ ჰააგი
ჰერაკლესი-ბრედა
ცვოლე-როდა
ალკმაარი-გრონინგენი

**2 თებერვალი**
უტრეხტი-აიაქსი
ნიიმეგენი-იგლზი
ტვენტე-კამბური
ვაალვიკი-პსვ ეინდჰოვენი

### XXII ტური
**4 თებერვალი**
როდა-ფეიენოორდი
დენ ჰააგი-ჰერაკლესი
ვიტესი-ალკმაარი

**5 თებერვალი**
კამბური-პსვ ეინდჰოვენი
იგლზი-ვაალვიკი
ნიიმეგენი-ბრედა
ჰერენვეენი-ტვენტე

**6 თებერვალი**
უტრეხტი-ცვოლე
აიაქსი-გრონინგენი

### XXIII ტური
**7 თებერვალი**
ვიტესი-დენ ჰააგი

**8 თებერვალი**
პსვ ეინდჰოვენი-ტვენტე
იგლზი-ალკმაარი
ბრედა-როდა
ფეიენოორდი-ნიიმეგენი

**9 თებერვალი**
ჰერაკლესი-კამბური
ცვოლე-აიაქსი
ვაალვიკი-უტრეხტი
გრონინგენი-ჰერენვეენი

### XXIV ტური
**14 თებერვალი**
პსვ ეინდჰოვენი-ჰერაკლესი

**15 თებერვალი**
ტვენტე-ვიტესი
როდა-დენ ჰააგი
ვაალვიკი-ნიიმეგენი
ალკმაარი-უტრეხტი

**16 თებერვალი**
კამბური-ცვოლე
გრონინგენი-იგლზი
ბრედა-ფეიენოორდი
აიაქსი-ჰერენვეენი

### XXV ტური
**21 თებერვალი**
დენ ჰააგი-იგლზი

**22 თებერვალი**
ჰერენვეენი-ბრედა
კამბური-როდა
ცვოლე-ჰერაკლესი
ნიიმეგენი-პსვ ეინდჰოვენი

**23 თებერვალი**
უტრეხტი-გრონინგენი
აიაქსი-ალკმაარი
ვიტესი-ვაალვიკი
ტვენტე-ფეიენოორდი

### XXVI ტური
**28 თებერვალი**
ჰერაკლესი-ჰერენვეენი

**1 მარტი**
ცვოლე-ნიიმეგენი
დენ ჰააგი-ბრედა
ალკმაარი-ვაალვიკი
ვიტესი-როდა

**2 მარტი**
უტრეხტი-ტვენტე
ფეიენოორდი-აიაქსი
გრონინგენი-კამბური
იგლზი-პსვ ეინდჰოვენი

### XXVII ტური
**8 მარტი**
ალკმაარი-ჰერაკლესი
ჰერენვეენი-ცვოლე
ბრედა-ვიტესი
როდა-ნიიმეგენი
პსვ ეინდჰოვენი-უტრეხტი

**9 მარტი**
ვაალვიკი-დენ ჰააგი
იგლზი-ტვენტე
გრონინგენი-ფეიენოორდი
აიაქსი-კამბური

### XXVIII ტური
**14 მარტი**
კამბური-ვაალვიკი

**15 მარტი**
ვიტესი-პსვ ეინდჰოვენი
დენ ჰააგი-გრონინგენი
ჰერაკლესი-როდა
ბრედა-აიაქსი

**16 მარტი**
ტვენტე-ალკმაარი
ნიიმეგენი-უტრეხტი
ცვოლე-იგლზი
ფეიენოორდი-ჰერენვეენი

### XXIX ტური
**21 მარტი**
ალკმაარი-ცვოლე

**22 მარტი**
ვაალვიკი-აიაქსი
ჰერენვეენი-ნიიმეგენი
პსვ ეინდჰოვენი-როდა
ტვენტე-დენ ჰააგი

**23 მარტი**
იგლზი-ბრედა
გრონინგენი-ვიტესი
უტრეხტი-კამბური
ჰერაკლესი-ფეიენოორდი

### XXX ტური
**28 მარტი**
ბრედა-უტრეხტი

**29 მარტი**
ვიტესი-ჰერენვეენი
კამბური-ალკმაარი
ნიიმეგენი-ჰერაკლესი
პსვ ეინდჰოვენი-გრონინგენი

**30 მარტი**
ფეიენოორდი-იგლზი
აიაქსი-ტვენტე
როდა-ვაალვიკი
დენ ჰააგი-ცვოლე

### XXXI ტური
**4 აპრილი**
ცვოლე-გრონინგენი

**5 აპრილი**
ჰერენვეენი-პსვ ეინდჰოვენი
ბრედა-ტვენტე
ნიიმეგენი-კამბური
ჰერაკლესი-იგლზი

**6 აპრილი**
დენ ჰააგი-უტრეხტი
ფეიენოორდი-ვაალვიკი
ვიტესი-აიაქსი
როდა-ალკმაარი

### XXXII ტური
**11 აპრილი**
გრონინგენი-ბრედა

**12 აპრილი**
იგლზი-ჰერენვეენი
ალკმაარი-ნიიმეგენი
კამბური-ვიტესი
ტვენტე-როდა

**13 აპრილი**
აიაქსი-დენ ჰააგი
უტრეხტი-ჰერაკლესი
ვაალვიკი-ცვოლე
პსვ ეინდჰოვენი-ფეიენოორდი

### XXXIII ტური
**27 აპრილი**
დენ ჰააგი-ალკმაარი
ფეიენოორდი-კამბური
ჰერენვეენი-უტრეხტი
ჰერაკლესი-აიაქსი
ბრედა-ვაალვიკი
ნიიმეგენი-ტვენტე
ცვოლე-პსვ ეინდჰოვენი
როდა-გრონინგენი
ვიტესი-იგლზი

### XXXIV ტური
**3 მაისი**
ალკმაარი-ფეიენოორდი
აიაქსი-ნიიმეგენი
კამბური-დენ ჰააგი
იგლზი-როდა
გრონინგენი-ჰერაკლესი
პსვ ეინდჰოვენი-ბრედა
ტვენტე-ცვოლე
უტრეხტი-ვიტესი
ვაალვიკი-ჰერენვეენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი



ხოსეპ გვარდიოლა (მარცხნივ) ბასტიან შვაინშტაიგერს ძირითად შემადგენლობაში არ მოიაზრებს?

# გვარდიოლას დაპირება: ყველაფერი კარგად იქნება!

## პეპი მხოლოდ შეტევაზე ფიქრობს და უკანა ხაზი უშიშვლდება

**პეპ გვარდიოლა** კარგი საფეხბურთო მასწავლებელია - ამაზე გერმანიაში არავინ დავობს. მართალია, „ბაიერნი" სუპერთასისთვის ბრძოლაში „დორტმუნდთან" 2:4 დამარცხდა, მაგრამ გვარდიოლას მეორე დღეს მაინც კარგი პრესა ჰქონდა. „ბორუსიასთან" შეხვედრაში გამოჩნდა, რომ ესპანელმა გუნდი დიდწილად უკვე დაიმორჩილა, მაგრამ გამოჩნდა ისიც, რომ პეპს ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვს.

„დორტმუნდთან" მატჩში გვარდიოლა თითქმის მთელი 90 წუთი ფეხზე იქდგა და შეგირდებს ჟესტიკულაციებით თუ სიტყვებით სხვადასხვა დავალებას აძლევდა. პეპი პაუზების დროსაც კი არ ცხრებოდა და ასე ვთქვათ, კალათბურთის მწვრთნელივით აქტიური იყო. მიუნხენელებს „დორტმუნდთან" წაგება არ ესიამოვნათ, მაგრამ გვარდიოლა არავის გაუკრიტიკებია. თუმცალა, ამ მატჩმა აშკარად გამოაჩინა ის, რომ „ბაიერნის" თამაში არც ისეთი სრულყოფილი ყოფილა, როგორც ტესტ-მატჩებში ჩანდა.

*„ბოლო დღეებში ჩვენზე მხოლოდ ალმატებით ფორმაში საუბრობდნენ. ყველა ამბობდა, „ბაიერნი" სრულყოფილი გუნდია, გუნდი ახალ სეზონს იდეალურ ფორმაში ხვდებაო, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ასე არ არის და ვფიქრობ, რომ ეს „დორტმუნდთან" შეხვედრაში კარგად გამოჩნდა,"* - აცხადებს მიუნხენური გრანდის კაპიტანი **ფილიპ ლამი** და დასძენს: *„თუ გვინდა, რომ ბუნდესლიგის სტარტს მართლაც იდეალური მზადყოფნით შევხვდეთ, ამ 10 დღეში მაგრად უნდა ვიმუშაოთ."*

მუშაობა პირველ რიგში გვარდიოლას ტაქტიკის სრულფასოვნად გათავისებაზე უნდა გაგრძელდეს. ფაქტია, რომ პეპის 4-1-4-1-ს ბავარიელებმა ალლო ჯერ ისე ვერ აუღეს, როგორც ამას თავად ესპანელი სპეციალისტი ინატრებდა. პეპის წინამორბედი **იუპ ჰაინკესი** გუნდს 4-2-3-1 სქემით ათამაშებდა და ამ სქემაში მთავარი მაინც უკანა ხაზის სტაბილურად მოწოდების სიმაღლეზე დგომა გახლდათ. მართალია, ვერავინ იტყვის, რომ ჰაინკესის ხელში „ბაიერნი" დაცვაზე ორიენტირებული იყო, მაგრამ „დონ იუპის" საფეხბურთო იდეოლოგიის მთავარი ასპექტი სწორედ საკუთარი კარის უსაფრთხოება, მცველებისა და საყრდენი ნახევარმცველების კომპაქტურად დგომა იყო.

გვარდიოლას ხელში კი ვითარება შეიცვალა და პრიორიტეტი პეპის საფეხბურთო ფილოსოფიის უმთავრეს ლაიტმოტივებს, ბურთის ფლობას, პოზიციების მუდმივ ცვლას, სწრაფ, მოკლე პასებს და ერთი სიტყვით, მასირებულ შეტევას მიენიჭა. სწორედ ეს არის პეპის ხელწერა, რაც „ბაიერნს" უკვე ეტყობა, მაგრამ ახალ სქემაზე გადაწყობა თავის მხრივ პრობლემატურიც ალმოჩნდა.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ გვარდიოლას ტაქტიკა მხოლოდ ერთ კლასიკურ საყრდენ ნახევარმცველს გულისხმობს, რასაც ბავარიელები ჯერ ვერ შეეგუვნენ. თანაც, პეპი ფეხბურთელებს ძალიან ხშირად უცვლის პოზიციებს: მაგალითად, „დორტმუნდთან" **თომას მიულერი** ცენტრალური შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშა, **კროოსი** და **ალკანტარა** ერთმანეთში პოზიციებს ცვლიდნენ, ლამი კი მარჯვენა მცველის პოზიციაზე დააბრუნა (წინა ორ ტესტმატჩში ფილიპი ნახევარდაცვაში ჰყავდა). მოულოდნელი იყო პეპის გადაწყვეტილება წინა ხაზზეც: „დორტმუნდთან" **მარიო მანჯუკიჩი** თავიდან მარცხენა გარემარბის პოზიციაზე (!) ვიხილეთ, ცენტრში კი, ყველაზე წინ **ჯერდან შაჩირი** ირჯებოდა (**რობენი** მარჯვნიდან უტევდა). მეორე ტაიმში რობენი მარცხნივ გადავიდა, შაჩირი - მარჯვნივ, ხოლო მანჯუკიჩი მისთვის ჩვეულ, ცენტრფორვარდის პოზიციაზე დადგა.

ფეხბურთელები ადრე თუ გვიან ნებისმიერ ტაქტიკას ეგუებიან ხოლმე, ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ გვარდიოლას იდეა მხოლოდ შეტევაზე ორიენტირებული ფეხბურთია.

*„დორტმუნდთან" შეცდომაც ბევრი იყო, რომლებსაც აუცილებლად გამოვასწორებთ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდა,"* - ამბობს 42 წლის პეპი.

### ზამერი: შვაინშტაიგერი უალტერნატივოა!

როგორც იცით, გერმანელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა „კიკერის" ტრადიციულ გამოკითხვაში გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად **ბასტიან შვაინშტაიგერი** დაასახელეს. სწორედ ამ თემას მოჰყვა დისკუსია იმის შესახებ, რომ შესაძლოა, გვარდიოლას 28 წლის ნახევარმცველი ალარც სჭირდებოდეს. საქმე იმაშია, რომ პეპი 4-1-4-1 ტაქტიკურ სქემაში საყრდენად ყოველთვის ტიაგო ალკანტარას ათამაშებს ხოლმე, რაც იწვევს ეჭვს, რომ პეპის სქემაში შვაინშტაიგერის ადგილი არაა. ამ თემას გუშინ „ბაიერნის" სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** გამოეხმაურა.

*„ბასტიანის შესახებ ნებისმიერი სახის დისკუსია დაუშვებელია. შვაინშტაიგერი „ბაიერნის" ლიდერია და მის გარეშე ეს გუნდი ვერ წარმომიდგენია. პირადად ჩემი აზრით, შვაინშტაიგერი დღესდღეობით მსოფლიოში საუკეთესო ნახევარმცველია. მისი შესაძლებლობების ან შანსების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება არ შეიძლება,"* - უთხრა ზამერმა ჟურნალ „შპორტ ბილდს" და ამ განცხადებით გვარდიოლას ირიბად მოუწოდა, რომ „შვაინიმ" ძირითადში უნდა ითამაშოს. გაითვალისწინებს თუ არა პეპი შეფის აზრს, ამ კითხვაზე პასუხს დრო გაგვცემს, უფრო კონკრეტულად, ბუნდესლიგის პირველივე ტურში მივილებთ...

**გოტფრიდ ლენცი**

ტრაგედიის შემდეგ

# სიკვდილის წინ ჩუჩო დამემშვიდობა

ეკვადორელი **კრისტიან ბენიტესის** სიკვდილმა მთელი საფეხბურთო მსოფლიო შოკში ჩააგდო. 27 წლის ფეხბურთელის გარდაცვალების მიზეზი გახდა გულის შეტევა, რომელიც პერიტონიტმა გამოიწვია. „ბირმინგემის" ყოფილი ფეხბურთელის უკანასკნელ საათებზე მისმა მეუღლემ, **ლისეთ ჩალამ** ისაუბრა:

*„კვირას, დაახლოებით 20:30 საათზე ის საავადმყოფოში მოათავსეს. თავიდან ტკივილგამაყუჩებელი მისცეს და ამან ტკივილი დააცხრო, თუმცა წამლებმა დიდხანს ვერ იმოქმედეს და მალე მისი ტკივილი აუტანელი გახდა. ის თითქოს მიხვდა, რომ კვდებოდა და მითხრა, რომ ბავშვებისთვის მიმეხედა. ამის შემდეგ, მას კონვულსიები დაეწყო და გარდაიცვალა".*

შეგახსენებთ, რომ „ჩუჩო" ბენიტესი ყატარულ „ალ-ჯაიშში" რამდენიმე კვირის წინ მექსიკური „ამერიკადან" გადავიდა, რომელმაც მის ტრანსფერში 11,5 მილიონი ევრო მიიღო, თუმცა ეკვადორელი ისე გარდაიცვლა, რომ ახალ კლუბში ერთხელაც არ უთამაშია.

გუშინაც მოგახსენეთ და დღესაც გავიმეორებთ: რომ არა ეს ტრაგედია, რამდენიმე წელიწადში ბენიტესი ეკვადორის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდებოდა, რადგან მან ნაკრებში 24 ბურთი გაიტანა, რაც მესამე შედეგია, მის წინ მყოფ ორ ფეხბურთელს (**ედუარდო ურტადო** - 26 გოლი და **აგუსტინ დელგადო** - 31 გოლი) კი კარიერა დიდი ხნის დასრულებული აქვთ.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## რივერი ტეო გუტიერესით გაძლიერდა

„რივერ პლეიტმა" მექსიკური „კრუს ასულიდან" **ტეოფილო გუტიერესი** შეიძინა და კოლუმბიელი ფორვარდი არგენტინაში დააბრუნა. გუტიერესმა 2011/12 წლების სეზონი „რასინგში" გაატარა, სადაც გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა, მაგრამ რთული ხასიათის გამო, ტეო სეზონის დასრულების შემდეგ კლუბიდან წავიდა.

28 წლის ფორვარდი, რომელსაც კოლუმბიის ნაკრებში 10 გოლი აქვს გატანილი (23 თამაშში), „რივერს" 2,4 მილიონი ევრო დაუჯდა. „მილიონარიოსმა" ფეხბურთელზე უფლებების 50 პროცენტი შეიძინა.

გუტიერესი **რამონ დიასის** მეხუთე შენაძენია. მანამდე, 53 წლის სპეციალისტმა „ინდეპენდიენტედან" **ოსმარ ფერეირა** და 19 წლის ფორვარდი **მარტინ ბენიტესი** (იჯარა) გადაიბირა, სარანდის „არსენალიდან" „რივერს" კიდევ ერთი კოლუმბიელი შემტევი **კარლოს კარბონერო**, ხოლო „სერო პორტენიოდან" ნახევარმცველი **ხონათან ფაბრო** შეუერთდა.

## სენტ ეტიენი ძლიერდება

**პიერ-ემერიკ ობამეიანის** დაკარგვის მიუხედავად, „სენტ ეტიენს" მომავალ სეზონშიც საკმაოდ ძლიერი გუნდი ეყოლება. „მწვანეებმა" რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელის შემდეგ, „ლორიანიდან" **ბენჟამენ კორნე** შეიძინეს და ნახევარდაცვის ხაზი გააძლიერეს, გუშინ კი საფრანგეთის 10-გზის ჩემპიონმა ორი ფეხბურთელი გაიფორმა. საფრანგეთის ჩემპიონატში ერთწლიანი იჯარით „ვოლფსბურგის" 21 წლის ფორვარდი **იბრაჰიმ სისოკო** გადავიდა, ხოლო „ტულუზმა" 5 მილიონ ევროდ გუნდის ლიდერი **ფრანკ ტაბანუ** გაყიდა.



ფრანკ ტაბანუ

კოტდივუარელმა სისოკომ, რომელმაც წინა სეზონი „პანათინაიკოსში" ასევე იჯარით გაატარა და მხოლოდ 2 გოლი გაიტანა, 2-ნომრიანი მაისურა შეარჩია, 24 წლის ტაბანუ კი 5 ნომრით ითამაშებს. „ტულუზის" ყოფილმა ფეხბურთელმა ახალ კლუბთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„მწვანეების" მთავარი მწვრთნელი **კრისტოფ გალტიე** ამ ტრანსფერებზე გაჩერებას არ აპირებს - 46 წლის სპეციალისტი მინიმუმ ერთი ფორვარდის შეძენას გეგმავს, რათა ობამეიანგის წასვლით გაჩენილი სიცარიელე საბოლოოდ ამოავსოს.

## გუისა პარაგვაიში წავიდა

ლა ლიგის 2007/08 წლების სეზონის საუკეთესო ბომბარდირი (27 გოლით) და 2008 წლის ევროპის ჩემპიონი **დანიელ გუისა** კარიერას „სერო პორტენიოში" გააგრძელებს. უკანასკნელი სეზონი „ხეტაფეს" საკუთრებაში მყოფმა ფეხბურთელმა იჯარით მალაიზიის (!) კლუბ „ჯოჰორ დარულ ტაკზიმში" გაატარა, სადაც 10 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა. სხვათა შორის, სწორედ ამ კლუბში აპირებს გადასვლას **პაბლო აიმარი**, რომელიც „ბენფიკადან" წავიდა.

დანიელ გუისამ უამრავ კლუბში ითამაშა, თუმცა ყველაზე უკეთ „ხეტაფეში" (2005-07) და „მალიორკაში" (2007/08) გაისარჯა. სწორედ ბალეარის კუნძულზე ყოფნის დროს მოიგო მან „პიჩიჩი" და ესპანეთის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზეც გაემგზავრა, სადაც ორი გოლიც გაიტანა, მათ შორის ერთი 1/2 ფინალში, რუსეთის კარში.

ევრო 2008-ის შემდეგ, ესპანელი ფორვარდი „ფენერბაჰჩეში" გადავიდა. თურქეთში გუისამ სამი სეზონი გაატარა და 2011 წელს „ხეტაფეში" დაბრუნდა, თუმცა მადრიდში თავი ველარ დაიმკვიდრა და როგორც მოგახსენეთ, უკანასკნელი სეზონი მალაიზიაში გაატარა.

32 წლის ფორვარდის ახალი კლუბი პარაგვაის 29-გზის ჩემპიონია და ამ მხრივ, მხოლოდ წლევანდელი ლიბერტადორესის თასის ფინალისტ „ოლიმპიას" ჩამორჩება, ვისაც ქვეყნის საუკეთესო გუნდის ტიტული 39-ჯერ აქვს მოგებული.

## აბელ ბრაგა მაინც გააგდეს



აბელ ბრაგა

გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ, რომ მიუხედავად კატასტროფული ასპარეზობისა, „ფლუმინენსეს" მწვრთნელი **აბელ ბრაგა** თავის მომავალზე არ წუხდა და აცხადებდა, რომ დირექტორატი და კლუბის ხელმძღვანელები ბოლომდე ენდობოდნენ. როგორც ჩანს, 2012 წლის ბრაზილიის საუკეთესო მწვრთნელი დეზინფორმაციის მსხვერპლი გახდა, რადგან ამ განცხადებიდან მეორე დღეს, 60 წლის სპეციალისტი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ბრაგა „ფლუში" 2011 წლის შემოდგომაზე მივიდა და ერთი წლის შემდეგ კლუბს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოუტანა, თუმცა წელს მისმა გუნდმა ვერც კარიოკაზე (რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონატი) იყოჩალა, ლიბერტადორესის თასზე კი 1/4 ფინალიდან გამოვარდა. ამ ყველაფერს ბრაზილიის ჩემპიონატში ალებული წარუმატებელი სტარტი (6 მარცხი 9 ტურში) დაემატა და მწვრთნელი უმუშევარი დარჩა. „ფლუმინენსე" 9 ტურის შემდეგ მე-18 ადგილს იკავებს და რაც უფრო მნიშვნელოვანია, 2012 წლის ბრაზილიის ჩემპიონმა ბოლო ხუთი მატჩი წააგო. ბრაზილიელი ჟურნალისტების ცნობით, ბრაგას შეცვლის ყველაზე დიდი შანსი **ვანდერლეი ლუშემბურგოს, ნეი ფრანკოს** და **კრისტოვაო ბორჟესს** აქვთ - „ფლუმინენსეს" ხელმძღვანელები ახალ მთავარ მწვრთნელს სწორედ ამ სამეულიდან შეარჩევენ.

## სანტიაგო სილვა „ლანუსში"

32 წლის **სანტიაგო სილვა** „ლანუსში" გადავიდა. „ბოკა ხუნიორსმა" ურუგვაელი ფორვარდის ტრანსფერში 1,1 მილიონი ევრო მიიღო. დასრულებულ სეზონში „ტანკემ" (ორი ტურნირის ჯამში) 11 გოლი გაიტანა (28 თამაშში) და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, თუმცა მიუხედავად ამისა, უკვე სეზონის მიმდინარეობისას გახდა გასაგები, რომ **კარლოს ბიანკის** გამოცდილი თავდამსხმელი ალარ სჭირდებოდა - სეზონის დასკვნით ნაწილში სილვა შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა და მხოლოდ ცვლილებაზე თუ გამოდიოდა.

სილვას კარიერაში ყველაზე წარმატებული პერიოდი 2007-11 წლები იყო, როდესაც ის „ველეს სარსფილდს" ეკუთვნოდა. „ველესში" „ტანკე" არგენტინის ჩემპიონი (2011 წლის კლაუსურა) და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი (2010 წლის აპერტურა) გახდა. გარდა ამისა, 2009 წელს ურუგვაელმა იჯარით „ბანფილდში" გაატარა და ამ კლუბშიც იგივე ტიტულები მოიგო: გახდა არგენტინის ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი (2009 წლის აპერტურა). „ბოკაში" სილვა „ფიორენტინადან" გადავიდა, სადაც წარუმატებელი 6 თვე გაატარა, რომლის დროსაც სულ 12 შეხვედრაში ითამაშა და სულ რალაც 1 გოლი გაიტანა. „ბოკა ხუნიორსში" ურუგვაელმა 56 მატჩი გამართა და თავი 20-ჯერ გამოიჩინა.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი



# მოთმინება, ბატონებო, მოთმინება

**დევიდ მოიესისთვის** „მანჩესტერ იუნაიტედი" ჯერ კიდევ ვერ იქცა იმ ადგილად, სადაც ის თავს ბოლომდე კომფორტულად გრძნობს. სეზონი ჯერ არ დაწყებულა და შოტლანდიელმა გულშემატკივრებს სალაპარაკო უკვე მისცა, რადგან სატრანსფერო ბაზარზე ის ჯერჯერობით მეტისმეტად პასიურია. ფანებს ეჩვენებათ, რომ უშუალო კონკურენტების გაძლიერების ფონზე „იუნაიტედის" საჩემპიონო შანსები შემცირდება. მოიესი კი ამტკიცებს, რომ მისი გუნდი მეტოქეებს არ უფრთხის. მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც არ აპირებს მოვლენათა ფორსირებას და მიაჩნია, რომ „იუნაიტედმა" აღებულ კურსს არ უნდა გადაუხვიოს. აი, რას ამბობს მოიესი:

*- როცა თამაშს იგებ, ხალხს ჰგონია, რომ შენს საქმეში ძლიერი ხარ, თუმცა საკმარისია მომდევნო შეხვედრა დათმო, რომ უკვე არაფრის მაქნისი გამოდიხარ. იმედს იტოვებ, რომ რადიკალ გულშემატკივრებს რაციონალური აზროვნების უნარი აღმოაჩნდებათ, თუმცა მათ არ ესმით, თუ რას აპირებ შენ. „იუნაიტედის" მწვრთნელობა დიდი საქმეა. მე ჯერ კიდევ მჭირდება დრო აქაურობასთან შესაგუებლად.*

*საკითხის ასე დაყენება, ეშინია თუ არა „მანჩესტერს" ვინმესი, არასწორია. კი არ გვეშინია, უფრო მეტსაც გეტყვით, გვიხარია, რომ ჩვენს მეტოქეებთან გვიწევს კონკურენცია. სატრანსფერო ბაზარზე „პარი სენ-ჟერმენის" გამოჩენამ პროცესის ტრადიციული რიტმი დაარღვია, მაგრამ „იუნაიტედი" ამ მხრივაც კონკურენტუნარიანია. ჩვენს კლუბს ერთი დიდი პლუსი აქვს, რასაც ვერავინ დაგვიკარგავს - ისტორია. „იუნაიტედის" ავტორიტეტი ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი გამოცდაა.*

*პირველი ტურნე ახალ გუნდთან ერთად ჩემთვისაც უდიდესი გამოცდილება იყო. საშუალება მომეცა, თავად დავრწმუნებულიყავი, თუ რამდენად პოპულარულია ეს კლუბი მსოფლიოში. ამას გარდა ახლოს გავიცანი ფეხბურთელები. ალექს ფერგიუსონის შემდეგ ბიჭებს ჩემი მეთოდების გაცნობაც მოუხდათ. ერთმანეთთან ადაპტაციის პერიოდი გარკვეული პერიოდი კიდევ გაგრძელდება.*

მანჩესტერ სიტი

# ახალი თემა: ჯეკო და ტოტენჰემი

**სწორედ** ამ დღეებში ვწერდით, რომ „მანჩესტერ სიტის" თავკაცი **მანუელ პელეგრინი ედინ ჯეკოს** გაყიდვას არ აპირებს, რადგან მასზე დიდ იმედებს ამყარებს. მიუხედავად ამისა, ინგლისური პრესა არ ცხრება. ორშაბათს „ინდეპენდენტმა" ბოსნიელის სავარაუდო ტრანსფერზე მოზრდილი სტატია შემოგვთავაზა. ჯეკო „სიტისთან" დაკავშირებული ერთადერთი აქტუალური თემა არ არის. კლუბის ვებგვერდმა სტუმრებს მოარული ხმების შეჯამება შესთავაზა.



რამდენიმე დღის წინ ედინ ჯეკომ „მანჩესტერ სიტის" „ბარკლაის აზიის თასი" მოაგებინა

„ბარკლაის აზიის თასზე" წარმატებული თამაშისთვის ედინ ჯეკომ ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა და, როგორც ჩანს, ამით მეორე მონაწილის ყურადღება მიიქცია. „ინდეპენდენტის" ცნობით, იმ შემთხვევაში, თუკი „ვალენსიასთან" **რობერტო სოლდადოზე** შეთანხმება ვერ მოხერხდება, „დეზები" ჯეკოს შეძენას შეეცდებიან. ჟურნალისტი **ჯეკ დე მენეზესი** წერს: „თანხა, რასაც „ტოტენჰემი" სოლდადოში იხდის, ესპანელთა მიერ მოთხოვნილზე 3.3 მილიონით ნაკლებია. „ვალენსიას" კი არ სურს გუნდის ლიდერის ნაკლებად გაყიდვა. თუკი მხარეები ვერ შეთანხმდებიან, ჩრდილოლონდონელები „უაით ჰართ ლეინზე" ჯეკოს გადაბირებას შეეცდებიან, რადგან გუნდში ჩამოყალიბებულ ახალ იერარქიაში ბოსნიელის ღირებულება ახალწვეულების, **სტევან იოვეტიჩისა** და **ალვარო ნეგრედოს** პოზიციებს ჩამოუვარდება".

## ნასტასიჩის შემცვლელს არ იყიდიან

ახლა კი „სიტის" შესახებ სხვა თემებზე გადავიდეთ. მაგალითად, ვნახოთ, რა იწერება **მატია ნასტასიჩის** ტრავმაზე. „გარდიანი" ვარაუდობს, რომ სერბი უკანახაზელის შემცვლელად პელეგრინი **ჯოლეონ ლესკოტსა** და **მიკა რიჩარდსს** გამოიყენებს. „სანდერლენდთან" მატჩში მატია ნასტასიჩის ტრავმის შემდეგაც კი „სიტის" მთავარმა მწვრთნელმა უარყო ინფორმაცია, რომ მას სერბის შემცვლელის ყიდვა აქვს განზრახული. იოლია დაასკვნა, რომ მას ახალი ფეხბურთელი არ სჭირდება, თუნდაც იმიტომ, რომ „სიტის" უკანა ხაზი პრემიერლიგაში ისედაც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია. *„ახალი ფეხბურთელის ყიდვა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ცალკეულ გარემოებებზე. დიახ, მე ვამბობდი, რომ პრემიერლიგის დაწყებამდე შესაძლებელი იყო გუნდის შემადგენლობა კიდევ შეცვლილიყო, მაგრამ არც სანინაალმდეგო გამომირიცხავს. ამ ეტაპზე საკადრო პრობლემები არ გვაწუხებს. ამჟამინდელი შემადგენლობით ძალიან კმაყოფილი ვარ,"* - განაცხადა პელეგრინიმ.

ჯოლეონ ლესკოტსა და მიკა რიჩარდსს აქვთ პრეტენზია, რომ თუკი ინგლისის ნაკრები 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს, **როი ჰოჯსონის** გუნდის საბოლოო განაცხადში მოხვდნენ. ამიტომ ისინი მხოლოდ მოხარულები იქნებიან, თუკი ძირითადში თამაშის შანსი მიეცემათ იქამდე, ვიდრე ნასტასიჩი მკურნალობს.

სავარაუდო ტრანსფერი



ალდერვეირელდს ამბიციურ კლუბში სურს კარიერის გაგრძელება

# კიდევ ერთხელ ალდერვეირელდზე

**ტობი ალდერვეირელდის** მიმართ „ლივერპულის" ინტერესზე ბევრი იწერებოდა განსაკუთრებით სატრანსფერო ბაზრის გახსნამდე, მაგრამ მერე მერსისაიდელებმა 32 წლის **კოლო ტურე** შეიძინეს და ცენტრალური მცველის ვაკანსია დახურულად გამოაცხადეს. 24 წლის ბელგიელს „აიაქსთან" ხელშეკრულებაში ერთი წელი აქვს დარჩენილი და თანამშრომლობის გაგრძელებას არ აპირებს. შესაბამისად, ამსტერდამელებს მისი გაყიდვა ამ ზაფხულზე აძლევთ ხელს. ტობი კარიერის გასაგრძელებლად ამბიციურ კლუბს ეძებს. მას თანამშრომლობას სთავაზობდნენ „ლევერკუზენი" და „ნორვიჩი", მაგრამ ფეხბურთელმა ორივე უარით გაისტუმრა. აი, რას ამბობს ის საკუთარ სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით: *„ვეძებ ძლიერ კლუბს, რომელიც უპირატესობას შემტევ ფეხბურთს ანიჭებს. სხვა განსაკუთრებული მოთხოვნა არ მაქვს. მირჩევნია, თუკი ის ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არც ამას ვანიჭებ. უბრალოდ, კარგი იქნებოდა უმაღლესი დონის ტურნირში მონაწილეობა. მას შემდეგ კი, რაც ჰოლანდიის ჩემპიონატი დაიწყება, მთლიანად „აიაქსზე" გადავერთვები და წასვლაზე ფიქრით თავს აღარ დავიღლი. ჩემი გული და გონება ჯერჯერობით მაინც ამსტერდამშია"*.

ბოლოს კი გეტყვით, რომ ალდერვეირელდმა „ამსტერდამ არენაზე" უკვე 3-[illegible] მოიგო ჩემპიონის ოქროს მედალი. სულ მან ჩემპიონატში 124 თამაში ჩაატარა, გაიტანა 7 გოლი და 8 საგოლე გადაცემა მიითვალა. ტობი „აიაქსის" აკადემიის აღზრდილია.

ამბები

## რევეიერი ინგლისში მიდის



ანტონი რევეიერი

„ლიონში" გატარებული 10 წლის შემდეგ „ლომების" ყოფილმა კაპიტანმა, 33 წლის **ანტონი რევეიერმა** სიტუაციის გამოცვლა გადაწყვიტა. ყველაზე საინტერესო შეთავაზებები მან ინგლისური კლუბებისგან მიიღო. ინფორმაციას მისი აგენტი **უილი მაკეი** ადასტურებს: *„პარალელურად რამდენიმე პრემიერლიგელთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას. სწორედ ამ ქვეყანაში სურს ძალების მოსინჯვა ჩემს კლიენტს. ანტონი 10 წლის განმავლობაში უმაღლეს დონეზე თამაშობდა საფრანგეთის ჩემპიონატში და დღემდე იცავს საფრანგეთის ნაკრების ღირსებას. ვფიქრობ, მას არ გაუჭირდება ინგლისში წარმატებული კარიერის აწყობა"*.

## კალუ და ჩაქუჩები



სალომონ კალუ

27 წლის ივუარელმა თავდამსხმელმა **სალომონ კალუმ** „ლილში" კარიერის გაგრძელება 2012 წლის ივნისში „ჩელსის" რიგებში ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ გადაწყვიტა. ამ მომენტისთვის მას ლონდონელებთან კონტრაქტი ამოწურული ჰქონდა, ასე რომ, „ძაღლებს" მისი გადაბირება არაფერიც არ დასჯდომიათ. მართალია, მან სეზონი სუსტად დაიწყო, მაგრამ შემდგომ ახალ გარემოს ალღო აუღო და საბოლოოდ 14 გოლის გატანა მოახერხა. მიუხედავად ამისა, კალუმ ინგლისში დაბრუნება გადაწყვიტა. როგორც ირკვევა „ვესტ ჰემი" და „ლილი" საკომპენსაციო თანხაზე უკვე მორიგდნენ. „ჩაქუჩებს" გარიგება 3.5 მილიონი ევრო დაუჯდებათ. სალომონი ბრიტანეთის დედაქალაქს უქმეებზე ეწვევა და პირადი კონტრაქტის დეტალებს შეათანხმებს.

## კარდიფის მორიგი ახალწვეული

„კარდიფ სიტის" ვებგვერდის ცნობით, კლუბმა ლიგა ერთის „ბრენტფორდიდან" 23 წლის **საიმონ მური** გადაიბირა და მასთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. რა დაჯდა გარიგება, ამის თაობაზე ყველა დუმს. ახალგაზრდა ფეხბურთელს სასტარტოში მოსახვედრად ბრძოლა შოტლანდიის ნაკრების წევრ **დევიდ მარშალთან** მოუწევს, ვინც 2012/13 წლების სეზონი ჩემპიონშიპში პირველიდან ბოლო წუთამდე შეუცვლელად ჩაატარა.

## ბოლტონი ბრძოლას აგრძელებს

ჩემპიონშიპის „ბოლტონი" „ლივერპულიდან" 24 წლის **ჯეი სპირინგის** გამოსასყიდად ბრძოლას აგრძელებს. ფეხბურთელი ხვდება, რომ „ენფილდზე" თამაშის შანსი თითქმის არ ექნება და ახალ კლუბს ისიც ეძებს, მაგრამ „რიბოკ სთედიუმზე" დაბრუნების პერსპექტივას ენთუზიაზმის გარეშე შეხვდა. შეგახსენებთ, რომ 2012/13-ის სეზონი ფეხბურთელმა სწორედ „ბოლტონში" გაატარა. *„სპირინგის ხასიათის ფეხბურთელები ძალიან მომწონს. თანხა, რომელსაც „ლივერპული" ითხოვს, ჩვენთვის საკმაოდ დიდია, მაგრამ მოლაპარაკებები ჯერ კიდევ გრძელდება. საერთო ენას აუცილებლად გამოვნახავთ,"* - აცხადებს „ბოლტონის" დამრიგებელი **დაგ ფრიდმანი**.



ჯეი სპირინგი

## პარკი ჰოლანდიაში ბრუნდება



ქი სუნ პარკი

„ქუინზ პარკის" 32 წლის კორეელი ფეხბურთელი **ჟი სუნ პარკი** არ აპირებს ჩემპიონშიპში კარიერის გაგრძელებას. მისთვის კონტრაქტით გათვალისწინებული ხელფასის, კვირაში 65 ათასი ფუნტის გადახდა პრობლემაა „რეინჯერებისთვისაც". ამიტომ ვეტერანი ნახევარმცველის სხვა კლუბში წასვლა ყველას ინტერესებში შედის. ყველაზე რეალური პარკის „ეინდჰოვენში" დაბრუნებაა, სადაც მან თავის დროზე სამი წელიწადი (2002/05) გაატარა და 67 შეხვედრაში მისი პოზიციისთვის უჩვეულოდ ბევრი, 13 გოლი გაიტანა. „ეინდჰოვენის" მთავარი მწვრთნელი **ფილიპ კოკუა**, ვისთან ერთადაც პარკს ერთი სეზონი აქვს ნათამაშები „ფილიპს არენაზე". ერთადერთი, რაც გარიგებას წინ უდგას, ფეხბურთელის პირად ხელშეკრულებაზე შეთანხმებაა. კორეელს სახელფასო მადის დაოკება მოუწევს. ჰოლანდიაში მას ამჟამინდელ ხელფასს ვერავინ გადაუხდის.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ნაპოლი

# პირთამდე გავსებული სან პაოლო

## პიპიტა სცენაზე, რაფას ახალი ტაქტიკა და დამარცხებული ლომები


გონსალო იგუაინი „სტადიო სან პაოლოზე“

| ნაპოლი-გალათასარაი | 3:1 |
| --- | --- |

**გოლები:** 1:0 პანდევი (5), 1:1 ამბორატი (58), 2:1 ცუნიგა (81), 3:1 ინსინიე (90-პენ.).

**ნაპოლი (4-2-3-1):** რაფაელი - მესტო, კანავარო (46. ფერნანდესი), ბრიტოსი, არმერო (46. დოსენა) - ჯემაილი (77. რადოშევიჩი), ბერამი (46. ინლერი) - ინსინიე, ჰამშიკი (76. მერტენსი), კალეხონი (68. ცუნიგა) - პანდევი (65. კალაიო).

**გალათასარაი (4-3-1-2):** მუსლერა - ებუე (46. სარიოლლუ), ნუნკეი, შედჯუ, რიერა - მელო (46. ბაიტარი), ჰ. ალთინთოფი, ინანი - სნეიდერი (68. ბულუთი) - ილმაზი (46. ამბორატი), დროგბა (68. ელმანდერი).

„სტადიო სან პაოლოზე“ მეტად საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს „ნაპოლი“ და „გალათასარაი“ დაუპირისპირდნენ. ნეაპოლელთა მიმართ ინტერესი გაათმაგებულია და არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ სპარინგ-მატჩზე სტადიონი თითქმის პირთამდე გაივსო. თუმცა, ისიც დავძინოთ, რომ ამ შეხვედრაში „ნაპოლის“ სპონსორის, „ლეტეს“ თასი გათამაშდა. ამასთან, გულშემატკივართა წინაშე **გონსალო იგუაინი** წარდგა, რომელიც მინდორზე თვით კლუბის პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** გაიყვანა. არგენტინელს ტიფოზები ოვაციებით შეხვდნენ, რამაც ფეხბურთელი ემოციებით აავსო. გონსალოს თქმით, ასეთ დახვედრაზე ვერც კი იოცნებებდა.

მოკლედ, „სან პაოლოზე“ ბრწყინვალე საფეხბურთო ატმოსფერომ დაისადგურა და თამაშიც ისეთი გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. მომენტების აღწერას აღარ მოვყვებით და მხოლოდ გოლებზე გავამახვილებთ ყურადღებას. თამაში ხუთი წუთის დაწყებული იყო, როდესაც **გორან პანდევს** ბურთი საჯარიმოში ჩაუკიდეს და მანაც, თავური დარტყმით **ფერნანდო მუსლერა** უშანსოდ დატოვა, 1:0. პირველ ტაიმში გოლი აღარ გასულა, მეორეში კი გულშემატკივრებმა სამი შედეგიანი დარტყმა იხილეს. 58-ე წუთზე, თურქებმა გაათანაბრეს ანგარიში, თუმცა შეხვედრის მიწურულს მასპინძლებმა ორჯერ იხეირეს... ჯერ შეცვლაზე შესული **კამილო ცუნიგა** გავიდა მეკარესთან პირისპირ და შანსი ხელიდან არ გაუშვა, შემდეგ კი ნეაპოლელებმა თერთმეტმეტრიანი მოიპოვეს, რომელიც გოლად **ლორენცო ინსინიემ** აქცია.

მთავარი მაინც **რაფაელ ბენიტესის** ტაქტიკური მონახაზია, რომელსაც იტალიურ სპორტულ პრესაში დიდი ყურადღება დაეთმო. **ვალტერ მაცარის** „ნაპოლი“ მუდმივად 3 მცველით თამაშობდა, ესპანელმა კი 4-2-3-1 ტაქტიკაზე შეაჩერა არჩევანი. თანამედროვე ფეხბურთში აღნიშნული სქემა ერთ-ერთი დომინანტია და როგორც ჩანს, რაფაც მოდას აჰყვა. საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია **ბლერიმ ჯემაილის** და **გეკჰან ინლერს** ეკავათ, მათ წინ ტრიო მოქმედებდა ლორენცო ინსინიეს, **ხოსე კალეხონის** და **მარეკ ჰამშიკის** შემადგენლობით. რაც შეეხება ერთადერთ გამოკვეთილ ფორვარდს, ეს როლი გორან პანდევმა იტვირთა. ბუნებრივია, მოხდა ცვლილებებიც და ბენიტესმა საქმეში სხვა ფეხბურთელებიც იხილა.

ახალწვეულთაგან აქტიური იყო ხოსე კალეხონი, შეცვლაზე შესულმა **დრის მერტენსმა** კი თავი ბევრი ვერაფრით წარმოაჩინა. შესანიშნავად ითამაშა ლორენცო ინსინიემ და მატჩის მიწურულს გატანილი თერთმეტმეტრიანი ალალად დაიმსახურა. დამაჯერებელი იყო მეკარე **რაფაელი**, რომელმაც რამდენიმე რთული დარტყმა მოიგერია და არც გაშვებულ გოლში იყო დამნაშავე. არ უთამაშიათ **პეპე რეინას**, გონსალო იგუაინს და **რაულ ალბიოლს**. ნამატჩევს, ბენიტესი კმაყოფილი იყო:

*„ძალიან კარგი თამაში გამოვიდა, რომელშიც ძლიერ მეტოქეს ვაჯობეთ. შემადგენლობის მხრივ, „გალათასარაი“ ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში და ამ გუნდთან სრული უპირატესობის მოპოვება, იოლი საქმე არაა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ახალწვეული ვათამაშე, გუნდი ერთ მუშტად იყო შეკრული და არც შეთამაშების მხრივ შეგვქმნია პრობლემები. ასე თუ გავაგრძელებთ, ჩვენი შეჩერება ყველას გაუჭირდება“.*

### ჯექსონ მარტინესი ნეაპოლშია

ამასობაში, ნეაპოლში „პორტუს“ 26 წლის თავდამსხმელი **ჯექსონ მარტინესი** ჩავიდა, რათა კლუბთან კონტრაქტის ბოლო დეტალები შეათანხმოს. „გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, იტალიურმა და პორტუგალიურმა კლუბებმა შეთანხმებას უკვე მიაღწიეს და ჯექსონის ვიზიტიც ამის ნათელი დადასტურებაა.

ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, კოლუმბიელი ფორვარდის წლიური გასამრჯელო 2 მილიონი ევრო იქნება, რომელიც სხვადასხვა ბონუსების სახით, შესაძლოა 4-მდეც კი ავიდეს. დაიწერა ისიც, რომ მარტინესი ნეაპოლურ კლუბთან 4-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. რაც შეეხება კლუბებს შორის მოლაპარაკებას - ჟურნალისტთა ვარაუდით, მხარეები 35 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ. პორტუგალიელები 40 მილიონს ითხოვდნენ, იტალიელებს 32-ის გადახდა სურდათ და როგორც ჩანს, დათმობაზე ორივე მხარე წავიდა. მოკლედ, ჯექსონ მარტინესი იტალიაშია, ტრანსფერს კი წინ პრაქტიკულად არაფერი უდგას.

● კალენდარი


ადრიანო გალიანი და ჯუზეპე მაროტა კალენდრის შედგენის შემდეგ

# უჩვეულო სიმშვიდე

## კალენდარი ყველას მოსწონს

ევროპული ტოპ ჩემპიონატებიდან ყველაზე გვიან სერია A-ს კალენდარი გამოქვეყნდა, რომელიც გუშინდელ ნომერში გაგაცანით. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ კალენდრის შედგენამ განსაკუთრებული ხმაურის გარეშე ჩაიარა და არანაირ ექსცესს ადგილი არ ჰქონია. ამჯერად, „დაჩაგრულებს“ სკანდალი არ აუტეხავთ და ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „იუვენტუსი“ „დაიჩაგრა“. საერთოდ, ჩემპიონატის სტარტზე ძლიერ გუნდებთან პაექრობა არავის უნდა და მომდევნო სეზონში, „ეს პატივი“ წილად სწორედ „ვეკია სენიორას“ ხვდა. ტურინული გრანდი ჩემპიონატს „სამპდორიასთან“ გასვლითი მატჩით გახსნის, შემდეგ „ლაციოს“ უმასპინძლებს, მესამე ტურში კი „ინტერს“ ესტუმრება. მოკლედ, „იუვე“ თავიდანვე დაიტვირთა, რასაც ტურინელები მშვიდად შეხვდნენ. ჯერ „იუვენტუსის“ სპორტულ დირექტორს მოვუსმინოთ, შემდეგ კი სხვების მოსაზრებებს გავეცნოთ...

**ჯუზეპე მაროტა** (იუვენტუსის სპორტული დირექტორი): *„ბოლო წლებში, სეზონის სტარტზე ასეთი რთული კალენდარი ნამდვილად არ გვქონია. თუმცა, ამის გამო განგაშის ატეხვა არ ღირს, რადგან ადრე თუ გვიან, ყველა გუნდთან მოგვიწევს პაექრობა. მთავარია, ჩემპიონატის სტარტს კარგ ფორმაში შევხვდეთ და დარწმუნებული ვარ, ეს ასეც იქნება. ამაში იტალიის სუპერთასის პაექრობაც დაგვეხმარება, რომელიც 18 აგვისტოს „ლაციოსთან“ უნდა გავმართოთ. ანტონიო კონტეს სურს, რომ გუნდი უკვე აგვისტოს შუა რიცხვებისთვის იყოს სრულ მზადყოფნაში“.*

**ვლადიმირ პეტკოვიჩი** (ლაციოს მთავარი მწვრთნელი): *„ჩემპიონატს ურთულესი მატჩებით ვიწყებთ, მაგრამ ეს მხოლოდ მახარებს. ჯერ „უდინეზესთან“ მოგვიწევს პაექრობა, რომელიც ტრადიციულად მაღალ ადგილებს უმიზნებს, შემდეგ კი „იუვენტუსს“ ვხვდებით, იმ შეხვედრაში კი ერთ-ერთი გუნდი რევანშისტულად იქნება განწყობილი (18 აგვისტო, სუპერთასი: იუვენტუსი-ლაციო); მეოთხე ტურში რომაული დერბია და ამ მატჩს ზედმეტი წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. მით უმეტეს, კარგად ვიცით, რა შემართებით არიან თანაქალაქელები თასის ფინალში წაგების შემდეგ. მოკლედ, ჩემპიონატის სტარტზევე გავხურდებით და ეს არც ისე ცუდია, როგორც ბევრს ჰგონია“.*

**ადრიანო გალიანი** (მილანის ვიცე-პრეზიდენტი): *„ჩემპიონატს „ვერონასთან“ გასვლითი პაექრობით ვიწყებთ, გუნდთან, რომელიც სერია A-ში აღზევდა და პირველ შეხვედრას უდიდესი მოტივაციით ჩაატარებს, თანაც საშინაო არენაზე. ჩემპიონატის გამარჯვებით დაწყება ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ, მაქსიმალური მობილიზება გვმართებს. „იუვენტუსთან“ მალევე გვიწევს პაექრობა, „ინტერს“ კი ბოლოს ვხვდებით - ჩვენი გულშემატკივრები ამ მატჩებს განსაკუთრებულად ელოდებიან. წინ საინტერესო ჩემპიონატი გველის“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

● ფიორენტინა

# რას აპირებს ლიაიჩი?

## ფლორენციელები პასუხის მოლოდინში


ადემ ლიაიჩი ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ ჩქარობს

„ფიორენტინას“ მთავარი მწვრთნელის **ვინჩენცო მონტელას** თქმით, თუ **ადემ ლიაიჩი** გუნდში დარჩა, თავდასხმაში არავის დამატება აღარ იქნება საჭირო. ამ დროისთვის მონტელას განკარგულებაში ოთხი მაღალი კლასის ფორვარდია: **ჯუზეპე როსი, მარიო გომესი**, ადემ ლიაიჩი და **იოსიპ ილიჩიჩი**, რაც მწვრთნელს სავსებით აკმაყოფილებს. მაგრამ არის ერთი პრობლემა - ლიაიჩი კლუბთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ ჩქარობს და ჟურნალისტთა მტკიცებით, სხვა გუნდში გადასვლაზე უჭირავს თვალი. 21 წლის სერბის გადაბირებით „მილანის“ და „ტოტენჰემის“ მესვეურები არიან დაინტერესებულნი. ამ თემაზე კომენტარი ფლორენციული კლუბის სპორტულმა დირექტორმა **დანიელე პრადემ** გააკეთა:

*„ადემს ხელშეკრულების გახანგრძლივება შევთავაზეთ, მაგრამ ჯერჯერობით, პასუხისგან თავს იკავებს. კონტრაქტის გაფორმება არაა საჩქარო, მაგრამ უნდა დაგვანახვოს, რომ „ფიორენტინაში“ სურს ასპარეზობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კარი ღიაა და არავის დაჭერას არ ვაპირებთ. „ფიორენტინა“ ძლიერი გუნდია, სადაც შეუცვლელი ფეხბურთელები არ არიან. მთავარია, ადემის პოზიცია დროულად შევიტყოთ, რათა საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ზომები მივიღოთ. მოკლედ, ჩვენ ლიაიჩის პასუხს ველოდებით“.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური კომიტეტი

# სეოკ-მა მედალოსნები დააფასა

**გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უტრეხტში ჩატარებული ევროპის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მედალოსნებს.**

შეგახსენებთ, რომ ეს ლონისძიება 14-19 ივლისს გაიმართა და ჩვენებისთვის სარეკორდო გამოდგა - 8 მედალი მოვიპოვეთ, რაც ანალოგიურ ფესტივალში აქამდე არასოდეს მომხდარა. ტრადიციულად, ლომის წილი ამჯერადაც ძიუდოისტებზე მოდის - 7 ჯილდო მათი მონაგარია, რასაც ჩოგბურთელმა გოგოებმა - **მარიამ ბოლქვაძემ** და **ანი ახალკაცმა** წყვილებში ბრინჯაო დაუმატეს. თუმცა სიახლე ძიუდოისტებშიც მოხდა - ამჯერად ბიჭების გვერდით მედალი გოგომაც მოიპოვა, როცა **მარიამ ჯანაშვილი** მესამეზე გავიდა. ბიჭების მონაგარი 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაოა. ჩემპიონები **ერეკლე არხოზაშვილი** (55) და **გიორგი კაციაშვილი** (60) გახდნენ, **თამაზ კირაკოზაშვილი** (73), **იესო კვირიკაშვილი** (81) და **გიორგი ძებისაშვილი** (+90) მეორეზე გავიდნენ, **სიმონ მამარდაშვილი** (66) - მესამეზე.

შეხვედრას სეოკ-ის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი** უძღვებოდა, რომელმაც მოზარდებს წარმატება მიულოცა და განაცხადა, რომ არ სურდათ, მათი მიღწევა მიეჩქმალათ და ამიტომ მოაწყვეს გუშინდელი შეხვედრა, თუმცა ცოტა კი დაუგვიანდათ. ის მხოლოდ მილოცვით არ შემოფარგლულა და მედალოსნები ფულადი პრემიითაც დააჯილდოვა. ასევე დასაჩუქრდნენ მათი მწვრთნელებიც - **ირაკლი ცირეკიძე**, **კახა მოცრაძე** ძიუდოში და **დავით კვერნაძე** ჩოგბურთში. *„იმის მიუხედავად, რომ არ ვესწრებოდი თქვენს გამოსვლას უტრეხტში, რადგან ესპანეთში გამოვდიოდი ტურნირში, მაინც თვალს ვადევნებდი იქ მიმდინარე ამბებს და ყველაფრის საქმის კურსში ვიყავი. ყველა დიდი წარმატება ასეთი გამარჯვებებით იწყება და მჯერა, მომავალშიც არაერთ წარმატებას მოიპოვებთ"* - მიმართა ახალგაზრდებს სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა, ევროპის, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ**. მედალოსნებს მომავალში წარმატებები სხვებმაც უსურვეს. მით უფრო, ძიუდოისტებს სულ მალე - 8 აგვისტოდან მაიამიში ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი ელოდებათ. ძებისაშვილის გარდა, იქ უტრეხტის მედალოსანთაგან ყველა იჭიდავებს. მათ შორის - ჯანაშვილიც, რომელიც ჰოლანდიური ბრინჯაოთი უკმაყოფილო იმთავითვე ჩანდა და აღნიშნა, რომ ეს ტრავმამ განაპირობა. მას წელი და მხარი მანამდეც აწუხებდა, უტრეხტში კი მხარი ამოვარდნია. მისი თქმით, მაიამიშიც გამაყუჩებლებით მოუწევს ჭიდაობა.



მარიამ ჯანაშვილი (თეთრ კიმონოში)

ხაბელოვი „თბილისი-2015"-ის თემასაც შეეხო. მოგეხსენებათ, ესტაფეტა უტრეხტისგან თბილისმა გადმოიბარა და დახურვის ცერემონიალზე ფესტივალის დროშაც გადმოეცა. უტრეხტში ჩვენი საორგანიზაციო კომიტეტის წევრებიც იყვნენ წასულები იქაურთა გამოცდილების გასაზიარებლად. ხაბელოვის თქმით, ჰოლანდიელებმა ფესტივალის მთლად კარგად ორგანიზება ვერ შეძლეს, განსაკუთრებით კი თურმე კვების საკითხში მოიკოჭლებდნენ. მან ისაუბრა ოლიმპიური სოფლის, სპორტული ბაზების მშენებლობის მიმდინარე ტემპებზე, რაც სადღეისოდ დამაკმაყოფილებელია ანუ ვადებში ეტევა, მაგრამ უკვე დაყოვნება არ შეიძლება. თუმცა გამოთქვა იმედი, რომ ყველა მშენებლობა დათქმულ ვადაში დასრულდება და ფესტივალს ჰოლანდიელებზე უკეთ ვუმასპინძლებთ.

**ირაკლი თავაძე**

ბეისბოლი



# საქართველო - ირანი

## საქართველოსა და ირანის ბეისბოლისტთა ნაკრებების ამხანაგური მატჩების სერია

საქართველოსბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის ოფიციალური მოწვევით თბილისს ირანის ისლამური რესპუბლიკის ბეისბოლისტთა ეროვნული ნაკრები სტუმრობს.

ქართველი და ირანელი ბეისბოლისტების მონაწილეობით საერთაშორისო მატჩების სერია 27-დან 31 ივლისის ჩათვლით იმართება. ეროვნულ ნაკრებებს შორის 2 მატჩი უკვე ჩატარდა და ორივე საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დასრულდა - 13:5 და 15:8. პირველი შეხვედრა სპორტკომპლექს „მერანის" სტადიონზე 27 ივლისს გაიმართა, მეორე

ამერიკის ელჩი ოლიმპიურ კომიტეტში

# ელჩმა სპორტი შეგვიქო

გუშინ დიდი სტუმრიანობა იყო საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში - ჯერ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მედალოსნებს უმასპინძლა, მერე - ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში **რიჩარდ ნორლანდს**.

ელჩის პირველი ნაცნობობა სეოკ-თან 23 ივნისს, ოლიმპიური გარბენისას შედგა, რომელშიც ამერიკელმა დიპლომატმა პირადად მიიღო მონაწილეობა. სტუმარმა მეგობრული სიცილით მიიღო მადლობა, რომელიც ამისთვის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა** გადაუხადა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ამერიკელ სტუმარს ისიც უთხრა, რომ თავისი პირველი დიდი გამარჯვება - 1982 წელს ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონობა მის მშობლიურ კოლორადოს შტატში, ქალაქ კოლორადო სპრინგსში მოიპოვა. შეახსენა ასევე, რომ საქართველოს ოლიმპიური დებიუტიც დამოუკიდებელი ქვეყნის რანგში აშშ-ში, ატლანტაში შედგა 1996 წელს.

ხაბელოვმა ელჩს ისიც განუმარტა, რომ სეოკი მრავალი ქვეყნის ანალოგიურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს და გამოთქვა სურვილი, გაღრმავდეს ურთიერთობა აშშ-სა და საქართველოს ეოკებს შორის. *„ჩვენი და თქვენი ქვეყნის სპორტის ბიუჯეტი ერთმანეთს ვერც შეედრება, მაგრამ სპორტული ტრადიციებით მართლაც მდიდრები ვართ"* - უთხრა სტუმარს ხაბელოვმა.

*„ვიცი, რომ საქართველო დიდი სპორტული ტრადიციების ქვეყანაა. ისიც ვიცი, რომ 2015 წელს მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებას უნდა უმასპინძლოთ, რომელიც საყურადღებო შეჯიბრებაა. ოლიმპიურ გარბენში მონაწილეობამ დამარწმუნა, რომ საქართველოში ოლიმპიურ სულისკვეთებას ბევრი ადამიანი იზიარებს. მიხარია, რომ დღეს თქვენი კომიტეტის სტუმარი ვარ. ჩვენს ქვეყნებს ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა აკავშირებს და სპორტშიც გგულშემატკივრობთ, გისურვებთ წარმატებებს"* - ეს უკვე რიჩარდ ნორლანდის სამადლობელი სიტყვებია.

შეხვედრის დასასრულს ელჩს ოლიმპიური მუზეუმიც დაათვალიერებინეს და „თბილისი-2015"-ის ემბლემით დამშვენებული სუვენირებით დაასაჩუქრეს.

**ირაკლი თავაძე**


რიჩარდ ნორლანდი (მარჯვნივ) და ლერი ხაბელოვი ოლიმპიურ მუზეუმში

ძიუდო. ლიბერეცის ტურნირი

# ქებაძე ბრინჯაოთი დაბრუნდა


ელენე ქებაძე (თეთრი) ანა ზალეზნასთან ბრძოლაში

ამ უქმეებზე ჩეხურ ლიბერეცში ევროპის თასი ჩატარდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის, თუმცა მასში ჩვენგან მხოლოდ გოგოები გამოვიდნენ. იქ **კახა მოცრაძემ სალომე აბაშიძე** (52), **სოფიო ბერიძე**, **ნინო მარტიაშვილი**, **მარიამ ციხელაშვილი** (სამივე - 57), **თეა სუხიტაშვილი** (70) და **ელენე ქებაძე** (+78) წაიყვანა. ექვსივე მათგანი ქართველ ძიუდოისტ ქალთა იმ პირველი ნაკადიდანაა, ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული წყვეტის შემდეგ **გოდერძი ველიჯანაშვილის** ხელმძღვანელობით ხელმეორედ რომ შეუდგა საქართველოში ქალთა ძიუდოს აღორძინებას. სამწუხაროდ, მოგვიანებით ველიჯანაშვილი პირადი პრობლემების გამო ძიუდოს დროებით ჩამოშორდა. ეს თაობაც მიივიწყეს და თანდათან დაიკარგა. არადა, მათში ბევრი ნიჭიერი მოზარდი იყო, რომლებსაც სათანადო ხელშეწყობის პირობებში გარკვეული შედეგების მიღწევა შეეძლოთ. ახლა ველიჯანაშვილი დაუბრუნდა ძიუდოს და ამ გოგოებმაც პირი იბრუნეს ტატამისკენ.

იმ თაობაში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ქებაძე იყო, რომელმაც რამდენიმე წლის წინ ჭაბუკთა შორის ფრიად პრესტიჟული ანტალიის ევროპის თასი მოიგო და მერე რამდენიმე არანაკლებ ძლიერ ტურნირზეც იყოჩაღა. ლიბერეცშიც ჩვენი ექვსეულიდან წარმატებით მხოლოდ ქებაძემ იასპარეზა - ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ის პირველ წრეში ისვენებდა, მეოთხედფინალში კი უკრაინელთა მომავალ ფინალისტ **ელიზავეტა კალანინასთან** წააგო იპონით. სამაგიეროდ, სანუგეშოში იყოჩაღა და ჯერ უზბეკ **სანეაიმ ერკინბაევას** სძლია ვაზარით, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი პოლონელ **ანა ზალეზნას** გაფრთხილებებით მოუგო.

სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან ციხელაშვილის გარდა, ყველა ადრევე გავარდა. აბაშიძე პირველივე წრეში იპონით დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, პოლონელ ევროპის ორგზის მესამეპრიზიორ **კაროლინა პინკოვსკასთან**, მერე კი სანუგეშოში გაფრთხილებებით დათმო შეხვედრა უნგრელ **ლუცა პოლგართან**. ცოტა უკეთ გამოვედით 57 კილოგრამში, სადაც საერთო სურათი ციხელაშვილმა ცოტა გამოაცოცხლა - მართალია, უმედლოდ დარჩა, მაგრამ ორი შეხვედრა მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა. ის პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი შვედ **მატილდა ვალენს** გაფრთხილებით მოუგო, ხორვატ **ტენა სიკიჩთან** კი ორი ვაზარით წმინდა მოგება მიითვალა. ამის შემდეგ ის ორჯერ დამარცხდა და ორივე პაექრობა მომავალ ბრინჯაოს პრიზიორებთან დათმო - ბრაზილიელ **ფლავიო გომესთანაც** და პოლონელ **არლეტა პოდოლაკთანაც** იპონით წააგო.

თავიდან ბერიძე და მარტიაშვილიც ისვენებდნენ, მერე კი, შესაბამისად, ავსტრიელ **ლეა სიქსტლთან** და კანადელ **კატერინა ბაუჩემინ-პინარდთან** დამარცხდნენ. სუხიტაშვილმა ჯგუფში პირველივე წრეში უკრაინელ **იანა კრიუკოვასთანაც** წმინდად წააგო და სანუგეშოშიც - კანადელ **ალიქს რენაუდ-როისთან**.

**ირაკლი თავაძე**

**ანონსი!**

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი აგვისტოდან აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. კონკურსის პირობები გამოქვეყნდება „ლელოს" ხვალინდელ ნომერში.

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ძიუდოში მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს თემურ ხუბულურს **მამის** გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა გორის რაიონის სოფ. სკრაში 1 აგვისტოს, 14 საათზე.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვლადიმერ კანკავა და თამაზ მაჭავარიანი სამძიმარს უცხადებენ ცნობილ ვეტერან ძიუდოისტს თემურ ხუბულურს **მამის** გარდაცვალების გამო.



მატჩს კი თემქაზე მდებარე სპორტკომპლექს „შატილის“ მოედანმა 29 ივლისს უმასპინძლა.

სერიის მესამე დაპირისპირება 31 ივლისს კვლავ სპორტკომპლექს „შატილზე“ გაიმართება და 17:30 წუთზე დაიწყება.

მატჩებს ბეისბოლისა და სოფტბოლის ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები და მოყვარულები, ბავშვთა კლუბები, ირანული დიასპორის წარმომადგენლები, დიპლომატები და სხვა საპატიო სტუმრები ესწრებიან.

ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაცია მომავალშიც გეგმავს საერთაშორისო ტურნირების ორგანიზებას სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციებთან და კლუბებთან თანამშრომლობით, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სპორტული ურთიერთობების გაღრმავებას და ბეისბოლისა და სოფტბოლის განვითარებას საქართველოში.

ალსანიშნავია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ბეისბოლისა და სოფტბოლის ოლიმპიურ სახეობათა ნუსხაში დაბრუნებას განიხილავს.

**სპორტის სამინისტროს პრესსამსახური**

● ხელბურთი

# მოხეტიალე ფორვარდი

## ● 16-წლამდელი ხელბურთელები უნგრეთის ტურნირისთვის ემზადებიან
## ● სერგო დათუკაშვილის მასტერკლასი
## ● საქართველოს ეროვნული ნაკრები 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ითამაშებს

**საქართველოს 1998-1999 წლებში დაბადებული ხელბურთელი ვაჟები აქედანვე მონდომებით ემზადებიან 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს. ნორჩი ხელბურთელები 11-18 აგვისტოს უნგრეთის საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯავენ ძალებს. 1-7 აგვისტოს დუშეთში ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრება ექნებათ და მეცადინეობებს ევროპის ხელბურთის ფედერაციის დავალებით ნორვეგიელი სპეციალისტი - ბენტ დალა გამართავს. შეკრებაზე გამგზავრებამდე 16-წლამდელთა გუნდის წევრებს მასტერკლასი სასპორტო კომპლექს „არენის“ დარბაზში სერგო დათუკაშვილმა ჩაუტარა.**

საქართველოს ვაჟთა ეროვნული ნაკრების წევრმა ხელბურთის თამაში 16 წლისამ დაიწყო გლდანში ჯიმშერ დვალიშვილის ხელმძღვანელობით, 4 წელიწადი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში ჯემალ ბარამიძის ხელმძღვანელობით იმაღლებდა ოსტატობას. „გეპეელებთან“ ერთად ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. ოცი წლისა იუგოსლავიის „მეტალოპლასტიკაში“ მიიწვიეს და მას შემდეგ 15 წელიწადია, ეროვნული გუნდის ფორვარდი მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა: ამ ხნის განმავლობაში სად არ უთამაშია ორჯერ ჩერნოგორიის ჩემპიონი გახდა, თითო სეზონი იტალიაში, გერმანიასა და საბერძნეთში გაატარა, ელინელთა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, შვედეთის ჩემპიონატში მისი გუნდი ორჯერ მეორე ადგილზე გავიდა, ერთხელ მესამე იყო, დათუკაშვილმა კი ერთხელ შვედეთის საუკეთესო მოთამაშის ტიტულსაც გამოჰკრა ხელი. ორი სეზონი სლოვენიაში გაატარა, ბოლო წლებში ბეირუთისა და დუბაის გუნდების ღირსებას იცავს.

- ჩემთვის დაუვიწყარია „მეტალოპლასტიკაში“ გატარებული წლები, - გვითხრა სერგო დათუკაშვილმა, - მართალია, განსაკუთრებული წარმატებებისთვის მის შემადგენლობაში არ მიმიღწევია, რადგან იმ წლებში ევროპული გრანდი, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი დაღმასვლას განიცდიდა, მაგრამ იუგოსლავიის ხელბურთის სკოლის კლასი და გამოცდილება მაინც სხვა არის. „მეტალოპლასტიკის“ წევრთა უმრავლესობა მაშინაც ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა, გუნდს ამჟამინდელი სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვესელინ ვუკოვიჩი ედგა სათავეში. ამ გამოცდილი სპეციალისტისა და მისი შეგირდებისგან ბევრი რამ ვისწავლე.

**- ბოლო წლებია, ერთდროულად სხვადასხვა ქვეყნის ორ გუნდში თამაშობ. როგორ ახერხებ?**

- ბეირუთში ლიბანის ხელბურთელთა ჩემპიონატი მხოლოდ ოთხ თვეს გრძელდება. დანარჩენი დრო უქმად ხომ არ ვიქნები. ამ ხნის განმავლობაში არაბთა გაერთიანებული საამიროების პირველობაში ვმონაწილეობ, დუბაის კლუბში ვარ. წლეულს ჩემი გუნდი ლიბანის ჩემპიონი გახდა და სექტემბრიდან აზიის თასის გათამაშებაში ვიასპარეზებთ.

**- საქართველოს ნაკრებზე რას იტყვი?**

- სამწუხაროდ, 3-4 წელიწადია, გუნდი ნორმალურად არ შეკრებილა. არც ის ვიცით, რისი შემძლენი ვართ. არადა, 27 ივნისს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის ოფისში, 2015 წლის ყატარის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. საქართველოს ნაკრები პირველ ჯგუფში მოხვდა, სადაც პლეი ოფში გასასვლელად ლიტვას, თურქეთსა და ფინეთს დაუპირისპირდება.

**- შანსები?**

- ჩვენი ნაკრების წევრთა უმრავლესობა რუმინეთში თამაშობს, სხვა ქვეყნებშიც არიან. ალბათ, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ბიჭებთან ერთად მათი შეკრება და საქმეში ნახვაა საჭირო. კარგი მწვრთნელი გვჭირდება. ხელბურთის ეროვნული ფედერაცია უცხოელის ჩამოყვანას გეგმავს. რამდენიმე სპეციალისტთან გვაქვს მოლაპარაკება. ვფიქრობ, კარგი ნაკრების ჩამოყალიბება შეგვიძლია. მეტოქეთაგან თურქეთთან სტუმრად ორი მატჩი გვაქვს ნათამაშები და წაგებული. ფინეთთანაც უარყოფითი ბალანსი გვაქვს - 1:2, ლიტვას კი არ ვიცნობ. თუმცა, სტატისტიკა არაფერს ნიშნავს. ეს იყო დიდი ხნის წინათ. სამივე გუნდთან შეიძლება ბრძოლა და პლეი ოფში გასვლაზე ფიქრი. მთავარია, ნაკრებს სათანადო დახმარება და მხარდაჭერა ექნეს. თორემ რა გამოდის, ორ-სამ წელიწადში ერთხელ მოგვიყრიან თავს, ერთ მატჩს წავაგებთ და მერე ყველაფერი დავიწყებას ეძლევა. შეუძლებელია 2-3 წელიწადში ერთხელ ახალი გუნდის შექმნა. ხელბურთის ამჟამინდელი ფედერაცია ბატონი ზურაბ კაკაბაძის ხელმძვანელობით ძალიან მოწადინებულია. ჩვენც გვერდით დავუდგებით, რითაც შეგვიძლია.

**- თექვსმეტწლამდელ ხელბურთელებს მასტერკლასი ჩაუტარეთ. ამ ბიჭებზე რას იტყვით?**

- თავისი ასაკისთვის ურიგო ხელბურთს არ თამაშობენ. კარგია, რომ ფედერაცია მათს დაოსტატებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. ამ გუნდსაც ხომ ორი წლის შემდეგ მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელის - თბილისის ოლიმპიური ფესტივალი. ნაკრებს სათანადო დაფინანსება თუ ექნება, ეს ბიჭები ჩვენზე წარმატებულ და უკეთეს ხელბურთს ითამაშებენ.

**ვაჟა დანელია**
*ავტორის ფოტო*



სერგო დათუკაშვილი 16-წლამდელ ხელბურთელებთან

● ჩოგბურთი

# განიავებული შანსი



სოფიო შაფათავა

ვაშინგტონში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი), რომლის ძირითად ბადეში ჩაება თბილისელი **ანა ტატიშვილი**. გუშინ ჩვენებური ფრანგ კაროლინ გარსიას შეხვდა. პირველი ხელი ანამ ნახევარ საათში მშრალი ანგარიშით (6:0) მოიგო. მეორეში 3:0 რომ დაწინაურდა, ეტყობა, საქმე მომთავრებულად მიიჩნია და მოეშვა, რითაც ისარგებლა მეტოქემ და ჯერ ანგარიში გაათანაბრა (4:4), მერე სულაც სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა 7:6. ფრანგმა მესამე სეტშიც იყოჩაღა და 6:4 გაიმარჯვა. წყვილებში ტატიშვილი და ჰიზერ უოტსონი (ბრიტანეთი) მე-3 ნომრად არიან განთესილი. ისინი სტარტზე მონა ბარტელისა (გერმანია) და ალიზ კორნეს (საფრანგეთი) ჩამოშორებას შეეცდებიან. წარმატების შემთხვევაში მე-2 წრეში ეუჟინ ბუშარისა (კანადა) და ტეილორ თაუსენის (აშშ) დუეტი ელით. კანადურ-ამერიკულმა ტანდემმა გუშინ ჯენიფერ ელი და ლენა ლიტვაკი (ორივე - აშშ) დაჯაბნა - 6:1, 6:0.

■ ■ ■

დონეცკის (უკრაინა) ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 75.000 დოლარი) ძირითადი ბადის სტარტზე **სოფიო შაფათავამ** მე-6 ნომრად განთესილ კრისტინა პლისკოვას (ჩეხეთი) სამ სეტში აჯობა - 2:6, 7:5, 6:3 და მეორე წრეში ნიგინა აბდურაიმოვას (უზბეკეთი) მძლეველ (6:4, 1:6, 6:0) ალექსანდრა კრუნიჩს (სერბეთი) დაუპირისპირდება.

შაფათავამ წყვილებშიც სცადა ბედი მასპინძელ ალონა ფომინასთან ერთად, მაგრამ მე-2 ნომრად განთესილ იულია ბეიგელციმერთან (უკრაინა) და რენატა ვორაკოვასთან (ჩეხეთი) ვერაფერს გახდა - 2:6, 3:6 დამარცხდა.

გერმანიის 25.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციოში ჩაება **ეკატერინე გორგოძე**, რომელიც მე-16 ნომერია. პირველ წრეში მან ალემანი კაროლინ უებელჰოერი ჩამოიშორა გზიდან - 6:4, 6:4. მეორე წრეში მე-4 ნომერ მექსიკელს - მარსელა ზაკარიასს გაუწევს მეტოქეობას ძირითად ბადეში გასასვლელად.

იზმირის 10.000-იანი ტურნირის საკვალიფიკაციოში ცდიდა ძალებს **თამარ ჭალაგანიძე**. როგორც გაუწყეთ, ჩვენებურმა ერთი შეხვედრა ესტონელ მეტოქესთან მოიგო, ხოლო ავსტრალიელ ბოიანოვთან დამარცხდა. წყვილებში იაშუან ლიისთან (ტაივანი) ერთად დღეს ითამაშებს ვიოლეტა დექტიარევას (რუსეთი) და ვლადისლავა ზანოსიენკოს (უკრაინა) დუეტთან, რომელიც ტურნირზე მეოთხეა.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# დღეს განახლდება



მერი არაბიძე

სერბეთის დედაქალაქში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ქალთა ევროპის მე-14 ინდივიდუალური ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 15 წარმომადგენელი მონაწილეობს. უკვე მიილია 7 ტური და უნდა ითქვას, რომ წინა თერთმეტტურიანი მარათონებისგან განსხვავებით ჩვენებურები ამჯერად საკმაოდ დამაჯერებლად, თანაც მასობრივად, მიიწევენ ფინიშისკენ. თავად განსაჯეთ: **სალომე მელიას, ნინო ხურციძეს, ნანა ძაგნიძესა** და ახალგაზრდა **მერი არაბიძეს** 5,5-5,5 ქულა აქვთ და ლიდერებს - ვალენტინა გუნინასა (რუსეთი) და ჰოანგ თან თრანგს (უნგრეთი) ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან. არადა, ხურციძეს და მელიას, რომლებიც მე-7 ტურში, შესაბამისად, ევროპის ჩემპიონ გუნინას და მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკს ეთამაშებოდნენ, ცოტა მეტი რომ ეყოჩაღათ, გათამაშების ცხრილის სათავეში იქნებოდნენ. ხურციძეს 33-ე სვლისთვის თანაბარი პოზიცია ჰქონდა, და, ფაქტობრივად, მშვიდობიანად შეეძლო დაესრულებინა პარტია, მაგრამ 35-ეზე ლდ2 სვლით გამოუვალ სიტუაციაში ჩაიყენა თავი და 39-ე სვლაზე მეტოქეს დანებდა. პირველი თოთხმეტი სვლის განმავლობაში მელია მცირეოდენ პოზიციურ უპირატესობას ფლობდა, თუმცა გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ყოველივეს მიუხედავად, დარჩენილ ოთხ ტურში 8 ჩვენებური ინარჩუნებს საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსს. სატურნირო ცხრილში საკმაო კორექტივებს შეიტანს ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლებული მე-8 ტურის შეხვედრები: ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 6) - ჰონგ თან თრანგი (უნგრეთი, 6), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 5,5) - ნატალია პოგონინა (რუსეთი, 5,5), **სალომე მელია** (5,5) - **ნანა ძაგნიძე** (5,5), **ნინო ხურციძე** (5,5) -ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 5,5), **ბელა ხოტენაშვილი** (5) - **მერი არაბიძე** (5). .**მაია ლომინეიშვილი** (5) - მარია მუზიჩუკი (უკრაინა,5)...

დიდ ინტერესს იწვევს, ასევე, ჩვენებურთა პაექრობები: ოლგა გირია (რუსეთი) - **მაკა ფუცრეცლაძე** (4,5), **სოფიკო გურამიშვილი** (4,5)-ბეთულ ილდიზი (თურქეთი), **მირანდა მიქაძე** (4) - ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), **ლელა ჯავახიშვილი** - ტურკან მამედიაროვა (აზერბაიჯანი), კარმენ ვოიცუ (რუმინეთი) - **ნინო ბაციაშვილი** (4), **სოფიო გვეტაძე** (4) - ეკატერინი პავლიდუ (საბერძნეთი), ირინა ზაკურდიაევა (რუსეთი - **მადონა ბოკუჩავა** (3), **ანა გავაშელი** (3) - ანასტასია პანიჩი (სერბეთი), აინა ეგოროვა (რუსეთი) - **სოფიო ნიკოლაძე** (3).

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრობასკეტი 2013. დარჩა 34 დღე

# ინტერვიუ ბესიკ ლიპარტელიანთან

## ზაზას და თორნიკეს ევრობასკეტზე თამაში 100 პროცენტით გამოირიცხა


ბესიკ ლიპარტელიანი (მარჯვნივ) და ნიკა ცქიტიშვილი

საქართველოს ნაკრებმა ევრობასკეტისთვის მზადება შინ დაიწყო. 8 ივლისიდან თბილისში ვარჯიშობდა, თუმცა არასრული შემადგენლობით, 25 ივლისიდან კი მზადება სლოვენიაში, დაბა პოდჩეტრტეკში განაგრძო. გუშინ შემოგთავაზეთ ფოტორეპორტაჟი სლოვენიიდან. დღეს კი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანს** მოვუსმინოთ, რომელიც სლოვენიიდან 29 აგვისტოს დაბრუნდა.

- მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით - პოდჩეტრტეკში სლოვენიის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ბაზა იყო, მაინც არ მოველოდით, ნაკრებს ასეთი კარგი პირობები თუ დახვდებოდა, კვებიდან დაწყებული, სავარჯიშო დარბაზებით დამთავრებული. სლოვენიელებმა შემოგვთავაზეს სხვადასხვა ვარიანტი, თუმცა მხოლოდ პოდჩეტრტეკში იყო შესაძლებლობა ერთ გუნდს, საქართველოს ნაკრებს ევარჯიშა. სხვა ბაზებზე ჩვენ გარდა სხვა გუნდები უნდა დაბინავებულიყვნენ. სწორედ ამიტომ ავარჩიეთ „ტერმე ოლიმპიას" სპორტული ბაზა.

**- ევროპელები სპორტულ კომპლექსებს ძირითადად საკურორტო ზონებში აშენებენ...**

- ასეა სლოვენიაშიც. პოდჩეტრტეკი დაბაა, სადაც უამრავი დამსვენებელი ჩამოდის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს კომპლექსი ცელიედან მხოლოდ 35 კილომეტრითაა დაშორებული. ცელიეში კი ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ჯგუფის თამაშები გაიმართება. დაბეჯითებით უნდა ითქვას, აკლიმატიზაციის პრობლემა არ იქნება.

**- საქართველოს ნაკრების მზადების პროცესი როგორ მიმდინარეობს?**

- ვარჯიშებს სამი დღის განმავლობაში ვადევნებდით თვალს. მწვრთნელი, იგორ კოკოშკოვი დიდ ყურადღებას აქცევს როგორც ფიზიკურ მომზადებას, ასევე ბურთით მუშაობას. ბურთით მხოლოდ ტაქტიკური წვრთნა მიმდინარეობს. კალათბურთელები დიდი მონდომებით ვარჯიშობენ. საინტერესო სანახავი იყო ისიც, რომ ახალგაზრდები ნაკრების გამოცდილ კალათბურთელებს დიდ კონკურენციას უწევენ.

**- ნაკრებს ორი ახალი მწვრთნელი ჰყავს: ფიზმომზადების სპეციალისტი ალექსანდრ ჩვოროვიჩი და ვიდეოასისტენტი მეთ ბრეისი...**

- ვიდეოასისტენტი იგორ კოკოშკოვს ჯერ არ სჭირდება. როცა ნაკრების თამაშები დაიწყება, მეთ ბეითსიც მაშინ შეუერთდება. ჩვენი გუნდი პირველ საკონტროლო შეხვედრას 7 აგვისტოს იტალიაში გამართავს (სადაც 5 აგვისტოს ჩავა). რაც შეეხება ფიზმომზადების ახალ მწვრთნელ ალექსანდრ ჩვოროვიჩს, იგი ძლიერი სპეციალისტი ჩანს, დიდი გამოცდილება აქვს და დარწმუნებული ვარ, ნაკრებს სათანადოდ დაეხმარება. სხვათა შორის, გუნდი მისი ხელმძღვანელობით თბილისში ორი კვირა ვარჯიშობდა და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ შეკრების დასაწყისისთვის მეტად კარგ კონდიციებშია. ალექსანდრ ჩვოროვიჩი გვპირდება, რომ საქართველოს ნაკრები ოპტიმალურ ფორმას ევრობასკეტის დაწყებისთვის მიაღწევს.

**- ზაზა ფაჩულიასა და თორნიკე შენგელიას ევრობასკეტზე თამაში გამორიცხულია?**

- 100 პროცენტითაა გარკვეული, რომ თორნიკე და ზაზა სლოვენიაში გუნდს ვერ დაეხმარებიან. ფაჩულია აქილევსის მყესის ტრავმას მკურნალობს, ხოლო შენგელია მუხლის ოპერაციას 31 ივლისს გაიკეთებს. შესაბამისად, იგი სექტემბრის დასაწყისისთვის აღდგენას ვერ მოასწრებს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრები ფარ-ხმალს დაყრის. როგორც აღვნიშნე, კალათბურთელები საბრძოლველად არიან შემართულნი და ვარჯიშებისას ბოლომდე იხარჯებიან.

**- ზაზასა და თორნიკეს გამოკლების შემდეგ ნაკრების ტაქტიკურ სქემებში სერიოზული ცვლილებები განხორციელდება. ამაზე, ალბათ მწვრთნელები უკვე მუშაობენ.**

- რა თქმა უნდა. ბევრ სიახლეზე მოუწევთ მუშაობა. კარგია ისიც, რომ ეროვნულ გუნდს მოსამზადებელ ეტაპზე 11 საკონტროლო შეხვედრის ჩატარება მოუწევს და იგორ კოკოშკოვსაც მეტი ვარირების საშუალება ექნება. ვიმედოვნებ, შედეგს ევრობასკეტზე ვნახავთ.


ნაკრები სლოვენიური შეკრებისას

ევრობასკეტი. საქართველოს ნაკრების მეტოქე. სლოვენია


სლოვენია-უკრაინა

# დაცვა და სამქულიანები

ევრობასკეტის მასპინძელმა და საქართველოს ნაკრების მეტოქე სლოვენიამ ჩემპიონატისთვის მზადების პროცესში ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ორივე მოიგო. ანგარიშებს ქვემოთაც გაეცნობით, აქ კი ყურადღებას რამდენიმე დეტალზე გავამახვილებთ.

სლოვენიელები არასრული შემადგენლობით თამაშობდნენ. მათ აკლიათ ტრავმირებული ბარსელონელი **ერაზემ ლორბეკი**. ახლახან კი მწვრთნელს ტექსტური შეტყობინებით (როგორც უცხოური სააგენტოები იუწყებიან) ნაკრებში გამოსვლაზე უარი შემოუთვალა NBA-ს ვეტერანმა **ბენო უდრიხმა**. ასევე გამოცდილი **ბოსტიან ნახბარი** (რომელიც „ბარსელონაში" გადავიდა) და **იაკა ლაკოვიჩი** სლოვენიელებს უკრაინასა და მაკედონიასთან შეხვედრებში ვერ დაეხმარნენ. იაკას კუნთი აქვს გაჭიმული და იმედოვნებს, რომ უახლოეს შეხვედრაში მოედანზე გასვლას შეძლებს.

*- ევრობასკეტი სლოვენიაში გვეწვია,* - ამბობს ლაკოვიჩი, - *ველოდით, რომ ყველა წამყვანი კალათბურთელი ითამაშებდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. თუმცა ადგილობრივი გულშემატკივრის იმედები უნდა გავამართლოთ და მკერდი მედლით დავიმშვენოთ.*

კაპიტნის ოპტიმიზმს საწყისი შეხვედრებიც აძლიერებს. „მწვანეებმა" ორი მატჩის ჯამში 110 ქულა გაუშვეს, რაც მათი დაცვის სიმტკიცეზე მიუთითებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კომპონენტში მასპინძლები კიდევ მოუმატებენ. რაც შეეხება შეტევას, სლოვენიის ნაკრები მეტოქის გათვალისწინებით ირჩევს როგორ შეუტიოს. მაგალითად, უკრაინასთან ფარქვეშ უპირატესობის მოპოვება გაუჭირდათ და აქცენტი პერიმეტრზე გააკეთეს. შედეგად 12-დან 9 კალათბურთელმა სამქულიანი დისტანციიდან მოსინჯა ძალა და ჯამში 11 სამიანი ჩააგდო. შეგახსენებთ, რომ 2011 წლის ევრობასკეტზე სლოვენიამ საქართველოს ნაკრებთან შეხვედრაში სარეკორდო, 15 სამიანი გამოიყენა.

მაკედონიასთან კი **ბოჟიდარ მალიკოვიჩის** გუნდს სამწამიან ზონაში დიდი უპირატესობა ჰქონდა (მაკედონიელებს გამოცდილი მეფარეები **ტოდორ გეჩევსკი** და **პერო ანტიჩი** აკლდათ. პერო კარიერის „ატლანტაში" გაგრძელებას აპირებს) და პერიმეტრიდან ტყორცნებით თავი არ გამოუდვიათ, სულ ხუთი ჩააგდეს. მასპინძლებმა მაკედონიელები მოხსნებში 35:17 დაჯაბნეს... გადამწყვეტი მაინც მეოთხე რაუნდი გამოდგა, რომელიც საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ 16:1 მოიგო.

საწყისი ორი მატჩის შედეგად ბოჟიდარ მალიკოვიჩმა შემადგენლობაში 15 კალათბურთელი დატოვა, დაემშვიდობა ფორვარდ **იაკა ბროდნიკს**.

**სლოვენია-უკრაინა 74:46**

**19:10, 24:10, 20:12, 11:14**

**სლოვენია:** ბლაჟიჩი (13 წ. 10 ქ.). გ. დრაგიჩი (17 წ. 10 ქ. 4 პ.), დ. ლორბეკი (20 წ. 2 ქ.), ვიდმარი (21 წ. 9 ქ. 4 მ. 4 ჩ.), ბალაჟიჩი (22 წ. 6 ქ.); სლოკარი (22 წ. 4 ქ. 3 მ. 3 ჩ.), ლაპორნიკი (4 წ. 2 ქ.), იოკსიმოვიჩი (15 წ. 1 ქ. 5 პ.), მურიჩი (14 წ. 13 ქ. 4 მ.), მორინა (18 წ. 4 ქ. 8 მ.), პრეპელიჩი (16 წ. 2 ქ. 3 პ.), ზ. დრაგიჩი (18 წ. 11 ქ. 5 მ.).

**სლოვენია-მაკედონია 63:54**

**20:21, 12:17, 15:15, 16:1**

**სლოვენია:** ბლაჟიჩი (26 წ. 10 ქ. 3 მ.), ვიდმარი (24 წ. 9 ქ. 10 მ.), პრეპელიჩი (20 წ. 3 ქ. 4 პ.), ბალაჟიჩი (25 წ. 1 ქ. 6 მ.), ზ. დრაგიჩი (18 წ. 11 ქ.); სლოკარი (18 წ. 8 ქ. 6 მ.), იოკსიმოვიჩი (27 წ. 11 ქ. 3 პ.), მურიჩი (5 წ.), დ. ლორბეკი (24 წ. 5 ქ.), ბეგიჩი (12 წ. 2 ქ. 3 მ.), მორინა (1 წ. 3 ქ.).

**2 აგვისტო**

სლოვენია-ლატვია (ცელიე)

**3 აგვისტო**

სლოვენია-თურქეთი (ცელიე)

**4 აგვისტო**

სლოვენია-სერბეთი (ცელიე)

**10-11 აგვისტო**

ბელგრადის ტურნირი (სერბეთი, სლოვენია, თურქეთი, უკრაინა)

**16 აგვისტო**

სლოვენია-ბოსნია (იესენიცე)

**18 აგვისტო**

სლოვენია-რუსეთი (ლიუბლიანა)

**23 აგვისტო**

სლოვენია-ჩერნოგორია (კოპერი)

**24 აგვისტო**

სლოვენია-იტალია (კოპერი)

**31 აგვისტო**

სლოვენია-საფრანგეთი (ლიუბლიანა)

არმია

# არმიული კითხვის ნიშანი

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, სუპერლიგის გუნდ „არმიას" მწვრთნელად ბალკანელი სპეციალისტი ჩამოდის. ცხადია, დავინტერესდით, რამდენად სარწმუნოა ეს ცნობა.

დავუკავშირდით კლუბის პრესცენტრის ხელმძღვანელ **ნინო შონიას**, რომელმაც გუნდის უფროსობასთან საუბრის შემდეგ გვითხრა: „არმია" ახალი სეზონისთვის ემზადება, თუმცა ახალ მწვრთნელზე ლაპარაკი არ ყოფილაო.

„არმიას" თავკაცი **კოტე ტულუში** ამჟამად სლოვენიაშია და **იგორ კოკოშკოვის** სამწვრთნელო შტაბში მუშაობს.

რაც შეეხება გუნდის მზადებას, რამდენიმე ახალწვეულის გვარი უკვე ცნობილია. „ქუთაისიდან" „არმიაში" გადავიდნენ **თემურ ბაბუნაშვილი** და **ბუბა კვიმსაძე**. შეგახსენებთ, რომ ბუბა ძალოვანთა შემადგენლობაში 2011-12 წლების სეზონში უკვე თამაშობდა. „ოლიმპიდან" არმიელებმა **მიხეილ ბერიშვილი** გადაიბირეს.

„არმიადან" „ქუთაისში" კი **ბესიკ ლეჟავა** გადავიდა, რომელიც იმერელთა მწვრთნელ **დავით უსტიაშვილთან** ერთად აქამდე „რუსთავშიც" მუშაობდა, „შსს აკადემიაშიცა" და „აკადემიაშიც".

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



მარცხნიდან მეორე თორნიკე ლომიძე

# მეცხრე პირველხაზელი მეორე დივიზიონში

**საქართველოს ნაკრების მესამეხაზელმა დიმიტრი ბასილაიამ შოტლანდიურ „ედინბურგში“ ხელშეკრულებით კიდევ ერთი წელიწადი უნდა ითამაშოს. ჩვენებური ამ გუნდში, რომელიც „კელტთა ლიგაში“ ასპარეზობს, ყოფილმა მწვრთნელმა მაიკ ბრედლიმ მიიწვია.**

ორწლიანი მუშაობის შემდეგ ბრედლის „ედინბურგის“ ხელმძღვანელებმა კონტრაქტი აღარ გაუფორმეს. ამ კლუბში მუშაობის დაწყებამდე ეს ირლანდიელი სპეციალისტი საქართველოს ნაკრებში ირჯებოდა და ასისტენტობას **რიჩი დიქსონს** უწევდა. „ედინბურგიდან“ წამოსვლის შემდეგ კი, ისევ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდა.

**დიმიტრი ბასილაიას** ახალი დამრიგებელი კი, ჩვენთვის ასევე კარგად ნაცნობი სამხრეთაფრიკელი სპეციალისტი **ალან სოლომონსი** იქნება. ის საქართველოს რაგბის კავშირს არაერთხელ სტუმრობდა **ბრუს კუკთან** ერთად, როგორც რაგბის საერთაშორისო საბჭოს რევიზორი.

სოლომონსმა, რომელიც ოდესღაც სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტიც იყო, ამ ქვეყანაში ახალი კლუბი „საუთერნ კინგზი“ შექმნა და ბოლო დრომდე მისი თავკაცი იყო. „სამხრეთელმა მეფეებმა“ მისი ხელმძღვანელობით ზე რაგბის წლევანდელ გათამაშებაში პირველად იასპარეზეს, თუმცა წარუმატებლად.

ამასობაში კიდევ ერთი ქართული ტრანსფერი განხორციელდა საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონში. ქუთაისის „აიას“ პირველხაზელი **თორნიკე ლომიძე** გასკონურ „ოშში“ ჩაირიცხა. ის მეცხრე ქართველი პირველხაზელია, რომელიც მომავალ სეზონში მეორე დივიზიონში იასპარეზებს.

### საფრანგეთი

#### I დივიზიონი

დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი), ლევან ჩილაჩავა, კონსტანტინე მიქაუტაძე (ორივე-ტულონი), დავით ქუბრიაშვილი, ზურაბ ჟვანია (ორივე-სტად ფრანსე), მამუკა გორგოძე, მიხეილ ნარიაშვილი, ლაშა ლომიძე, გაგი ბაზაძე (ოთხივე-მონპელიე), გიორგი ჟღენტი (პერპინიანი), ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე (ორივე-ტულუზი), ზაზა ნავროზაშვილი (ბორდო), დავით ხინჩაგიშვილი (მეტრო რასინგი). გოდერძი შველიძე, კარლენ ასეიშვილი (ბრივი).

#### II დივიზიონი

ვიქტორ კოლელიშვილი, გურამ კავთიძე (ორივე-ლიონი), კახაბერ კობერიძე, ალექსანდრე თოდუა, ვახტანგ მაისურაძე, ვახტანგ ახობაძე, გიორგი თეთრაშვილი, ხვიჩა ბუჯიაშვილი (ყველა-ალბი), ირაკლი მირცხულავა, გიორგი ნემსაძე, გიორგი ჩხაიძე (სამივე-ტარბი). ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნაცარაშვილი (ორივე-ორიაკი), ტარიელ რატიანიძე (აჟენი), ბექა შეყლაშვილი (ბეზიე), თორნიკე ლომიძე (ოში).

### შოტლანდია

დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი).

ზე რაგბი

# ჯვაროსნებს ისევ ბლეკედერი უთავკაცებს

**ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზის“ ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მთავარ მწვრთნელს, ტოდ ბლეკედერს ხელშეკრულება კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივეს.**

ამასთან ერთად, მოლაპარაკება დასკვნით სტადიაზეა მის სამ ასისტენტთან, **დეივ ჰიუტთან, ტაბაი მატსონთან** და **არნო მოგერთან**. „კრუსეიდერზის“ აღმასრულებელმა დირექტორმა **ჰემიშ რიჩმა** განაცხადა, რომ სამწვრთნელო შტაბს სრულად უჭერს მხარს.

*„მოხარულნი ვართ, რომ ტოდ ბლეკედერთან კიდევ ერთწლიანი ხელშეკრულება გავაფორმეთ. წლეულს პირველად იყო, როცა მწვრთნელთა შტაბში ოთხი სპეციალისტი მუშაობდა. ამან საშუალება მოგვცა „ჯვაროსნებს“ მეტი ემუშავათ თამაშის სპეციფიკურ მხარეებზე, დაცვასა და შეტევაზე. ასე რომ, მათი მუშაობით კმაყოფილნი ვართ.*

*ტოდი კარგი მწვრთნელია, რომელიც ლიდერის თვისებებით უხვადაა შემკული. მას გუნდის მოთამაშეებისგან სრული მხარდაჭერა აქვს და გვიხარია, რომ ჩვენთან რჩება“* - დასძინა ჰემიშ რიჩმა.

ტოდ ბლეკედერი „კრუსეიდერზის“ მთავარი მწვრთნელი 2009 წელს გახდა. ამ დროის განმავლობაში მან გუნდი სამჯერ გაიყვანა ნახევარფინალში და ერთხელაც ფინალში ითამაშა. მას შესანიშნავი კარიერა ჰქონდა როგორც მორაგბეს. ტოდმა „ოლ ბლექსში“ 25 კეპი მოიხვეჭა. აქედან 14 მატჩში კაპიტანი იყო. ამასთან ერთად, ის „კრუსეიდერზსაც“ კაპიტნობდა და ერთადერთია, ვისაც ზე რაგბი ამ რანგში სამჯერ მოუგია (1998, 1999 და 2000 წლები). „ჯვაროსნებამდე“ ტოდი შოტლანდიასა და ტასმანიაში მუშაობდა.

*„აღფრთოვანებული ვარ, რომ „კრუსეიდერზთან“ მუშაობის საშუალება ისევ მომეცა. მიხარია, რომ ისევ ის ასისტენტები მეყოლება, რომლებიც წლეულს ერთგულად მედგნენ გვერდში. ერთად მუშაობისას ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ და კარგია, რომ კლუბის მმართველმა საბჭომ ნდობა გამოგვიცხადა, სჯერათ ჩვენი შესაძლებლობების.*

*ჩვენს გუნდში ძალიან ბევრი ნიჭიერი მორაგბე და სპეციალისტია. მათთან ერთად მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა რეალურადაა შესაძლებელი. მოუთმენლად ველი მუშაობის გაგრძელებას, რათა „ჯვაროსნების“ გუნდი კიდევ უფრო ძლიერი გავხადოთ.“* - თქვა **ტოდ ბლეკედერმა**.

ფრანგული კონტრაქტი

# გალტიე მონპელიეში რჩება

**ფაბიენ გალტიემ საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე მამუკა გორგოძისა და მიხეილ ნარიაშვილის „მონპელიესთან“ კონტრაქტი 2017 წლამდე გაახანგრძლივა.**

ეს ცნობა „მონპელიეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, რის შემდეგაც **ფაბიენ გალტიესთან** დაკავშირებულ მითქმა-მოთქმას ბოლო მოეღო. ყველას ეგონა, რომ საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ლიდერი თავის კარიერას ერთი წლის შემდეგ „კლერმონში“ განაგრძობდა. „ვულკანების“ გაწვრთნით დაინტერესებას თავად გალტიეც არ მალავდა, თუმცა არჩევანი ბოლოს მაინც „მონპელიეზე“ გააკეთა.

*„მონპელიე“ დღითი დღე იზრდება. ამ გუნდში ბევრი ნიჭიერი მორაგბე თამაშობს. პრეზიდენტიდან დაწყებული, მოთამაშეებით დამთავრებული ყველა ერთ მუშტად არის შეკრული. რაც საშუალებას გვაძლევს წარმატებით ვიასპარეზოთ, როგორც ეროვნულ ჩემპიონატში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მიხარია, რომ შესაძლებლობა მომეცა „მონპელიეს“ საფუძვლიანი ამბიციების რეალიზებაში დავეხმარო“* - თქვა ფაბიენ გალტიემ.

პრობლემა

# ტვინის შერყევა ფეხის ტრავმა არ არის

**შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მორაგბე რორი ლამონტი მორიგი სარაგბო სკანდალის ავტორი შეიქნა. მან ღიად გააკრიტიკა რაგბის საერთო საბჭო, რომლის მიერ დადგენილ ტვინის შერყევის გამოსაკვლევ ტესტებს მოთამაშეები იოლად უვლიან გვერდს.**

**რორი ლამონტმა** მაგალითად ავსტრალიელი **ჯორჯ სმითის** შემთხვევა მოიყვანა. მან „ბრიტანელ ლომებთან“ მატჩის შემდეგ აღიარა, რომ ტვინის შერყევა მიიღო:

*„მძიმე დარტყმა მივიღე, ამან აშკარად გავლენა იქონია ჩემზე. დარეტიანებულივით დავდიოდი და რამდენიმე წამის განმავლობაში „რვიანებს“ ვხაზავდი“* - თქვა მან.

რაგბის საერთაშორისო საბჭომ გამოაცხადა, რომ გადახედავს აქამდე დადგენილ სისტემას და მოუწოდა სამედიცინო პერსონალს კეთილგონიერებისკენ. მიუხედავად ამისა, რორი ლამონტმა მაინც გამოთქვა გულისწყრომა.

*„არ ვიცი რა კვლევებს იყენებს რაგბის საერთაშორისო საბჭო, მაგრამ ფაქტია, მას ბევრი ხარვეზი აქვს. ყველამ ნახა, როგორ გაუჭირდა სიარული ჯორჯ სმითს მეტოქესთან შეჯახების შემდეგ. აშკარა იყო, რომ ტვინის შერყევა მიიღო, მაგრამ ის მაინც დაბრუნდა მოედანზე.*

*მეც ხშირად მომსვლია ეს. ასე რომ, ვიცი რა ხერხებს იყენებენ მოთამაშეები, რათა მოედანზე დარჩნენ. ეს სიგიჟეა. ჩემი ეს სიტყვები ბევრს გააღიზიანებს, მაგრამ ვხედავ, რომ ისინი ვისაც ეს ეხება, ამ პრობლემას არად დაგიდევენ.*

*ყველაზე ხშირად მსგავსი ფაქტები იმიტომ ხდება, რომ მორაგბეები იტყუებიან. მოთამაშეები ერთმანეთში ამაზე გამუდმებით ლაპარაკობენ. ახლა შემოწმება სეზონის დაწყების წინ ტარდება და მორაგბეები ყველაფერს აკეთებენ, რათა ნამდვილი დიაგნოზი არ დადგინდეს.*

*მინახავს მოთამაშეები მატჩის დროს ტვინის შერყევას რომ იღებდნენ. ისინი მოედანზე ისხდნენ და რამდენიმე წუთის განმავლობაში კოსმოსში დაფრინავდნენ. ეს კომპიუტერის გადატვირთვას ჰგავს. მე ეს განმიცდია. ამას არასდროს ვმალავდი. მაგრამ შედეგად მწვრთნელების უნდობლობას ვიღებდი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ვარჯიშს და თამაშს თავს ვარიდებდი. ასე რომ, სწორედ ამის გამო თამაშობენ ბიჭები, მიუხედავად იმისა, რომ ტვინის შერყევა აქვთ მიღებული.*

*ყოველივე ამის შესახებ ლაპარაკი იმიტომ დავიწყე, რომ ვიცი ეს დიდი პრობლემაა. რაგბის საერთაშორისო საბჭოს რეგულაცია ტვინის შერყევასთან დაკავშირებით უბრალოდ საშიშია. რაგბის კულტურა ბრძოლისუნარიანობასა და ფსიქოლოგიურ მდგრადობაზეა დაფუძნებული. ტრავმის თაობაზე წუწუნი აქ მიღებული არ არის, რაც დიდი სისულელეა.*

*მოთამაშეებს ჰგონიათ, რომ თავის დაზიანება და ფეხის დაშავება ერთი და იგივეა. ფიქრობენ, რომ როგორც ფეხის ტკივილს უძლებენ და თამაშობენ, ისევე გადაიტანენ ტვინის შერყევასაც.*

*ეს ძალიან სახიფათოა!“* - თქვა რორი ლამონტმა.

შოტლანდიელის ამ განცხადებას რაგბის საერთაშორისო საბჭოს რეაქცია ჯერ არ მოჰყოლია, თუმცა პრობლემა მართლაც სერიოზულია.



ბურთით რორი ლამონტი

ოთხი ერი

# ბეილი წლის ბოლომდე დაგვემშვიდობა

„ვოლაბების“ გარემარბი **ქართლი ბეილი** რაგბის თამაშს წლის ბოლომდე ვერ შეძლებს. მას მხარი აქვს დაზიანებული. ბეილი ავსტრალიის ნაკრებს ოთხი ერის გათამაშებაში და ნოემბრის ტესტებზე ვერ დაეხმარება.

*„მას მხარი ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ აწუხებდა. შედეგად, ქართლი ბეილიმ ნაკრების რამდენიმე მატჩი გამოტოვა. როცა ტკივილი დიდი ხნის განმავლობაში გაწუხებს, რაც თამაშში აშკარად ხელს გიშლის, უმჯობესია დაისვენო, იმკურნალო და მოედანს სრულიად ჯანმრთელი დაუბრუნდე.*

*ცხადია, მან დაგვიჯერა. იმედი გვაქვს, მალე გამოჯანმრთელდება და მომავალი სეზონიდან ისევ ჩვენს გვერდით იქნება“* - თქვა ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ევან მაკენზიმ**.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ცურვა


რუტა მეილიუტიტე

# არის პირველი რეკორდი

ცურვაში მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღეს კვლავ მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა, თუმცა სანამ ფინალების შესახებ გიამბობდეთ, ერთ ნახევარფინალზე უნდა შევჩერდეთ, რომელშიც ამ პირველობაზე მსოფლიოს პირველი რეკორდი დამყარდა. ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონმა, 16 წლის ლიტველმა **რუტა მეილიუტიტემ** 100 მეტრზე ბრასით დისტანცია წუთსა და 4.35 წამში გაცურა. წინა რეკორდი ეკუთვნოდა ცნობილ ამერიკელს **ჯესიკა ჰარდის**, რომელმაც 2009 წელს წუთი და 4.45 წამი დააფიქსირა.

რაც შეეხება ფინალურ გაცურვებს, პირველებმა პალაუ სან ჟორდის აუზში ურთიერთობა მამაკაცებს შორის 100 მეტრზე ბრასით მოცურავეებმა გაარკვიეს. ოქროს მედლისთვის იბრძოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი, სამხრეთაფრიკელი **კამერონ ვან დერ ბურგი** და ლონდონის თამაშების ვერცხლის პრიზიორი, ავსტრალიელი **კრისტიან სპრენგერი.** შარშანდელისგან განსხვავებით, ამჯერად უფრო სწრაფი ავსტრალიელი აღმოჩნდა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში ბრაზილიელმა **ფილიპე ლიმამ** სულ მცირედით აჯობა სლოვენიელ **დამირ დუგონჟიჩსა** და წინა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ **ფაბიო სკოცოლის.**

ქალებს შორის 100 მეტრზე ბატერფლაიში ძირითადი ფავორიტები იყვნენ ავსტრალიელი **ალისია კოუტსი** და ამერიკელი **დანა ვოლმერი.** მაგრამ ამ დისციპლინაში მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონმა, 2012 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა ვოლმერმა მხოლოდ ბრინჯაოს მოპოვება შეძლო. კოუტსი კი ბოლომდე იბრძოდა გამარჯვებისთვის, მაგრამ მაინც წააგო ამომავალ ვარსკვლავთან, შვედ **სარა სიოსტრიომისთან.** სხვათა შორის, ამ უკანასკნელს უკვე მოგებული აქვს ამ დისტანციაზე მსოფლიოს ჩემპიონატში. ეს რომში მოხდა, როცა სკანდინაველი 15 წლის იყო.

ბრაზილიელმა **სეზარ სიელო ფილიომ** შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში. მან გაუსწრო მთავარ კონკურენტებს - ამერიკელ **იუჯინ გოდსოესა** და ფრანგ **ფრედერიკ ბუსკეს**, რომლებმაც ვერცხლი და ბრინჯაო გაინაწილეს.

დღის ბოლო ფინალში - 200 მეტრზე კომპლექსურ სტილში ქალები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აქ პირველივე მეტრებიდან ლიდერობა მოიპოვა და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა უნგრელმა კატინკა ჰოშუმ. პოდიუმზე მის გვერდით იდგნენ ალისია კოუტსი (ამ ავსტრალიელს უკვე სამი ვერცხლი დაუგროვდა) და მასპინძელი **მირეა ბელმონტე გარსია.**

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| **ბრასი. 100 მ** | |
| 1. კრისტიან სპრენგერი (ავსტრია) | 58,79 |
| 2. კამერონ ვან დერ ბურგი (აფრ) | 58,97 |
| 3. ფილიპე ლიმა (ბრა) | 59,65 |
| **ბატერფლაი. 50 მ** | |
| 1. სეზარ სიელო ფილიო (ბრა) | 23,01 |
| 2. იუჯინ გოდსოე (აშშ) | 23,05 |
| 3. ფრედერიკ ბუსკე (საფ) | 23,11 |
| **ქალები** | |
| **ბატერფლაი. 100 მ** | |
| 1. სარა სიოსტრიომი (შვედ) | 56,53 |
| 2. ალისია კოუტსი (ავსტრა) | 56,97 |
| 3. დანა ვოლმერი (აშშ) | 57,24 |
| **კომპლექსური. 200 მ.** | |
| 1. კატინკა ჰოშუ (უნგ) | 2.07,92 |
| 2. ალისია კოუტსი (ავსტრა) | 2.09,39 |
| 3. მირეა ბ. გარსია (ესპ) | 2.09,45 |

ველოსპორტი

# ძველი ცოდვები არ აპატიეს


ერიკ ცაბელი

რუსულმა საჯინიბო „კატიუშამ" სამუშაოს ჩამოაშორა თავისი ერთ-ერთი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი გერმანელი ველომრბოლი **ერიკ ცაბელი,** რომელმაც ორი დღის წინ, დოპინგის გამოყენება აღიარა. „კატიუშაში" ცაბელი 2012 წლიდან მუშაობდა.

განცხადებაში წერია, რომ მართალია, ცაბელის მხრიდან ანტისადოპინგო კანონის დარღვევა არ უკავშირდება გერმანელის „კატიუშაში" მუშაობას, გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გამოეთხოვოს ამ სპეციალისტს. *„გუნდი „კატიუშა" ორგანიზაცია „მოძრაობა სუფთა ველოსპორტისთვის" წევრია და ჩვენ მხარს ვუჭერთ მკაცრ ანტისადოპინგო პოლიტიკას"*, - აცხადებს ველოსაჯინიბოს პრესსამსახური.

შეგახსენებთ, რომ ცაბელმა გერმანულ პრესას მოუყვა იმის შესახებ, რომ 1996-2003 წლებში აკრძალულ პრეპარატებს იყენებდა. თავის დროზე, გერმანელი ერთ-ერთ საუკეთესო სპრინტერად იყო მიჩნეული და ექვსჯერ გახდა ტურ დე ფრანსზე სპრინტერული ჩათვლის გამარჯვებული. მსოფლიოს ჩემპიონატებზე ცაბელს მოგებული აქვს სამი მედალი.

კალათბურთი

# ჯერ ნუ ჩამოწერთ ნოვიცკის

„დალას მავერიქსის" მფლობელ **მარკ ქიუბანის** სიტყვებით, დღეს ბევრს აღარ მიაჩნია მისი გუნდი სერიოზულ კონკურენტად მხოლოდ ერთი მიზეზით - მათ შეცდომით ჰგონიათ, რომ გერმანელი **დირკ ნოვიცკი** აღარ არის სუპერვარსკვლავი.

„დალასის" ლიდერს ზურგს უმაგრებს NBA-ში გატარებული 15 სეზონი. ზედიზედ 11 წლის განმავლობაში, ის „ყველა ვარსკვლავის მატჩის" უცვლელი მონაწილე იყო. შარშანდელ ჩემპიონატამდე, მას არც ერთ სეზონში არ გამოუტოვებია ცხრა შეხვედრაზე მეტი. მაგრამ, გასულ რეგულარულში მუხლზე ართროსკოპიული ოპერაციის შემდეგ, 29 მატჩში ვერ მიიღო მონაწილეობა. საკალათბურთო საზოგადოების ნაწილმა დირკს მოაცილა ვარსკვლავური სტატუსი, მაგრამ მარკ ქიუბანს ამასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გააჩნია.

*„დირკი არ არის დამნაშავე ჩვენს პრობლემებში. გაიხსენეთ ის ქაოსი, რაც გუნდის თამაშში მისი არყოფნის დროს სუფევდა. სანამ ის არ დაბრუნდა, მოედანზე არ იყო აზრი, ნოვიცკის დაბრუნების შემდეგ კი ბევრი ძლიერი გუნდი დავამარცხეთ. შეგვეძლო სეზონში მოგებათა რიცხვი 50-მდე აგვეყვანა. ახლა მას უფრო ძლიერი პარტნიორები ეყოლება და თავადაც ძალიან მონდომებით ემზადება მომავალი სეზონისთვის, რათა გუნდს მოგებების ტრადიცია დაუბრუნოს"*, - ამბობს ქიუბანი.

შეგახსენებთ, „მავერიქსში" **ელტონ ბრენდის, ო'ჯეი მაიოს, დარენ კოლისონის, კრის კამანისა და ენტონი მოროუს** შემცვლელებად მივიდნენ **სამუელ დალემბერი, მონტა ელისი, უეინ ელინგტონი და ხოსე კალდერონი.**

2012-13 წლების სეზონში ნოვიცკის საშუალო შედეგიანობა 17.3 ქულას შეადგენდა - ამაზე ცოტას ის მხოლოდ თავის სადებიუტო სეზონში (1998-99) აგროვებდა, ხოლო „დალასი" 2000 წლის შემდეგ პირველად ვერ მოხვდა პლეი ოფში. თუმცა მარკ ქიუბანს მიაჩნია, რომ დირკი კვლავაც MVP-ის კალიბრის მოთამაშეა:

*„დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ თუ ტრავმები არ შეუშლის ხელს, დირკი თავისი თამაშით ბევრ სკეპტიკოსს გააჩუმებს. მას ვუთხარი, რომ კარლ მელოუნმა „ყველაზე სასარგებლო მოთამაშის" ტიტული 35 წლის ასაკში მოიგო და არ არსებობს მიზეზი, რომელიც ხელს შეგიშლის ასაკში იმავეს გაკეთებაში. ის ფაქტი, რომ ბევრმა იჩქარა მისი ჩამოწერა, დირკისთვის დამატებით მოტივაციად იქცა".*

დირკ ნოვიცკი 2007 წელს იყო რეგულარული ჩემპიონატის MVP, 2011 წელს კი ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშე გახდა. მისი კარიერული მონაგარი 22.6 ქულას უდრის. ტექსასური კლუბის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მათ ლიდერს შეუძლია მიუახლოვდეს კარიერის საშუალო შედეგიანობას, ამაში კი მას კარგი გამთამაშებელი უნდა დაეხმაროს. სწორედ ამის გამო არ დაიშურა 29 მილიონი ქიუბანმა გამოცდილ ესპანელ ხოსე მანუელ კალდერონში, რომელიც მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში დირკის მარჯვენა ხელი უნდა გახდეს.


დირკ ნოვიცკი

*„შესაძლოა, დირკს უკვე აღარ შეუძლია ერთ მატჩში 30 ქულის დაგროვება. ის არ გაეჯიბრება სხვა სნაიპერებს შედეგიანობაში, როგორც ეს ტრეიკი მაკგრეიდისთან დაპირისპირებისას იყო, მაგრამ მოწინააღმდეგეები ისევ შეეცდებიან მისი ორმაგი მეურვეობით შეჩერებას და ჩვენც, როგორც ადრე, შეგვიძლია მას ვენდოთ მატჩის ბოლო შეტევის დროს. დირკს მარაგში არაერთი გამარჯვების ტყორცნა აქვს დარჩენილი. ახლა ნოვიცკის შევუმსუბუქეთ ამოცანა, რადგან ხოსე დავიმატეთ, რომელიც შესანიშნავად სარგებლობს დაყენებული ბლოკით და კარგად ათამაშებს პიკ-ნ-როლებს"*, - აგრძელებს ქიუბანი.

დირკის მოქმედი 4-წლიანი და 80-მილიონიანი კონტრაქტი ამოწურვის პირასაა, მაგრამ ჭორების თანახმად, ის მზად არის დაბრუნდეს გუნდში და გააფორმოს ახალი ხელშეკრულება გაცილებით დაბალი ხელფასით. **დუაიტ ჰოვარდთან** ჩაშლილი მოლაპარაკების შემდეგ, „მავერიქსმა" გააგრძელა ვარსკვლავის ძებნა და ის **მონტა ელისის** სახით იპოვა, რომელიც შარშან „მილუოკიში" თამაშობდა. ელისისთვის „დალასში" მეორეხარისხოვანი როლია განკუთვნილი - ის უნდა დაეხმაროს ევროპელთა შეტევით დუეტს.

რაც შეეხება დიდ გერმანელს, მარკ ქიუბანი მასში აბსოლუტურად არის დარწმუნებული: *„შესაძლოა, დირკი ველარასოდეს გახდეს MVP, მაგრამ დამიჯერეთ, მას ჯერ ისევ შეუძლია თამაში და გამარჯვების მიღწევა".*

# ათიანი მესის საპატივცემულოდ


ნეიტ რობინსონი

გამთამაშებელმა **ნეიტ რობინსონმა** ამ ზაფხულს, „ჩიკაგო ბულზიდან" „დენვერ ნაგეტსში" გადასვლის შემდეგ, სათამაშო ნომრის შეცვლა გადაწყვიტა. „ორიანის" ნაცვლად მცველი ახალ კლუბში მეათე ნომრით გამოვა. როგორც რობინსონი აცხადებს, მან ეს არჩევანი „ბარსელონას" არგენტინელი ლიდერის **ლიონელ მესის** საპატივცემულოდ გააკეთა.

*„ჩვეულებრივ, ნომრად ერთნიშნა რიცხვებს ვიღებ, მაგრამ ახლა, „ორიანი" პენსიაში გავუშვი. ალექს ინგლისი, რომლის საპატივცემულოდაც ავიღე ეს ნომერი, დრაფტის წინ მოწყობილი ბანაკის დროს ჩემი მწვრთნელი იყო. ის უდიადესი მოთამაშე გახლდათ. სწორედ მაშინ ავირჩიე მეორე ნომერი, რადგან მასში რაღაც განსაკუთრებულს ვხედავდი.*

*ახლა კი „ათიანს" ავიღებ მესის საპატივცემულოდ. ის ჩემი საყვარელი ფეხბურთელია. ბევრი მატჩი მინახავს მისი მონაწილეობით და FIFA-შიც მითამაშია. მესი - საუკეთესო ფეხბურთელია. და მეც მინდა NBA-ში საუკეთესო „ათიანი" გავხდე. ეს არის ჩემი მიზანი"*, - ამბობს რობინსონი.

ნეიტი ამ ზაფხულს გადავიდა „დენვერის" რიგებში. მიუხედავად იმისა, რომ მცველის სიმაღლე 175 სანტიმეტრია, მას სამჯერ აქვს მოგებული „ყველა ვარსკვლავის უქმეებზე" ჩატენვების კონკურსი.

ამბები

## შვედი ევრობასკეტზე წავა

„მინესოტა ტიმბერვულვზის" გამთამაშებელმა **ალექსეი შვედმა** განაცხადა, რომ მზად არის ევრობასკეტზე რუსეთის ნაკრების რიგებში სათამაშოდ.

*„მწვრთნელს ტელეფონით ველაპარაკე და დავუდასტურე, რომ შეკრებაზე ჩავალ და ნაკრებს ევრობასკეტზე დავეხმარები"*, - განაცხადა მცველმა, რომელსაც გასულ სეზონში ჰქონდა დებიუტი NBA-ში და რეგულარულ ჩემპიონატში 77 მატჩი ჩაატარა, მათ შორის, 16-ჯერ მოხვდა სასტარტო შემადგენლობაში.

რუსეთის ნაკრები, რომელსაც **ვასილი კარასიოვის** სახით ახალი მწვრთნელი ჰყავს, იტალიაში იმყოფება შეკრებაზე.

## რვაგზის ჩემპიონი ლეიკერსის მწვრთნელია

NBA-ს რვა საჩემპიონო ბეჭდის მფლობელი **კურტ რემბისი** „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" სამწვრთნელო შტაბში შეიყვანეს. ამის შესახებ, თავად რემბისმა დაწერა საკუთარ „ტვიტერზე".

კურტმა შვიდი წელი ითამაშა „ლეიკერსში" და ოთხჯერ გახდა NBA-ს ჩემპიონი. კიდევ ოთხჯერ საჩემპიონო ტიტული მან მწვრთნელის რანგში მოიპოვა - სამჯერ ასისტენტის როლს ასრულებდა, 1999 წელს კი გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო.

2009-11 წლებში, კურტ რემბისი „მინესოტას" მთავარ მწვრთნელად მუშაობდა.

## ატლანტამ მექსიკელი დაიმატა

„ატლანტა ჰოქსმა" ახალი სეზონისთვის კიდევ ერთი მოთამაშე დაიმატა. ეს არის ცენტრი **გუსტავო აიონი.** შეგახსენებთ, რომ გასულ ხუთშაბათს, მექსიკელი კალათბურთელი ტრანსფერზე დააყენა მისმა შარშანდელმა კლუბმა „მილუოკი ბაქსმა".

აიონს NBA-ში ორი სეზონი აქვს გატარებული. საშუალოდ მატჩში მისი სტატისტიკური მონაგარი 4.8 ქულასა და 4.3 მოხსნას უდრის. „ატლანტა" მექსიკელისთვის მეოთხე კლუბია ასოციაციაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ალონსოს საყვედური გამოუცხადეს

## ფერარის პრეზიდენტი უკმაყოფილოა გუნდში არსებული სიტუაციით


ლუკა დე მონტეძემოლო

„ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** გააფრთხილა თავისი გუნდის პილოტი - **ფერნანდო ალონსო**, რომ შეინარჩუნოს სიმშვიდე და იმუშაოს გუნდთან ერთად. ვარაუდობენ, რომ მონტეძემოლოს ეს სიტყვები უკავშირდება ალონსოს პრეტენზიას გუნდის მიმართ, რომელიც მან უნგრეთის გრანპრის შემდეგ გამოთქვა. „სკუდერიას" პრეზიდენტმა დაბადების დღის მისალოცად დაურეკა პილოტს და თან გაკიცხა ის „ფერარის" მისამართით გამოთქმული ფრაზების გამო.

*„ყველა დიადი ჩემპიონი, რომელიც „ფერარის" რიგებში გამოდიოდა, გუნდის ინტერესებს საკუთარზე მაღლა აყენებდა. ამ მომენტში სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ, თავიდან ავიცილოთ პოლემიკა და ერთ გუნდად დავრჩეთ როგორც ტრასაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ"*, - მოჰყავს პრეზიდენტის სიტყვები „ფერარის" ოფიციალურ ვებგვერდს.

მონტეძემოლოს არ დაუზუსტებია, ესპანელის მხრიდან კონკრეტულად რომელი გამონათქვამი არ მოეწონა. მართლაც, ალონსო ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობდა იმის შესახებ, რომ გუნდმა რაც შეიძლება მალე უნდა მოაგვაროს შექმნილი პრობლემები, თუ სურს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა.

სხვათა შორის, „ფერარის" პრეზიდენტის საყვედური მხოლოდ ფერნანდოს არ მოუსმენია. ორშაბათს, ლუკა დე მონტეძემოლომ მარანელოს ბაზაზე კრება ჩაატარა გუნდის შეფთან **სტეფანო დომენიკალისთან** და ინჟინრებთან. უნგრეთის გრანპრის კომენტირებისას მონტეძემოლო ლაკონიური იყო: *„არ მომეწონა ის „ფერარი", რომელიც გუშინდელ რბოლაში ვიხილე"*.

კრებაზე ინჟინრებმა მიიღეს დავალება - მაქსიმალურად მოინდომონ იმისთვის, რომ სეზონის მეორე ნახევარში გაცილებით მეტს მიაღწიონ.

■ ■ ■

ამასობაში, სეზონის მეორე ნაწილისთვის „სკუდერიაში" დიდი ცვლილებები იგეგმება. პირველი სექტემბრიდან, შასისთან მუშაობის განხრით „ფერარის" ტექნიკური დირექტორის პოსტს დაიკავებს **ჯეიმს ელისონი, პეტ ფრაი** კი „სკუდერიას" მთავარი ინჟინერი გახდება. როგორც სპეციალურ განცხადებაში წერია, ეს დუეტი უშუალოდ გუნდის ხელმძღვანელს სტეფანო დომენიკალის დაექვემდებარება.

მას შემდეგ, რაც ჯეიმს ელისონი „ლოტუსიდან" წავიდა, ლუკა დე მონტეძემოლო უარყოფდა ამ სპეციალისტის „ფერარიში" გადასვლას. ელისონი ამ საუკუნის დასაწყისში უკვე მუშაობდა იტალიურ საჯინიბოში, მაგრამ 2005 წელს „რენოში" გადავიდა და ფერნანდო ალონსოსთან ერთად ორი საჩემპიონო ტიტული მოიგო.

# ფეტელს ალონსო არ უნდა

მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს **სებასტიან ფეტელს** არ სურს, 2014 წელს „რედ ბულში" თავის პარტნიორად ესპანელი **ფერნანდო ალონსოს** ხილვა.

კვირას, პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ალონსოს მენეჯერი **ლუის გარსია აბადი** მოლაპარაკებებს აწარმოებს თავისი კლიენტის „რედ ბულში" გადასვლასთან დაკავშირებით, თუმცა, მოგვიანებით, „ფერარის" შეფმა **სტეფანო დომენიკალიმ** და ალონსოს აგენტმა უარყვეს ეს ინფორმაცია.

*„მე კიმი რაიკონენს ვანიჭებ უპირატესობას, - ამბობს ფეტელი. - ფრთხილად უნდა ვიყო. ფერნანდოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მას, როგორც პილოტს, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ კიმის გვერდით გაცილებით კარგად ვიგრძნობ თავს, რადგან, როგორც ტრასაზე, ასევე მის მიღმა, ის ყოველთვის პირდაპირი იყო ჩემთან ურთიერთობაში"*.

ალონსო 2010 წლიდან გამოდის „ფერარიში" და მრავალწლიანი მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს „სკუდერიასთან". „რედ ბული" 2014 წლისთვის ახალ პილოტს ეძებს, რომელმაც ავსტრალიელი **მარკ უებერი** უნდა შეცვალოს.

# ავსტრალიამ ისტორია დაკარგა


ტონი გეიზი (მარცხნივ)

მელბურნში გარდაიცვალა ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველი ავსტრალიელი პილოტი - **ტონი გეიზი**. ის 93 წლის იყო. გეიზს მსოფლიოს ჩემპიონატში დებიუტი 1952 წლის 22 ივნისს, ბელგიის გრანპრიზე ჰქონდა. ის ტრასაზე Hersham and Walton Motors (HWM)-ის ბოლიდით გავიდა. ავსტრალიელმა მე-16 პოზიციიდან აიღო სტარტი და მე-15 ადგილი დაიკავა, რაც, საბოლოოდ, მის კარიერაში საუკეთესო შედეგი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ, მან ფორმულა 1-ში კიდევ სამ გრანპრიში მიიღო მონაწილეობა: ორჯერ სტარტზე გავიდა, მესამე შემთხვევაში კი კვალიფიკაცია ვერ გადალახა. მას შემდეგ, რაც ფორმულა 1-ში წარმატებას ვერ მიაღწია, ის სპორტკარების რბოლებში გადავიდა და დიდი წვლილი შეიტანა ავსტრალიაში ავტოსპორტის განვითარების საქმეში. კერძოდ, დაეხმარა მსოფლიოს მომავალ სამგზის ჩემპიონს **ჯეკ ბრებემს** კარიერის განვითარებაში.

ავტოსპორტის გარდა, გეიზი ცნობილია, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო პილოტი. ის სამჯერ დაჯილდოვდა ბრიტანეთის იმპერიის ჯვრით, მათ შორის გერმანული რეაქტიული ბომბდამშენის ჩამოგდებისთვის.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **III საკვ. I მატჩები** | |
| შახტიორი (ყ)-სკენდერბეუ | 3:0 |
| აუსტრია-ჰაფნარი | 1:0 |
| ნომე-პლზენი | 0:4 |
| ბაზელი-მაკაბი (თ-ა) | 1:0 |
| ნორდსიელანდი-ზენიტი | 0:1 |
| პაოკ-მეტალისტი | 0:2 |
| დინამო (ზ)-შერიფი | 1:0 |
| ეინდჰოვენი-ვარეგემი | 2:0 |
| ლიონი-გრასჰოპერსი | 1:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| გენჩლერი-ფიურტი | 2:1 |
| ძონია-ანთალია | 0:2 |
| კაიზერი-ლევერკუზენი | 1:1 |
| ვიურცბურგერი-დორტმუნდი | 0:3 |
| ალბასეტე-ვალიადოლიდი | 1:4 |
| გიმარაეში-ფერეირა | 2:0 |
| გეინსბრო-მენსფილდი | 0:5 |
| მეიდენჰედი-ჯილინგემი | 4:2 |
| სტ. მირენი-ნიუკასლი | 0:2 |
| სტელიბრიჯი-აკრინგტონი | 2:2 |
| აველეი-დაგენჰემი | 3:1 |
| ბრენტფორდი-კარდიფი | 3:2 |
| ბრაიტონი-ნორვიჩი | 1:1 |
| კიდერმინსტერი-ჩელტენემი | 3:1 |
| ლეხია-ბარსელონა | 2:2 |
| მეიდსტოუნი-ლუტონი | 0:2 |
| ნორთჰემპტონი-ლესტერი | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| აუგსბურგი II-როზენჰაიმი | 2:0 |
| ბაიერნი II-ნიურნბერგი II | 1:0 |
| ზელიგენპორტენი-მიუნხენი II | 1:0 |
| ბაიერნ ჰოფი-ინგოლშტადტი II | 0:1 |
| აინტრახტი (ბ)-ბუხბახი | 2:0 |
| მემინგენი-ჰაიმშტეტენი | 0:2 |
| შვაინფურტი-ფიურტი II | 2:2 |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| მანჰაიმი-ულმი | 4:2 |
| **კოპა სუდამერიკანა** | |
| ლდუ დე ლოხა-ლარა | 2:0 |
| ინტი გასი-ატ. ნასიონალი | 0:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. კიტცბუელი** | |
| ბედენე-ჰანესკუ | 2:6, 1:6 |
| სეტკიჩი-ჰაიეკი | 2:6, 1:6 |
| ბრანდსი-ბერლოკი | 7:6, 2:6, 6:2 |
| რუფენი-ჰაასე | 4:6, 6:7 |
| ჰაიდერ მაურერი-ნოვაკი | 6:4, 6:4 |
| ბელუჩი-გარსია ლოპესი | 7:6, 3:6, 6:7 |
| კოლშრაიბერი-ლ. მაიერი | 4:6, 6:7 |
| სებალიოსი-გრანოლერსი | 0:6, 0:6 |
| **WTA. კარლსბადი** | |
| ვანდევეგე-კიიკი | 6:1, 6:2 |
| გორჯესი-კარატანჩევა | 3:6, 5:7 |
| უ. რადვანსკა-ერაკოვიჩი | 7:6, 6:4 |
| **WTA. ვაშინგტონი** | |
| თაუნსენდი-ნიკულესკუ | 3:6, 0:6 |
| ვიკმაიერი-კორნე | 1:6, 3:6 |
| ბარტელი-ფოგელი | 6:2, 6:2 |
| კერბერი-ფალკონი | 6:2, 6:3 |
| მიულერი-უოტსონი | 7:6, 4:6, 3:6 |
| გარსია-ტატიშვილი | 0:6, 7:6, 6:4 |
| კირსტეა-ცურენკო | 7:5, 6:1 |

TV პროგრამა

**31 ივლისი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ამხანაგური მატჩი. ავსტრალიის ვარსკვლავები-მანჩესტერ იუნ.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ეინდჰოვენი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ევერტონი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ფეიენოორდი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი.
**20:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-აიაქსი.
**22:00** სეზონის მიმოხილვა. ჰოლანდიის ჩემპიონატი - ეინდჰოვენი.
**00:30** ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ჩელსი.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ლეიკერსი.
**15:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ბენფიკა-ფენერბახჩე.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ალსტერი-კასტრი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**20:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ტაილანდის ვარსკვლავები-ჩელსი.
**22:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. პოლ პირსი. I ნაწილი.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**15:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო.
**17:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**20:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. სან ანტონიო-მაიამი.
**22:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 28 | (მზე) |
| ქუთაისი | 15 | 27 | (მზე) |
| ბათუმი | 14 | 25 | (მზე) |
| ქობულეთი | 16 | 25 | (მზე) |
| ფოთი | 16 | 25 | (მზე) |
| ზუგდიდი | 14 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 9 | 27 | (მზე) |
| თელავი | 12 | 28 | (მზე) |
| სიღნაღი | 12 | 26 | (მზე) |
| ბაკურიანი | 3 | 20 | (მზე) |
| ბორჯომი | 6 | 24 | (მზე) |
| მესტია | 8 | 20 | (ხანმოკლე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1980 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6541 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5450 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0345 |

ჰოკეი

# დისკვალიფიკაცია ოლიმპიადამდე

## ჰოკეის ეროვნულ ლიგაში, შესაძლოა, ავსტრალიელმა ითამაშოს

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა შვედეთის ნაკრების მცველი **ალექსანდრ ედლერი**. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰოკეისტი გამოტოვებს 2014 წლის ოლიმპიადის ჰოკეის ტურნირის საწყის ორ შეხვედრას.

ედლერი დაისაჯა მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალში, კანადასთან მატჩში გამოჩენილი უხეშობის გამო. პირველი პერიოდის მე-16 წუთზე მცველმა ტრიბუნების დამცავ ბარიერს მიაჯახა მეტოქე ფორვარდი **ერიკ სტაალი** და თან მუხლში ჩაარტყა მას. კანადელი მოედანზე აღარ დაბრუნებულა, ედლერი კი მატჩის ბოლომდე გააძევეს მოედნიდან. მოგვიანებით მას ტურნირის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მისცეს. საბოლოოდ, წლევანდელი პირველობა სწორედ შვედების გამარჯვებით დასრულდა.

ასე რომ, თუ ედლერი მოხვდება შვედების საოლიმპიადო განაცხადში, მაშინ მას მოუწევს ჯგუფურ ეტაპზე ჩეხეთთან და შვეიცარიასთან მატჩების გამოტოვება და მოედანზე ლატვიასთან შეხვედრისთვის დაბრუნდება.

ედლერი 2006 წლიდან იცავს „ვანკუვერ კენაქსის" ღირსებას. გასული სეზონის რეგულარულ ჩემპიონატში მან 45 მატჩი ჩაატარა და 22 ქულა (8+14) დააგროვა.

■ ■ ■

„ვაშინგტონ უიზარდსმა" თავის საწვრთნელ ბანაკში მიიწვია 19 წლის ავსტრალიელი ფორვარდი **ნათან უოკერი**, - იტყობინება ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებგვერდი. ასე რომ, ამ მოთამაშეს აქვს შანსი, გახდეს პირველი ავსტრალიელი ჰოკეისტი NHL-ის ისტორიაში.

გასული სეზონი უოკერმა აშშ-ის იუნიორთა ლიგაში (USHL) გაატარა, სადაც კლუბ „იანგსტაუნის" შემადგენლობაში 29 მატჩი ჩაატარა და 27 ქულა (7+20) დააგროვა. პროფესიულ კარიერას ავსტრალიელი ფორვარდი ჩეხურ „ვიტკოვიცეში" იწყებდა.

■ ■ ■

ბუკმეიკერებმა 2013-14 წლების სეზონში სტენლის თასის მოპოვების მთავარი ფავორიტები დაასახელეს. მათი აზრით, NHL-ის მთავარი პრიზის მოგების ყველაზე დიდი შანსი მოქმედ ჩემპიონ „ჩიკაგო ბლეკ ჰოქსსა" და „პიტსბურგ პინგვინზს" აქვთ. ჩიკაგოელების გამარჯვებაზე კოეფიციენტი 7.0-ს უდრის, „პიტსბურგისა" - 7.5-ს.

ასევე ფავორიტებად მოიხსენიებიან: „ბოსტონი" (11.0), „ლოს ანჯელესი" (13.0) და „სენტ ლუისი" (13.0). შემდეგ მოდიან: „დეტროიტი" (17.0), „ვანკუვერი" (17.0), „სან ხოსე" (19.0), „ედმონტონი" (21.0), „მინესოტა" (21.0) და „რეინჯერსი" (21.0).

ბუკმეიკერთა აზრით, მოგების ყველაზე დაბალი შანსი აქვთ: „ბაფალოს" (101.0), „კალგარისა" (101.0) და „ფლორიდას" (151.0).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ალექსანდრ ედლერი

კრივი


ცნობილი ინციდენტი რინგზე

# ჩხუბი ღამის კლუბში

უკრაინელმა და ბრიტანელმა მძიმეწონოსნებმა - **ვლადიმერ კლიჩკომ** და **დერეკ ჩისორამ** კურორტ იბიცას ერთ-ერთ ღამის კლუბში ხელჩართული ჩხუბი გამართეს. ამის შესახებ წერს ინგლისური გაზეთი „დეილი მირორი". ინციდენტის კონკრეტული თარილის შესახებ არაფერს იტყობინებიან.

ჩისორას მწვრთნელმა **დონ ჩარლზმა** განაცხადა, რომ მოკრივეები შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. მწვრთნელს სხვა დეტალები არ გაუმხელია. გამოცემის ინფორმაციით, კლიჩკო და ჩისორა ღამის კლუბის დაცვის წევრებმა გააშველეს.

„დეილი მირორი" წერს, რომ ღამის კლუბში მომხდარმა კიდევ უფრო გაალრმავა კონფლიქტი უკრაინელსა და ბრიტანელს შორის. მოკრივეებს ურთიერთობა 2012 წლის თებერვალში დაეძაბათ, როცა მათ შორის საჩემპიონო ორთაბრძოლა გაიმართა.

შეხვედრამდე ერთი დღით ადრე, ჩისორამ აწონის ოფიციალურ ცერემონიაზე სილა გააწნა უკრაინელს, უშუალოდ ბრძოლის წინ კი პირში წყალი ჩაიგუბა და სახეში შეაფურთხა კლიჩკოს. ბრძოლის შემდეგ ჩისორა კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია, კერძოდ, პრესკონფერენციაზე ეჩხუბა თანამემამულე **დევიდ ჰეის** და ამის გამო საკრივო ლიცენზია ჩამოერთვა.

ბრიტანელმა ეს ლიცენზია 2013 წლის მარტში დაიბრუნა და მას შემდეგ ორი ბრძოლა გამართა - დაამარცხა ნაკლებად ცნობილი არგენტინელი **ექტორ ალფრედო ავილა** და ამერიკელი **მალიკ სკოტი**.

# ფოტო-NEWS

## თავის ქალა მარიასთვის

რუსული ჩოგბურთის მთავარმა ვარსკვლავმა **მარია შარაპოვამ** ამერიკელი სკულპტორისა და არქიტექტორის **ჯოშუა ჰარკერის** ნამუშევარი შეიძინა - თავის ქალის თეთრი ფიგურა.

*„აი, ჩემი ახალი ეგზემპლარი ჯოშუა ჰარკერისგან"*, - დაწერა თავის „ტვიტერზე" შარაპოვამ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ჩოგბურთი

# მარეი კარგია, ფედერერი და ნადალი - ცუდები

მსოფლიოს პირველი ჩოგანის **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მამამ - **სრდან ჯოკოვიჩმა** სერბულ გამოცემა Kurir-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მოჰყვა თავისი ვაჟის ურთიერთობებზე თანამედროვე ჩოგბურთის ე. წ. „დიდი ოთხეულის" სხვა წევრებთან.

უფროსი ჯოკოვიჩის აზრით, არც **როჯერ ფედერერი** და არც **რაფაელ ნადალი** არ უნდა მივიჩნიოთ ღირსეული ქცევის მაგალითებად.

*„ფედერერი, შესაძლოა, მართლაც არის ჩოგბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშე, მაგრამ, როგორც ადამიანი, აბსოლუტურად საპირისპიროა. მან უბრალოდ იერიში მიიტანა ნოვაკზე ჟენევაში, დევისის მატჩის დროს. ის ჩემი ვაჟის სახით კონკურენტსა და მემკვიდრეს ხედავდა და ცდილობდა ნოვაკის დისკრედიტირებას"*, - ამბობს სრდანი.

ჩოგბურთელის მამა აღნიშნავს, რომ ნოვაკსა და რაფაელ ნადალს შორის ურთიერთობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც ესპანელმა მოუხშირა ჯოკოვიჩთან წაგებას. *„ნადალი მისი საუკეთესო მეგობარი იყო იქამდე, სანამ მატჩებს იგებდა. როცა ყველაფერი შეიცვალა, მეგობრობაც დასრულდა"*, - აცხადებს უფროსი ჯოკოვიჩი.

ამასთან, სრდან ჯოკოვიჩი მხოლოდ დადებითად ლაპარაკობს 2013 წლის უიმბლდონის გამარჯვებულ **ენდი მარეიზე**: *„მარეისთან ყველაფერი სხვანაირადაა. ისინი ფაქტობრივად ერთად იზრდებოდნენ. ენდი ნოვაკზე ერთი კვირით უფროსია. ერთსა და იმავე ტურნირებზე მოგზაურობდნენ, ფეხბურთს თამაშობდნენ და ერთად გადავიდნენ პროფესიონალებში. არასოდეს მიგრძნია შური მარეის ოჯახისადმი. ერთხელ, რომის ტურნირზე, ენდის დედამ საკუთარი ვაჟის მარცხის შემდეგ, ნოვაკის გასახდელში შეიხედა და ჩემს ვაჟს, მის გუნდსა და ოჯახს გამარჯვება მიულოცა.*

*ენდი - სპორტსმენის ნამდვილი მაგალითია, რომელიც წაგებებისგან სწორ დასკვნებს აკეთებს. რა თქმა უნდა, ის და ნოვაკი მეგობრები ვერ იქნებიან, რადგან ერთმანეთს დიდ ტურნირებზე უპირისპირდებიან. მაგრამ ისინი უფრო დიდ პატივს სცემენ ერთმანეთს, ვიდრე სხვა მეტოქეები. დარწმუნებული ვარ, კარიერის დასრულების შემდეგ, ენდი და ნოვაკი კარგი მეგობრები გახდებიან"*.

აქვე დავამატებთ, რომ მომდევნო ტურნირი, რომელშიც „დიდი ოთხეული" ერთად შეიკრიბება, ტორონტოს მასტერსია, რომელიც 5 აგვისტოს აიღებს სტარტს.


სრდან ჯოკოვიჩი

მძლეოსნობა

# ბოლტს გამოწვევა ესროლეს


ფარა და ბოლტი ლონდონის ოლიმპიადაზე

პლანეტის საუკეთესო სპრინტერმა, იამაიკელმა **უსაინ ბოლტმა** უცნაური გამოწვევა მიიღო. 5000 და 10000 მეტრ დისტანციებზე ლონდონის ოლიმპიადის გამარჯვებულმა, ბრიტანელმა **მო ფარამ** ბოლტთან სირბილში გაჯიბრება გადაწყვიტა. დისტანციის სიგრძეს მძლეოსნობის გულშემატკივრებს შორის გამოკითხვის შედეგად შეარჩევენ, ამ უჩვეულო გარბენიდან მიღებულ შემოსავალს კი საქველმოქმედო მიზნებისთვის გამოიყენებენ.

*„უსაინ, მზად ხარ ამისთვის?"*, - ტელევიზიის მეშვეობით დასვა კითხვა ფარამ.

პასუხმაც არ დააყოვნა: ბოლტი მზად არის ამგვარი გამოწვევისთვის.

*„ეს ყველაფერი ძალიან სახალისო ჩანს. მესმის, რომ ეს გარბენი, შესაძლოა, მომქანცველი გამოვიდეს, მაგრამ კეთილი საქმისთვის ყველაფერზე წავა ადამიანი"*, - განაცხადა ექვსგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

როდის, სად და რა დისტანციაზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს პლანეტის საუკეთესო სპრინტერი და სტაიერი, ჯერჯერობით არ არის გარკვეული.

# ცხრა ჩემპიონით მოსკოვში

ცნობილი გახდა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აშშ-ის ნაკრების შემადგენლობა. ათლეტების სია ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

აღსანიშნავია, რომ ნაკრების ცხრა წარმომადგენელს მოუწევს 2011 წელს მოპოვებული ტიტულის დაცვა. ესენი არიან: **ჯეისონ რიჩარდსონი** (110 მეტრი თარჯრბენი), **კრისტიან ტეილორი** (სამხტომი), **ჯეს უილიამსი** (სიმაღლეზე ხტომა), **დუაიტ ფილიპსი** (სიგრძეზე ხტომა), **ტრეი ჰარდი** (ათჭიდი), **კარმელიტა ჯეტერი** (100 მეტრი), **ჯენი სიმპსონი** (1500 მეტრი), **ლაშინდა დემუსი** (400 მეტრი თარჯრბენი) და **ბრიტნი რიზი** (სიგრძეზე ხტომა).

გარდა ამისა, აშშ-ის ნაკრებში მსოფლიოს რეკორდის ხუთი მფლობელი ირიცხება.




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608